პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—53

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „რორალდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

კვირა, 2 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 175 (1330)

დღიური

- — პოლონეთიდან ბელორუსიაში [illegible] ჩამოდის
- — ბესარაბიაში დიდი შიმშილობაა.
- — ფრანგებმა ქ. ესსენიდან (რურში) გაიყვანეს ჯარი.
- — იაპონიის მთავრობა გადადგა.
- — ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ვალების შესახებ უშედეგოთ დამთავრდა.

„კომუნისტი"

.... კვირას, 2 აგვისტოს ....

კანტორა ღია იქნება

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი

ხელის მოწერის მისაღებად

ორშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საამშენებლო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება „სამშენი"-ს ორგანიზაციის შესახებ.
2) მოხსენება ზაჰესკომისთვის ხარჯთ-აღრიცხვაში გაუთვალისწინებელ დამატებითი ხარჯების შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ბ. 1567 2—2

პრეზიდიუმი.

დელეგაციის მოლოდინში

გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფი, რიცხვით ოცი კაცი, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ სხვა მთავარ პუნქტების მოვლის შემდეგ, ამ დღეებში ეწვევა საქართველოს.

მკითხველი გაზეთის გუშინდელ №-ზე გაეცნობოდა დელეგაციის შემადგენლობას. მისი წევრები ყველა წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მუშებია, რომელთა უმეტეს ნაწილს ხანგრძლივი საწარმოო, პოლიტიკური და პროფესიული სტაჟი აქვს.

იმ ოცი კაციდან, რომელნიც ჩვენკენ მოემგზავრებიან, 13 ს.-დემოკრატია, 2 უპარტიო და მხოლოდ 5 კომუნისტი. რო არაფერი ვსთქვათ კომუნისტ მუშებზე, სოციალ-დემოკრატი დელეგატები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თავის პარტიულ ორგანიზაციებში, აგრეთვე პროფკავშირებში. ისინი დიდი გავლენით და ნდობით სარგებლობენ თავის ამხანაგებში, გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მასებში. ამას ამტკიცებს თუნდაც ის გარემოება, რომ გერმანიის პროლეტარიატმა სწორედ მათ დააკისრა თავისი წარმომადგენლობა და საბჭოთა კავშირის მდგომარეობის საფუძვლიანი გაცნობა.

და ამაოდ სცდილობს გაზ. „ფორვერტს" ჩრდილი მიაყენოს ასეთ ხალხს და მნიშვნელობა დაუკარგოს დელეგაციას—იგი არ არის რომელიმე მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელიო. დელეგაციის არჩევა მოხდა ქარხნების მუშათა საერთო კრებებზე, აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. სწორედ ამას აქვს ღირებულება. დელეგატები ამით არიან გერმანიის პროლეტარულ მასების ჭეშმარიტი წარმომადგენლები. ჩვენ გვესმის „ფორვერტს"-ის უძლური გაბოროტება: მან და მის პარტიის ზედაწრეებმა ვერ მოახერხეს დელეგაციის გამგზავრებისათვის ხელის შეშლა, მიუხედავათ დიდი მეცადინეობისა, ვერც მოსყიდულ პირების გაყვანა დელეგაციაში. „ფორვერტ"-ს აქვს „საბუთი" იყოს გაბრაზებული, მაგრამ მის მიერ გამოსროლილი ტალახი ისევ მას უბრუნდება და სვრის.

ასეა თუ ისე, სულ რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოს მშრომელი მასსა პირისპირ შეხვდება გერმანიის მუშათა კლასის ნამდვილ წარმომადგენლებს. კერძოდ ჩვენთვის განსაკუთრებული ფასი აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენი მომავალი სტუმრების დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები, მენშევიკ-მუშები შეადგენენ. ჩვენი ქვეყანა ერთ ხანად, საკმაოდ ხანგრძლივ დროის განმავლობაში, ხომ მენშევიკების სამფლობელოს წარმოადგენდა. ისინი ედგნენ სათავეში სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. შემდეგ, როცა ჩვენმა მშრომელ ხალხმა დაამსხვრია მათი ბატონობა, ისინი გაშმაგებით ებრძოდენ მუშურ-გლეხურ მთავრობას და არაფერი დაუზოგავთ საბჭოთა დიქტატურის დასამხობად.

უცხოეთში, კერძოთ გერმანიაშიც, დღემდე არ გათავებულა იმ ჭორების და სიცრუის კამპანია, რომელსაც ავრცელებდენ და ეხლაც ავრცელებენ აქაური მდგომარეობის შესახებ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით მენშევიკები.

ჩვენებურ მენშევიკების გერმანელი თანამოაზრე მუშები, რომელნიც ეწვევიან ჩვენს ქვეყანას, სისწორით გამოარკვევენ, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური საქართველო, რა საქმიანობას ეწეოდენ ქართველი მენშევიკები და ვის ემსახურებოდენ ისინი. ამავე დროს გერმანელი დელეგატები თავისი თვალით დაინახავენ და შეისწავლიან ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას და მიღწევებს.

თავის თავად ცხადია, გერმანელ ამხანაგებს ჩვენ გადაუშლით ყველაფერს, ჩვენი ცხოვრების როგორც დადებით, ისე უარყოფითი მხარეებს. ისინი მიხვდებიან, რომ ეს უკანასკნელნი შედეგია წარსული რეჟიმის, რომლის მიერ მიყენებული წყლულები ჯერ კიდევ არ არის სავსებით მოშუშებული. დელეგატებს მიეცემათ ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ისინი სავსებით და მიუდგომლად გაერკვენ ჩვენ სინამდვილეში, ჩასწვდენ მის ყოველ კუნჭულს, და თვით მათ, გერმანელ ამხანაგებს როგორც დანარჩენ ადგილას მათი მოგზაურობის ანგარიშიდან გაიგებდა მკითხველი, საკმაოდ დიდი გამოცდილება და კრიტიკული უნარი აქვთ, რომ არ შესცდენ მდგომარეობის გამორკვევასა და შეფასებაში.

მათ უნდა დასდონ მიუდგომელი მსჯავრი როგორც ჩვენებურ მენშევიკებს, ისე მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ორი ძალის შედარებითი შესწავლა-შეფასება თვით გერმანელ სოციალ-დემოკრატ მუშების მიერ არ იქნება სახეირო მენშევიკებისა და სხვა ანტი საბჭოთა ჯგუფებისათვის.

ამავე დროს დელეგაციას საშუალება ეძლევა დარწმუნდეს საბჭოთა საქართველოს შესახებ მენშევიკურ ინფორმაციის სიყალბეში.

ყველაფერი ეს კიდევ ერთ ლახვარს ჩასცემს არა მარტო ქართველ მენშევიკებს, არამედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასაც და მთელ მეორე ინტერნაციონალს, რომლის წევრი არიან ქართველი მენშევიკები, თუ ისინი კიდევ სადმე ბოგინობენ, და რომელმა ინტერნაციონალმა ამოდენა ალიაქოთი ასტეხა ევროპაში „საქართველოს საკითხის" გარშემო.

საბჭოთა კავშირის და კერძოდ ჩვენი ქვეყნის შესახებ გერმანელ დელეგაციის მიერ სწორი ცნობების გავრცელება უკან დაბრუნებისას ხელს შეუწყობს ამ ორი სახელმწიფოს მშრომელთა დაახლოვებას, მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნას, გაზრდის გერმანიის მუშათა კლასში ლტოლვას კომუნიზმისადმი.

ამიტომ, ჩვენ დიდი სიხარულით მოველით საქართველოში ძვირფას სტუმრების, გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლას.

ბრძოლა საქონლის ნაკლებობასთან

იყო დრო, და არც ისე შორეულ წარსულში, როცა საბჭოთა მრეწველობის საწყობებში საკმაოდ ბლომად ეწყო საქონელი უქმად და ბაზარს, მომხმარებლებს ვერ მოულობდა. მერყევი ქაღალდის ფულის ტრიალის, შრომის ნაყოფიერების დაცემის, ომისა და რევოლიუციის დროს დანგრეული წარმოების მოუწყობლობის, ვაჭრობის მოუგვარებლობის და სხვა მიზეზების გამო ჩვენი საფაბრიკო ნაწარმოები მეტად ძვირად ფასობდა. ამავე დროს მუშათა კლასს, კერძოდ კი მომხმარებელთა უმთავრეს მასსას—გლეხობას დაკარგული ჰქონდა სყიდვითი უნარი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ხელის ფასად იყიდებოდა ან სულ არ საღდებოდა და გლეხს მის სამაგიეროდ არ შეეძლო ქალაქის ნაწარმოების ოდნავად მაინც საკმაო რაოდენობის შეძენა.

ეს დრო სამუდამოთ ჩავაბარეთ არქივს. ამჟამად სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. თუმცა საბჭოთა მრეწველობა ბოლო ხანებში სწრაფათ იზრდება, მისმა პროდუქციამ უკვე გადააჭარბა ომის წინანდელ დონის 70 პროცენტს, მაგრამ მიუხედავად ამისა დღეს ჩვენ მწვავედ განვიცდით საქონლის ნაკლებობას. მტკიცე ვალიუტის და სასოფლო მეურნეობის აღორძინების ნიადაგზე შეუდარებლათ მოიმატა გლეხობის სყიდვითი უნარმა. ჩვენი მრეწველობა ვერ ახერხებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. საქონლის სიმცირე უფრო საგრძნობი გახდება წრევანდელ კარგი მოსავლის რეალიზაციის შემდეგ, რაც გლეხობას საშუალებას მისცემს უფრო მეტი საქალაქო ნაწარმოები შეიძინოს.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მთელი თავისი სივრცე-სიგანითაა წამოჭრილი წარმოების გაფართოების, გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის საქონლის გამოშვების საკითხი.

თავისთავად ცხადია, შრომის ინტენსივობა გაძლიერებული იქნება. მაგრამ აქედან მაინც და მაინც დიდ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ, რადგან შრომის ნაყოფიერების კამპანიამ, რომელიც დიდი ხანია, რაც ტარდება, ამ მხრივ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი ნაყოფი და კიდევ ბევრი რამის გაკეთება ამ სფეროში ობიექტიურად შეუძლებელი იქნება.

საკითხს სხვანაირად უნდა მოუაროთ. მრეწველობას არა აქვს საკმაო საწარმოო და საბრუნავი საშუალებანი, მას ესაჭიროება კაპიტალი ძველი ფაბრიკების გადასაკეთებლად, ახლების ასაშენებლად, გაცვეთილ მოწყობილობის გამოსაცვლელად, ნედლი მასალის შესაძენად და სხ. ეს თანხა მან უნდა მიიღოს გარედან. მას ეძლევა დოტაცია, დაუბრუნებელი სესხი სახელმწიფოდან, მაგრამ მისი რაოდენობა განსაზღვრულია. ამიტომ მრეწველობას ფართედ უნდა გაეხსნას სესხი სხვადასხვა ბანკებში, კერძოდ სახელმწიფო ბანკში. ეს ასეც ხდება, მაგრამ ვერც ამ გზით მიღებული საშუალებები დააკმაყოფილებენ სავსებით მრეწველობის მოთხოვნილებას, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ხსენებულ კრედიტები იქნებიან მოკლე ვადიანი, ე. ი. ბანკები გასცემენ სესხს მოკლე დროით და ის მრეწველობას გამოადგება უმთავრესად მხოლოდ როგორც საბრუნავი თანხა (მაგ. ნედლეულის შესაძენად). მრეწველობას კი ამასთან უნდა გრძელ ვადიანი სესხი თავის ძირითადი კაპიტალის აღსადგენად, ე. ი. ფაბრიკა-ქარხნების მოსაწყობად, ახალი ტეხნიკის შემოსაღებად. ამით მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების შემდგომი აწევა, წარმოების გაფართოება, საქონლის გაიაფება. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო აღორძინების სესხს 300 მილიონ მანეთის რაოდენობით, რომელიც გამოშვებული იქნება მომავალ თვეში. ამ სესხის დიდი ნაწილი სწორედ მრეწველობის გაფართოებას მოხმარდება.

ამგვარად მრეწველობას სულ ახლო მომავალში მიეცემა საკმაო საშუალება, რომ გაშალოს წარმოება, დააკმაყოფილოს გლეხობის მოთხოვნილებიანი საქონელზე და ამით განამტკიცოს ქალაქის კავშირი სოფელთან.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობებით)

ინგლისში

შრომის სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 31 ივლისი. შრომის სამინისტრო აცხადებს: მთავრობის სხდომაზე 30 ივლისს გაირჩა ყველა საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამთომადნო მრეწველობაში მოსალოდნელ გაფიცვასთან. ბალდვინმა მიიღო მუშებისა და მწარმოებლების წარმომადგენლები. მუშების წარმომადგენლებმა განუცხადეს ბალდვინს, რომ ისინი თანახმა არიან მიიღონ მონაწილეობა კომისიაში მრეწველობის აღჯანსაღების პირობების გამოსარკვევად. მათ აღნიშნეს მიზანშეუწონლობა ხელფასის შემცირებისა ამჟამად სიძვირის ზრდის პირობებში. ბალდვინი შეჰპირდა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო ინგლისის მთავრობა აღმოუჩენს დახმარებას ქვანახშირის მრეწველობას [illegible], სანამ არ იქნება გამორკვეული მდგომარეობა ქვანახშირის მრეწველობისა. შემდეგ ბალდვინმა მიმართა მაღაროს პატრონებს თხოვნით გადასდონ ორი კვირით ლოკაუტის გამოცხადება.

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 31 ივლისი. მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად პრესა ერსულოვნად აღნიშნავს მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაძლებელია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. იტყობინებიან, რომ ბალდვინს სურს შეადგინოს სპეციალური კომისია ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოსარკვევად.

სამთომადნო მუშების გამარჯვება

ლონდონი, 31 ივლისი. მუშაობის შეწყვეტა სამთომადნო მრეწველობაში თავიდან აცილებულია. მაღაროების მეპატრონეები დათანხმდენ ორი კვირით გააგრძელონ ხელშეკრულება, რომლის ვადა დღეს თავდებოდა. სამთომადნო მუშების ფედერაციამ წინადადება მისცა თავის წევრებს არ შეწყვიტონ მუშაობა.

ინგლისი და საფრანგეთი ვერ შეთანხმდენ

მოლაპარაკება ჩაიშალა

ლონდონი, 31 ივლისი. ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება სამხედრო ვალების გადახდის შესახებ ჩაიშალა. ინგლისის მოთხოვნილებები გულისხმობდნენ ვალების გადახდას ნაწილობრივ 20 მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით ყოველწლიურად. ფრანგები თანხმდებოდნენ მხოლოდ აღნიშნული ჯამის მესამედის გადახდაზე ყოველწლიურად.

ჯარების გაყვანა რურიდან

ქალაქი ესენი დაცლილია

ბერლინი, 31 ივლისი. საფრანგეთის ქვეითა ჯარის უკანასკნელი ნაწილები გავიდენ 31 ივლისს ქალაქ ესსენიდან.

რადიჩის წინააღმდეგ

ბელგრადი, 31 ივლისი. ზაგრებში გაიმართა „ხორვატსკა ზაედნიცას" (რადიჩის პარტიის მემარცხენე ფრთა) საბჭოს სხდომა, რომელმაც ხანგრძლივი კამათის შემდეგ მოიწონა გამგეობის მოქმედება და „ხორვატსკა ზაედნიცას" დეპუტატების გამოსვლა ხორვატიის საპარლამენტო კლუბიდან. საბჭოს თავმჯდომარემ ლორკოვიჩმა გააკრიტიკა რადიჩის პარტიის პოლიტიკა და ხაზი გაუსვა, რომ მისი ჯგუფი მტკიცეთ დაიცავს თავის რესპუბლიკანურ პროგრამას. ბოლოს ლორკოვიჩმა გამოსთქვა იმედი, რომ კიდევ მოიპოვება მრავალი ხორვატები, რომელნიც იბრძოლებენ ხორვატიის დამოუკიდებლობისათვის სამხრეთ-სლავიისაგან.

ბალკანეთზე

ბალკანეთის სახელმწიფოების ურთიერთ-დამოკიდებულება

ვენა, 31 ივლისი. ბულგარეთის პრესა თავდაჭერილია ბალკანეთის სახელმწიფოების ახალ პოლიტიკურ ორიენტაციის შეფასებაში.

საბერძნეთის პრესა ეხება უმთავრესად რუმინეთ-ბულგარეთ-საბერძნეთის კავშირის შესაძლებლობას.

ამავე დროს სერბიის ნახევრად ოფიციალური გაზეთი „ბელგრადერ ცეიტუნგი" იუწყება, რომ ვითომდა შექმნილია სამხრეთ-სლავია-ბულგარეთის კონფედერაცია.

ოფიციოზური „ბულგარი" და „ბორბა" მოითხოვენ მთელ რიგ რეპრესიების გაუქმებას სამხრეთ-სლავიასა და საბერძნეთის მხრივ, რომელნიც ხელს უშლიან საკავშირო ხელშეკრულების დადებას.

„ადევერული"—რუმინეთის მსხვილ კაპიტალისტთა ორგანო იუწყება რომ საბერძნეთის ახალი მთავრობა მიილტვის რუმინეთთან პოლიტიკურ კავშირის დამყარებისაკენ. გაზეთი აღნიშნავს ოფიციალურ ცნობების თანახმად, რომ რუმინეთის მთავრობას სურს საბერძნეთ-რუმინეთის შეთანხმების განხორციელება ბალკანეთზე მშვიდობიანობის დამყარების მიზნით, შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება მანამ, სანამ საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დადებული არ იქნება ხელშეკრულება.

იაპონიის მთავრობა გადადგა

ტოკიო, 31 ივლისი. იაპონიის კაბინეტის კატოს მთავრობა გადადგა.

ვინ შეადგენს მთავრობას

ტოკიო, 31 ივლისი, მთავრობის პარტიების—კენსეკაის და სეიუკაის—შორის საგადასახადო რეფორმის გარშემო ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო კატოს მთავრობამ გადასცა რეგენტს თხოვნა გადადგომის შესახებ.

დადის ხმები მთავრობის შედგენის შესაძლებლობის შესახებ იამამოტის მეთაურობით.

ომი მაროკოში

ლონდონი, 31 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ფეციდან ატყობინებენ, რომ საფრანგეთის ჯარები მაროკოში ჯერ არ შეხვედრიან აბდ-ელ-ქერიმის რეგულიარულ ჯარებს და აქრობენ ცალკე ტომთა აჯანყებებს.

აბდ-ელ-ქერიმს ჰყავს სულ ცოტა 25,000 კარგათ შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარისკაცი და ყველა ზომებს მიმართავს რათა ცალკე ტომთა აჯანყებები გაგრძელდეს ოქტომბრის თვემდე, რომლის შემდეგაც დაიწყება წვიმების პერიოდი, რაც შეასუსტებს საფრანგეთის ჯარების ძალას და შეუძლებლათ გახდის მათ გადასვლას იერიშზე. აბდ-ელ-ქერიმს განზრახული აქვს მხოლოთ მაშინ გამოიყენოს თავისი მთავარი ძალები.

როგორც ფიქრობენ, საფრანგეთს მაროკოში უნდა ჰყავდეს 100.000 თეთრკანიანი ჯარისკაცი, რომ გამარჯვების იმედით აწარმოოს რაიმე გადამწყვეტი ოპერაციები.

ესპანელები ჯერჯერობით მოლოდინში არიან.

პარიზი, 31 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ტანჟერიდან მიღებული ცნობების თანახმად მდგომარეობა ფრონტზე უერგის რაიონში გამოკეთდა. რამოდენიმე ტომმა დაიწყო მოლაპარაკება დამორჩილების შესახებ. უკანასკნელ ბრძოლებში ტაფრანტის მიდამოებში რიფებმა დაკარგეს საგრძნობი ძალა.

ჯაშუშთა ორგანიზაციები გერმანიის ქარხნებში

ბერლინი, 31 ივლისი. ჰამბურგის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ჰამბურგერ ეხო"-ს, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების მეორე თავმჯდომარის გრასმანის სიტყვით, მოჰყავს საინტერესო ცნობები თეთრების საქარხნო უჯრედების მოწყობის შესახებ.

ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „ცენტრალური კომისია",—არსებობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით რესპუბლიკის დაცვის ფონდების ხარჯზე. ორგანიზაციას სათავეში უდგას ფაშისტური ორგანიზაციის „ობერლანდის" წევრი, ობერ-ლეიტენანტი კინცლი. „მეცნიერულ თანამშრომლებს" წარმოადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები, მათ რიცხვში ბერლინის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ ინსტიტუტის ხელმძღვანელი დუნკმანი.

ორგანიზაციის მიზანია—ამერიკული სისტემით ქარხნებში ჯაშუშობის მოწყობა.

სიმშილობა ბესარაბიაში

ვენა. 31 ივლისი. სიმშილობასთან დაკავშირებით, რომელიც ბესარაბიის უმეტეს ნაწილს მოედო, შექმნილია სანიტარული კომისია.

გაზეთ „ლუპტა"-ს ცნობით, ბესარაბიის სხვადასხვა ნაწილებში კომისიამ აღმოაჩინა გავრცელებულ სურავანდის საშინელი შედეგები.

სიმშილობისა და ავადმყოფობის ნიადაგზე გახშირდა თვითმკვლელობა. ტასკარანის, კორნეშტის და ფილეშტის რაიონში და, აგრეთვე, ბელცის ოლქში მოსახლეობა იკვებება მხოლოდ და მხოლოდ სიმინდით.

ტერორი ბულგარეთში

ბულგარეთის კომპარტიის სამხედრო ორგანიზაციის პროცესი.

ვენა. 31 ივლისი. ბულგარეთის კომპარტიის სამხედრო ორგანიზაციის პროცესზე პროკურორმა წარმოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა. მისი განცხადებით, სტამბულიისკის მთავრობამ საუკეთესო ნიადაგი შექმნა კომუნისტურ პროპაგანდისათვის. რომელიც, კომპარტიის საიდუმლო კონგრესის შემდეგ 1924 წლის მაისში, ფართე ხასიათს იღებს. პროკურორმა განაცხადა, რომ კომპარტიის სამხედრო და ტერორისტული სექციები შეიქმნენ ამის შემდეგ. იგი ასურათებს დამოკიდებულებას, რომელიც, ვითომდა, არსებობდა კომპარტიის არალეგალურ ცეკასა და სამხედრო ორგანიზაციებს შორის, და, აგრეთვე, ბრალდებულთა როლს ამ ორგანიზაციებში.

ტერორი ვექილების წინააღმდეგ

ვენა, 31 ივლისი. ბულგარეთში გრძელდება ტერორი იმ ვექილების წინააღმდეგ, რომლებიც გამოდიან პროცესებზე კომუნისტების და გლეხთა პარტიის წევრების დამცველებათ. ვექილ შელევის და კაზანაკიევის ბინაში შეაგდეს ყუმბარა, რომელმაც სრულიად დაანგრია ბინები.

[illegible]

რას მოითხოვს გლეხობა სასამართლოსაგან

გაზ. „ბედნოტა"-ში მოყვანილია ნაწყვეტები გლეხთა წერილებიდან, რომლებშიც გამოთქმულია საყვედური—სასამართლო ბოროტმოქმედთ ხშირად ძალიან მსუბუქად ეპყრობა, არა იშვიათად მძიმე დამნაშავეთ მალე ანთავისუფლებენ, ისინი ბრუნდებიან სოფელში და კვლავ განაგრძობენ ძველ „ხელობას".

წერილების ავტორები ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად მოითხოვენ სასჯელის გაძლიერებას, მსჯავრდადებულთა დაწესებულ ვადამდე განთავისუფლების მოსპობას, ბოროტმოქმედთა შორეულ მხარეში გადასახლებას და სხ.

მრავალი მათი წინადადება მიზანშეწონილია, არც სისხლის სამართლის კოდექსს ეწინააღმდეგება და, სოფლად ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად, მათ ანგარიში უნდა გაუწიონ სასამართლოებმა.

„ბედნოტაც" დაასკვნის:

„მართლაც, საჭიროა საფუძვლიანად და ხანგრძლივად მოვიშოროთ საზოგადოების ბოროტმოქმედნი. სასამართლო მკაცრად უნდა უდგებოდეს დანაშაულის ყველა გარემოებათა გამორკვევას, და არ ეძებდეს მარტო ისეთებს, რომელნიც მას ნებას მისცემენ შეამსუბუქოს სასჯელი.

ისიც მართალია, რომ შეუძლებელია ყველას განთავისუფლება ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ. ვადამდე განთავისუფლებისათვის კანონი მოითხოვს, რომ ბოროტმოქმედი გამოსწორდეს. იცის რაც, გამოცდილი ბოროტმოქმედი საპატიმროში კრავად მოგვაჩვენებს თავს, მას ანთავისუფლებენ, როგორც გასწორებულს. გამოვიდა ციხიდან და ისევ მიყო ხელი ძველ დანაშაულებრივ ხელობას.

საჭიროა, რომ სოფლად მძიმე ბოროტმოქმედებისათვის მსჯავრდადებულთ არ ანთავისუფლებდენ ვადამდე მათზე მთელი საზოგადოების აზრის გაუგებლად... აგრეთვე შეღავათების მიცემა არ შეიძლება იმ პატიმართათვის, რომელთა დანახვას სოფელი ვერ მოითმენს.

ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავეთა გადასახლებაც შეიძლება გახდეს ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ნამდვილ ზომად. ერთი-ორი მაგალითი გადასახლების შესახებ, რომელიც უნდა ფართედ ეცნობოს მოსახლეობას, იქონიებს შესაფერ გავლენას. სასამართლოს აქვს უფლება დაადგინოს საზოგადოებისათვის მავნე წევრის გადასახლება მის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ. მაგრამ რომ სასამართლომ მოახერხოს ამ ზომის გამოყენება ყველაზე უფრო მავნე ელემენტების მიმართ, მას უნდა დაეხმაროს გლეხობა,—შეატყობინოს სასამართლოს საზოგადოებრივი განაჩენი, რომ საზოგადოებას არ სურს იყოლიოს თავის წრეში ესა და ეს ბოროტმოქმედი".

ჩვენი სოფლის სინამდვილეშიც ბლომად შეხვდებით ისეთ მოვლენებს, რომლებზედაც სჩივიან გლეხები „ბედნოტა"-ში. ეს ჩვენშიც იწვევს უკმაყოფილებას და სცემს სასამართლოს ღირსებას ხალხის თვალში. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ იუსტიციის კომისარიატმა, სახალხო სასამართლოებმა და სხვა სათანადო ორგანოებმა.

ამხ. ლ. კამენევი აჭარისტანში

23 ივლისს ამხ. კამენევი აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. აბდიბას თანხლებით გაემგზავრა ქობულეთში. ქობულეთში სისვლამდე მან დაათვალიერა ჩაქვის სახალხო მამული, ჩაის პლანტაციები, ქარხანა, მუშების სადგომები და სხ. ამხ. კამენევზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მამულის მდგომარეობამ.

ქობულეთში ამხ. კამენევმა დაათვალიერა აგარაკი და სანატორიუმი, მან აღნიშნა, რომ ქობულეთს, როგორც აგარაკს, დიდი მომავალი ექნება, თუ რომ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება სათანადო ყურადღ. მოეპყრობიან ამ საქმეს.

ქობულეთში ამხ. კამენევი დარჩა 26 ივლისამდე. ცხოვრობდა სანატორიუმში. ამხ. აბდიბასთან საუბარში მან აღნიშნა, რომ აჭარისტანის ზერელე დათვალიერებიდანაც კი მან მიიღო ერთობ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება. მთავრობას ბევრის რამის გაკეთება მოუსწრია და ენერგიულად მუშაობს.

ამხ. კამენევი ერთობ დაინტერესდა განათლების საქმის დაყენებით აჭარისტანში. მან აღნიშნა, რომ აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში უდიდესი ადგილი უნდა ეჭიროს სახალხო განათლების საქმეს.

ამხ. აბდიბამ ვრცელი განმარტება მისცა ამხ. კამენევს სწავლა-განათლების საქმის შესახებ აჭარისტანში, აღნიშნა, თუ როგორი მემკვიდრეობა დაუტოვა მეფის და მენშევიკურმა მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლებას ამ დარგში.

ამხ. კამენევი კმაყოფილი დარჩა სწავლა-განათლების საქმის დაყენებით.

26 ივლისს ამხ. კამენევი დაბრუნდა ბათომში, საიდანაც გაემგზავრა სოხუმში.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს დასავლეთ-ევროპის განყოფილების გამგე კესტლი „პოლიტიკის ინსტიტუტისადმი" მიმართულ წერილში ეხება ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სხვათა შორის სწერს:

„ევროპის სახელმწიფოებმა ცოტა მოიგეს საბჭოთა მთავრობის ცნობიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროპაგანდისტების არმიის, რომლებიც სცდილობენ ააფეთქონ ის მთავრობა, რომლის სტუმრებათაც ისინი ითვლებიან.

ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა გვქონდა რუსეთთან. ჩვენ მივესალმეთ რევოლიუციას, რომელმაც დაამსხვრია მონარქიული ტირანიის ბორკილები, რადგან არ ვიცოდით, რომ ის ნიადაგს მოუმზადებდა კიდევ უფრო საშინელ ტირანიას. ასეთი მთავრობა ხელს არ უწყობს საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას, პირიქით, ის სცდილობს გამოიწვიოს ომი. მისი ცნობა ეწინააღმდეგება ძირითად პრინციპს, რომელზედაც აგებულია ამერიკის პოლიტიკა ევროპის მიმართ".

გერმანელი მუშები საბჭოთა კავშირში

გერმანელი დელეგატები დონის ოლქში

არტემოვსკი, 1 აგვისტო. გერმანიის დელეგაციამ ინახულა ქმუგლის ქარხნების კონსტანტინოვის ჯგუფი. დელეგაციის შესახვედრათ, დახვრეტილ მუშების ძეგლთან თავი მოიყარა 2.000 მუშამ და გლეხმა.

დელეგაციამ დეტალურათ დაათვალიერა ბოთლებისა, ქიმიური და სარკეების ქარხნები. საუბარში გერმანელმა მუშებმა აღნიშნეს, რომ ისინი გაკვირვებული არიან საბჭოთა მრეწველობის სწრაფი აღდგენით.

გაიმართა მიტინგი 500 მუშისა და გლეხის მონაწილეობით. დელეგაციას მიესალმენ პროფსაბჭოს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მისალმებაზე პასუხის დროს, დელეგატ მარრემ, რურის მემაღაროემ, აღნიშნა, რომ კონსტანტინოვის ჯგუფის ქარხნების დათვალიერება ერთხელ კიდევ ადასტურებს დელეგაციის აზრს, რომ საბჭოთა კავშირმა მრეწველობის აღდგენის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია

ამერიკელი ჟურნალისტის ჩამოსვლა

ოდესა, 1 აგვისტო. ჩამოვიდა „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი ვუდი, რომელიც ინფორმაციას აწვდის 100-ზე მეტ ამერიკულ გაზეთს.

„როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს კორესპონდენტმა განაცხადა, რომ „ჩიკაგო დეილი ნიუსმა" გამოგზავნა ის საბჭოთა კავშირში იმიტომ, რომ არავითარი წარმოდგენა არ შეიძლება იქონიოს ადამიანმა საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე უცხოეთის პრესის მიხედვით, რომელიც სარგებლობს რიგიდან და ჰელსინგფორსიდან მიღებული ყალბი ინფორმაციით.

ნიჟეგოროდის ბაზრობის გახსნის წინ

მოსკოვი, 1 აგვისტო. საბჭოთა კავშირის შინა ვაჭრობის კომისარიატის ცნობით 25 ივლისამდე ნიჟეგოროდის ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ თანხმობა განაცხადა 202 ფირმამ, ამ ფირმების შემადგენლობა ასეთია: სახელმწ. ორგანოები—34 პრ., სააქციონერო საზოგადოებანი—6 პრ., კოოპ. ორგანიზ.—7 ნახ. პრ., კერძო პირები—47 პრ. აღმოსავლეთის ვაჭრები—5 ნახ. პრ

წარსულ წელთან შედარებით მომატება ემჩნევა კერძო ვაჭრებსა და აღმოსავლეთის ფირმებს.

ბაზრობაზე უკვე მოტანილია 12 მილ. მან.. საქონელი.

სტუმრები

მოსკოვი, 1 აგვისტო. ნიჟეგოროდის ბაზრობის გახსნაზე დასასწრებლათ წავიდა შინავაჭრობის კომისარი ამხ. შეინმანი. ამავე მიზნით გაემგზავრენ აგრეთვე მოსკოვში მყოფი უცხოელი ელჩები: იაპონიისა—ტანაკა, ოსმალეთისა -ზეკაი-ბეი, ჩინეთისა—ლიტია-ო, გერმანიის საელჩოს მრჩეველი—დინსტმანი და სხვანი.

1 აგვისტოს ოდესაში ჩამოვიდენ ზღვით ნიჟეგოროდში გასამგზავრებლათ ცნობილი ოსმალელი ვაჭრები, რომელთაც ბაზრობაზე მიაქვთ სხვადასხვა საქონელი. ვაჭრები სიამოვნებით აღნიშნავენ საბჭოთა ხელისუფლების წინდახედულ და თავაზიან მოპყრობას მათადმი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფ.-მეურნეობის და ტყის საქმის სპეცების უზრუნველყოფა პენსიით

მოსკოვი, 1 აგვ. მიწ.-მოქ. კომისარიატმა გამოიმუშავა პროექტი სასოფ.-მეურნეობის და ტყის სპეცების პენსიით უზრუნველყოფისა, რომლებიც მუშაობენ სოფლათ.

პენსიის უფლება აქვთ იმ სპეცებს, რომელთაც უმუშავიათ სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში არა ნაკლებ 25 წლისა. აქედან სოფელში უნდა ემუშავათ 10 წელი. საბჭოთა წყობილების დროს კი—არა ნაკლებ 5 წლისა.

პენსიის რაოდენობა განისაზღვრება უკანასკნელ თანამდებობის ჯამაგირის 50 პროცენტით. აგრონომები, ბეითლები და მიწის მომწყობნი კი იღებენ არა ნაკლებ 25 მან.

პენსია არ ექვემდებარება არავითარ გადასახადებს.

უკრაინა

ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური რეფორმა

ხარკოვი, 1 აგვ. უკრაინაში წარმოებული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური რეფორმა უკვე დამთავრდა 1 აგვისტოს.

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ადმინ.-ტერიტ. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა შემდეგი: „1 აგვისტოდან გუბერნიები აღარ იარსებებენ. ეხლა დაგვრჩა საოლქო ბიუჯეტის გამომუშავება და სახელმწიფო წარმოებათა კლასიფიკაცია ამა თუ იმ ოლქის მიხედულობით. ამის შემდეგ კი საოლქო აპარატი უკვე დამთავრებულად ჩაითვლება პოლიტიკურით—ეს სამსაფეხურიანი სისტემა ძალიან სახერხულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამგვარათ საოლქო აპარატი უახლოვდება გლეხობის მასსებს.

რაც შეეხება ნაციონალურ გამიჯვნას, უკვე მორიგ საკითხად სდგას პოლონელების მიერ დასახლებულ რაიონებში პოლონურ სოფ. საბჭოებისა და რაიაღმასკომების შედგენა. ეგრეთვე იქნება მოწყობილი საქმე ბერძნებით დასახლებულ რაიონებში.

პარიტეტული კონტრ-რევოლუციის გასამართლება

მეთორმეტე დღე

(29 ივლისი)

დილის სხდომა

საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. ს. ქავთარაძის სიტყვა

თავმჯდომარე: სასამართლოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გრძელდება მხარეების კამათი. საზოგადო ბრალმდებელო, სიტყვა თქვენია.

ქავთარაძე: მოქალაქე მოსამართლენო, ეს საქმე, რომელიც თქვენ თვალწინ მიმდინარეობს, მოწმეების ბრალდებულთა და ამ საქმის ფურცლების სახით და რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე, არის ფრიად სერიოზული, ისტორიული მნიშვნელობის და პოლიტიკური შინაარსის. ეს საქმე არ ეტევა საქართველოს ეროვნულ და ტერიტორიულ ფარგლებში და ღებულობს არა თუ საკავშირო მნიშვნელობას, არამედ დამოკიდებულება აქვს მთელ კულტურულ კაცობრიობის ცხოვრებასთან.

რა აძლევს ასეთ დიდ მნიშვნელობას ამ საქმეს. მე მგონია ამ მნიშვნელობას აძლევს მას მონაწილეობა იმ პოლიტიკურ პარტიისა, რომელსაც დიდი ნათესაობა, ფართო ფესვები და შტოები აქვს გაბნეული ევროპის სხვადასხვა სფეროებში. ეს პარტია არის საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია. თავის-თავად ცხადია, რომ ეს პარტია ჩვენ ცხოვრებაში თამაშობდა ფრიად შესანიშნავ როლს. ისტორია ამ პარტიისა არის დიდი, და უთანასწორდება რამოდენიმე ათეულ წლებს. ჩვენ ცხოვრებასთან დამოკიდებულება აქვს ამ პარტიას, მის მოღვაწეობას, მის მუშაობას და მეორეს მხრივ ეს პარტია წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს, ერთ-ერთ სექციას მე-2 ინტერნაციონალისას.

მეორე ინტერნაციონალის როლი იმდენად სერიოზულია, იმდენად დიდი, რომ მას დღევანდელი თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილება ეყრდნობა, როგორც ერთად-ერთ ბოძს.

ეს ორგანიზაცია მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა წიაღიდან არის გამოსული, მიუხედავად იმისა, რომ ის ბრძოლას უნდა აწარმოებდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის არის საიმედო დასაყრდენი ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის. აი ამაში მარხია ის განსხვავება, ის ანტაგონიზმი, რომელიც დღევანდელ პირობებში გვაპირდაპირებს ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

ეს წინააღმდეგობანი, ეს ანტაგონიზმები ომამდე, იმპერიალისტურ ომამდე თითქმის ფერფლწაყრილი იყო, მაგრამ იმპერიალისტურ ომმა მას გადააცალა ფერფლი და დარჩა მხოლოდ ცეცხლი. ომმა დაუტოვა კაცობრიობას კაპიტალისტური წესწყობილების კრიზისი, ეკონომიური, სამეურნეო კრიზისი, რომლისაგან გამოსვლას ვერ ახერხებს დღეს ვერც ერთი მთავრობა.

რას განიცდის დღევანდელი კაპიტალიზმი. განიცდის პროცესს დაქვეითებისას, მოსპობის, თუ აყვავების და ნორმალურ განვითარების? კვანძი მთელი პოლიტიკური ისტორიის მე მგონია ამაში მდგომარეობს. ეს ეკონომიური მიზეზი უეჭველად უნდა იყოს დაყენებული, რომ წვრილი ფაქტები გავიგოთ. მე არ დამაინტერესებდა ეს საკითხი, რომ ის იდგეს ბურჟუაზიულ პარტიებში, ბურჟუაზიულ წრეებში. მაგრამ ეს საკითხი სდგას მუშათა კლასის წიაღში და მის შუა გულში. ვლაპარაკობ, ჩვენი გზა, ახსნა ამ საკითხის, ეს არის: კაპიტალისტური წესწყობილება შესდგა თავის უკანასკნელ ხაზზე. უეჭველად ეს არის მისი უკანასკნელი ისტორიული სულისთქმა. ამას შემდეგ უთუოდ მოჰყვება მისი დაბოლავება და კაცობრიობა გამოვა კაპიტალისტურ ექსპლოატაციის რეჟიმიდან. ეს სტადია უნდა გათავდეს, აუცილებლად სოციალისტური წესწყობილების ჭიშკრის გაღებით.

აი ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე. სოც.-დემოკრატიული პარტია საზოგადოთ მსოფლიო მასშტაბით ასაბუთებს, რომ, პირიქით, კაპიტალიზმი განიცდის ნორმალურ ხანას, მას არ ემჩნევა ნიშნები დაქვეითების, ნიშნები მოსპობის, რომ კაპიტალიზმი განვითარდება.

ჩვენი და მათი შეფასება პირველი რევოლუციის

თქვენ იცით, რომ ყოველთვის ანტაგონიზმს ამჟღავნებს ომი ან რევოლუცია. და მართლაც პირველმა რევოლუციამ გაამწვავა ეს საკითხი და დააყენა ისეთი სიმწვავით, რომლის მსგავსი წინა წლებში არ ყოფილა. წინად, შეიძლება, იყო პოლემიკა ლიტერატურული, ერთგვარი უთანხმოება კრებებზე, პრესაში, კონფერენციებზე, რომლებშიაც გამოიხატებოდა ეს უთანხმოება, მაგრამ 1905 წელში ეს საკითხი გამწვავდა. აქ გამოირკვა ეს საკითხი და სავსებით ჩამოიხატა 17 წლის შემდეგ ეს განხეთქილება, ეს შეურიგებლობა.

საკითხი დადგა ასე: როგორ შევაფასოთ 1905 წლის რევოლუცია? როგორ შევაფასოთ მისი შედეგი და რა იმედები დავამყაროთ მომავალზე? ჩვენ ვამბობდით, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, დაიხრჩო მუშათა სისხლში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მას, რომ ამ რევოლუციის იდეაც დაიხრჩო. დეე, ეს რევოლუცია იყოს მოსრესილი რუსეთის ჟანდარმების მიერ, მაგრამ ეს გზა სწორეა, ეს გზა აუცილებელია, სხვა გზა არ არის.

მენშევიკური პარტია კი დაადგა სხვა გზას. ის ამბობს—გათავდა ყველაფერი, ძველი გზა აღარ არის. ახალ გზას უნდა დავადგეთო და ადგება პარლამენტარულ გზას, გზას, რომელიც გამოიხატებოდა სტოლიპინის წერილებით და შემდეგ დუმებით. ამ გზამ მიიყვანა ეს პარტია გახრწნამდე. მე, რასაკვირველია, ამ სიტყვას არ ვხმარობ, პოლიტიკური მნიშვნელობით, მე ამას ვხმარობ ობიექტიურად. ამან გამოიწვია ლიკვიდაციები და სხვა.

ეს მიმართულება სავსებით თქვეფავს მუშათა საქმეს, სავსებით სპობს საზღვარს მათსა და მოწინააღმდეგეთა შორის და ხდება უდიდეს შემაფერხებელ ფაქტად, რომელიც ბევრად და ბევრად ხელს უშლის რევოლუციის გაღრმავებას. ასეთი იყო შეფასება 1905 წლის რევოლუციისა და ამის შემდეგ ჩვენ დავრჩით ერთის მხრით—ისინი მეორე მხრით. მაგრამ ჩვენ აქ ეს იმდენათ არ გვაინტერესებს. მე მინდოდა ეს ისტორიული ფაქტი აღმენიშნა თქვენს მეხსიერებაში და მას შემდეგ მივდგომოდი იმ საკითხის გარჩევას, რომლის წინაშე დღეს ჩვენ ვართ.

მენშევიზმის პოზიცია მეორე რევოლუციის დროს

მოხდა რევოლუცია 17 წლისა და აქაც დაისვა რევოლუციის შეფასების საკითხი.

ძველ მუშაკებს, მუშათა მოძრაობაში, ნათლად გვქონდა წარმოდგენილი, რომ მეორე რევოლუციის შეფასება იქნებოდა ისეთივე, როგორიც იყო პირველი, 1905 წლის რევოლუციის შეფასება. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ჩვენს შორის უეჭველად გაჩნდებოდა ნაპრალი უფრო ღრმა და უფრო ფართე, რომელზედაც ხიდი არ გაიდებოდა და ეს იმდენად გაგვთიშავდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მივეყვანეთ მას იმ მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენ იარაღს ავიღებდით ხელში ერთმანეთის წინააღმდეგ, ერთმანეთის სიცოცხლის მოსასპობლად. ასეთი იყო ჩვენი შეხედულება 1917-ის თებერვალში. მართალია ჩვენი ჯგუფები ციხეებში იყვნენ, მაგრამ ასეთი სურათი ნათლად გვიდგა თვალწინ.

გამოვედით ციხეებიდან, დაიწყო ერთგვარი ორომტრიალი რევოლუციის და აქ, საქართველოში, დაისვა საკითხი 1917-ის რევოლუციის შეფასების შესახებ. მოხდა პირველი კრება, სადაც თავმჯდომარეობდა მენშევიკური პარტიის ბელადი ნოე ჟორდანია. მას უნდა ეთქვა პირველი სიტყვა, სიტყვა თებერვლის რევოლუციის შეფასების, მისი შინაარსის და პერსპექტივების შესახებ.

რა სთქვა ნოე ჟორდანიამ?

მას წინ ედგა სოც.-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, პროგრამა სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა დიდი იმედებით იყო დახვედრილი.

ჩვენ ჯერ კიდევ 1905 წლამდე გვქონდა შემუშავებული და გვეგონა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადებული იქნებოდა, როგორც ერთ-ერთი ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა, იმ სახელმწიფოს მშენებლობაში, რომელიც უნდა დაწყებულიყო ძველი წესწყობილების დანგრევის შემდეგ. მაგრამ მან ეს სიტყვა ვერ წარმოსთქვა. დემოკრატიული რესპუბლიკა მან ვერ სთქვა იმიტომ, რომ შიში ჰქონდა, არ იცოდა რა ხასიათის იყო ეს რევოლუცია, რა ძალები ამოძრავებდენ მას. ვაი თუ ბურჟუაზიული პარტიები წინ აღუდგენ ამ რევოლუციონურ ლოზუნგს და ჩასთვალონ იგი მემარცხენეთ. ასე ფიქრობდა ნოე ჟორდანია.

ამავე დროს ჩვენი პარტიის დაავალებით მე წარვადგინე ფურცელი, სადაც ეწერა: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“ და თან განვაცხადე: ნუ თუ მეტი რევოლუციონური გამბედაობა არა გაქვს, მთელ რუსეთში გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა და თქვენ არ შეგიძლიათ, არ შეგწევთ გამბედაობა გამოაცხადოთ ეს აქ!

მხოლოდ მეორე დღეს ადგილობრივ ცენტრალურ ორგანოში დავინახეთ წარწერა—„დემოკრატიული რესპუბლიკა“, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამას მთელი თავისი მნიშვნელობა ეკარგებოდა, რადგანაც ეს იყო ნაკარნახევი კონსტიტუციონურ დემოკრატიული პარტიის გაზეთის მიერ.

აქ იყო ამიერკავკასიის ალმასკომების ყრილობა. ამ ყრილობაზე საპროგრამო სიტყვით უნდა გამოსულიყო მენშევიკური პარტია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მენშევიკური პარტიის ბელადი, მისი აზრების საუკეთესო გამომხატველი, ნოე ჟორდანია.

რა სთქვა ნოე ჟორდანიამ? მან სთქვა: არამც და არამც, არავითარ შემთხვევაში პროლეტარიატი მთავრობაში არ უნდა შევიდეს, ეს არის რევოლუცია ბურჟუაზიული და მხოლოდ ბურჟუაზია უნდა აწარმოებდეს სახელმწიფო საქმეს. მხოლოდ ბურჟუაზიული ელემენტები უნდა შეადგენდენ მთავრობას და დიდ მემარცხენეობათ სთვლის ის, როდესაც სთქვა: თუ მაინც და მაინც წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეიძლება შევიდენ მთავრობაშიო. მასთან ერთად ამბობდა. რომ მამოძრავებელი ძალები რევოლუციის არის პროლეტარიატი. ჩვენ ვეკითხებოდით: „თქვე დალოცვილო, თუ ამბობთ, რომ პროლეტარიატი მამოძრავებელი ძალა არის ამ რევოლუციის, რას ერჩით, რომ თავის მთავრობა შეაყენოს? მონაწილეობა მაინც მიეცით!“

„არამც და არამც, ეს არის ბურჟუაზიული რევოლუცია და ბურჟუაზიამ უნდა შეადგინოს ისო. მე შემიძლიან სიტყვა სიტყვით ის ადგილები მოვიყვანო, მაგრამ ეს იმდენად საჭირო არ არის,

ოქტომბერი სოციალ-დემოკრატიის შეფასებაში

1917 წლის ოქტომბერში მოხდა რევოლუცია მუშათა კლასის მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირა გლეხობამ ჯარის სახით. ეს უეჭველი არის. შეუძლებელია ჯარი აიღო ისტორიულ კვლევის დროს, როგორც სოციალური ერთეული. ამას არ ეგუება არავითარი მეცნიერული, მარქსისტული შეხედულება. ჯარი არის შემდგარი ორი დაბალი ნაწილისაგან, მუშებისა და გლეხკაცობისაგან. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ჯარმა მხარი დაუჭირა პეტროგრადის პროლეტარიატს, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გლეხკაცობამ ჯარის სახით და პროლეტარიატმა მოახდინეს ოქტომბრის რევოლუცია პეტროგრადში.

დადგა კიდევ მესამეჯერ საკითხი ამ რევოლუციის შეფასების. და რა თქმა უნდა ამ დიდ ფაქტისათვის, დიდი მოვლენისათვის მენშევიკურ პარტიას პასუხი უნდა გაეცა, მას უნდა შეეფასებია ეს მოვლენა. ასეც მოხდა.

თბილისში იყო მრავალი კრებები, სადაც იგივე ჟორდანია გამოდიოდა და ამბობდა პირველ სიტყვებს და პირველად აფასებდა ამ რევოლუციას. კარგად მახსენდება მე ერთი კრება თბილისში, სადაც საკითხი დაისვა ამის შესახებ. ეს იყო სწორედ იმ დღეებში, რომელიც მოყვა ოქტომბრის გადატრიალებას.

ნოე ჟორდანიამ სთქვა, და რასაკვირველია მას მხარი დაუჭირეს პასუხისმგებელ მენშევიკებმა, რომ ეს ბუნტი, შეთქმულება, მას არავითარი სოციალური ნიადაგი, ფესვები არა აქვს, ხალხის ცხოვრების სიღრმეში, ის უნდა მოისპოს უეჭველად. მე მომყავს ერთი ადგილი ამ სიტყვებიდან: „აჯანყება პეტროგრადში უკანასკნელ წუთებს განიცდის, ის თავიდანვე დაღუპვისაკენ იყო მიმართული, იმიტომ, რომ მას ჰქონდა ხასიათი საიდუმლო შეთქმულების, რაც ეწინააღმდეგება რევოლიუციის ბუნებრივ განვითარების სვლას“.

აი, ასეთი იყო მესამე რევოლუციის მესამე შეფასება და მე თქვენ გარწმუნებთ, რომ სამივე შეფასება რევოლუციის მენშევიკების პარტიის მხრივ სამჯერვე შემცდარი იყო, რასაკვირველია ეს არ იყო ერთი კაცისაგან, ერთი მეცნიერისაგან, რომ ეს ყოფილიყო ერთის შეფასება, ამას იმდენი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაგრამ ასეთ შეცდომებს აკეთებს პარტია, რომელსაც ერთ დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ ცხოვრებაში და რომელიც თითქმის წარმართავდა ჩვენი მშრომელი ხალხის აზრს.

გამართლდა ეს შეფასება, სწორი გამოდგა ანალიზი, დაირღვა ოქტომბრის რევოლუცია სამი დღის განმავლობაში? მალე ამას ვადა გაუგრძელეს—სამი კვირა თვედ შესცვალეს, მერე სამ თვედ მაგრამ გავიდა, 8 წელიწადი და ჯერ კიდევ არსებობს ის. მაშასადამე ის, რომ ოქტომბრის რევოლუცია იყო შეთქმულება, ბლანკისტური გამოსვლა, არ გამართლდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არ მიეცემოდა მას ის შინაარსი, რომელიც მას დღეს აქვს და ამდენ უბედურებას, ამდენ ომებს და გაცხოველებულ ბრძოლას ვერ გადიტანდა და ვერ შესძლებდა დარჩენილიყო ყოველივე ამის შემდეგ უვნებლად, მით უფრო კიდევ ბრძოლას ვერაწარმოებდა გარეშე და შინაურ მტერთან.

არა, აშკარაა, რომ ეს შეფასება იყო მოტყუებული, შემცდარი, და ამ შეფასებას იძლევა არა ისეთი კაცი, რომელსაც პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერი გაეგება, არამედ აქ ლაპარაკობს კაცი, რომელიც სულ სხვანაირად აზროვნებს რომელსაც ბურჟუაზიული მსჯელობა აქვს ამ საგანზე, სწორედ ასეთ კაცს შეეძლო ამგვარი დასკვნა მიეცა ამ სამი რევოლუციისათვის, და სამივეჯერ შემცდარიყო.

რით უნდა ავხსნათ ამიერ-კავკასიის გამოყოფა

ამის შემდეგ საჭირო იყო ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მოვარდნილ ტალღას თავზე გადაიგდებდა და გადაურჩებოდა. აქედან დაიბადა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შექმნის აზრი სეიმის სახით. ჩვენ ეს ვიცით კარგად, რადგან ბოლშევიკებს ეს გვიხის საკუთარ სისხლად, ვინაიდან სწორედ სეიმის გახსნის დღეს ჩვენი მიტინგი იქნა დახვრეტილი ალექსანდროვის ბაღში, სადაც მე ვხელმძღვანელობდი მას.

თავიდანვე აშკარა და ცნობილი იყო, რომ ეს ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფო დიდხანს ვერ გასძლებდა. ამ სახელმწიფოს სათავეში, მის მთავრობაში შედიოდენ უმთავრესად მენშევიკები, მემარჯვენე ესერები, დაშნაკელები, მუსავატელები და ქართველი ფედერალისტები. ამ პარტიებისაგან შესდგა ეს მთავრობა და ეს კონგლომერატი წარმართავდა მის ცხოვრებას.

ამ პარტიათა შორის დიდი განსხვავება იყო, შეუძლებელი იყო შეერთება დაშნაკელების მენშევიკებთან, მუსავატების დაშნაკელებთან, ქართველი ფედერალისტების მუსავატელებთან, ან რუს ესერებთან. ხელოვნურად შეკოწიწება ამ მთავრობის სავსებით აშკარა იყო. ეს გარეგნულად, მაგრამ ამ გარეგანი სახის გარდა აქ შიგა და შიგ იყო ჩაქსოვილი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობანი.

აქ იყო სხვადასხვა გვარის ტენდენციები, მიდრეკილებანი. მუსავატელები ილტვოდენ ოსმალეთისაკენ; ამ გზით, რასაკვირველია, არ წავიდოდა სომხეთი, რომლის ხალხსაც ოსმალეთის ეშინოდა, რუსი ესერები ვერსად ვერ წავიდოდნენ გარდა რუსეთისა. დაშნაკელებსაც უეჭველად იქეთ უნდა გაეწიათ. სოციალისტ-ფედერალისტები, არც მენშევიკები არსად არ წავიდოდნენ, ისინი აქ უნდა დარჩენილიყვნენ, აქ უნდა ემოქმედნათ. ამნაირად ეს მოგაგონებდათ კრილოვის არაკს, სადაც შეკრული არის სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა პოლიტიკური ყაიდის ხალხი და მხოლოდ ხელოვნურად არიან შეკოწიწებული იმ შიშის გამო, რომელიც მათ აკავშირებდათ. აი დედააზრი, დედა მიზეზი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შექმნის.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ არსებითი დებულება თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკისა. თუმცა რომაელებმა არ იცოდენ ევროპის მომავალი ბედი, მაგრამ მათ გამოსთქვეს შემდეგი მთავარი დებულება „დივიდე ეტ იმპერა“, ე. ი. დაქსაქსე და იბატონე.

დაქსაქსულს, დანაწილებულს, რასაკვირველია უფრო ადვილად მოერევი. აი ეს არის მთავარი პრინციპი იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელიც უაღრესად განვითარებული იყო იმ მიზნით, რომ ამიერ კავკასიის ტერიტორია ჩამოეშორებინა რუსეთისათვის.

გერმანიის პოლიტიკის დედააზრი, რომელიც მიილტვოდა აღმოსავლეთისაკენ, ბრძოლა გერმანიის იმპერიალიზმისა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, სადაც გერმანიამ გაიყვანა ბაღდადის გზა, სადაც მოდიოდენ მათი ჯარები და სადაც ქმნიდენ ორიენტაციას თავის სასარგებლოდ—აი აქ იყო დამარხული უეჭველად იმპერიალისტური ომის მიზეზები და, რასაკვირველია, თავის მიმდინარეობით ეს გზა უეჭველად გადიოდა კავკასიაში.

გერმანია დიდათ იყო დაინტერესებული იმაში, რომ რუსეთისაგან, ყოველ შემთხვევაში მისი ქვედა ნაწილებისაგან შექმნა ის, რაც არსებობს ბალკანეთში.

ასე, რომ ამიერ-კავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთ აქტს, ერთ-ერთ პოლიტიკას იმპერიალისტური სახელმწიფოებისას, ეს არის რუსეთის ბალკანიზაცია, რუსეთის დაქსაქსვის პოლიტიკა. ამიტომ მე ვლაპარაკობ, რომ მეორე მიზეზი იმისა, რომ ამიერ-კავკასია ჩამოშორდა რუსეთს, იყო რუსეთის ეს დაქუცმაცების პოლიტიკა.

მაგრამ მოხდა შემდეგი ფაქტი: გერმანია დაამარცხეს მოკავშირეებმა. ეს პოლიტიკა მაინც არ შეცვლილა, ეს პოლიტიკა კიდევ უფრო განვითარდა, იმიტომ, რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ერთნაირად აზროვნებენ, მათი საქმე ერთი არის. თუ მას აქვს კარგი საშუალება, რასაკვირველია ის განაგრძობს ამ საშუალებით მოქმედებას.

ვის სჭირდებოდა „დამოუკიდებელი“ საქართველო

როდესაც აქ ინგლისის ჯარები მოვიდნენ, როდესაც ინგლისმა გაიმარჯვა, რასაკვირველია მათ არ შეუცვლიათ ეს პოლიტიკა. პირიქით, მათ განაგრძეს ეს პოლიტიკა და კიდევ უფრო შორს წავიდენ. ამიერკავკასია დაყვეს კიდევ სამ ნაწილად: სომხეთი, საქართველო და აზერბეიჯანი.

„დივიდე ეტ იმპერა“ ეს კანონი მოქმედებს აქაც მთელი თავისი მნიშვნელობით. საინტერესოა აქ დაპირდაპირება იმისა, რა აღტაცებით, პრინციპიალური დაბეჯითებით და გაცხოველებით მოითხოვდა მენშევიკური პარტია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაარსებას და რა მჭერმეტყველობით, ამავე დაბეჯითებით და ასეთივე გაცხოველებით ირაკლი წერეთელი ამტკიცებს ამ რესპუბლიკის მოსპობის უცილებლობას.

ამ ექვსი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დაიბადა და მოისპო კიდეც და მენშევიკები, როგორც ამათ დაბადებას ელოდენ, გუნდრუკს უკმევდენ და ოსანას უგალობდენ, ისე მის განსვენებისას ისეთსავე გუნდრუკს უკმევენ და ოსანას უგალობენ სრული კმაყოფილებით.

მე ვლაპარაკობ, რომ ასეთ მცირე ხანაში, როგორიც არის ექვსი თვე, მენშევიკებმა, როგორც უფრო მომზადებულმა პოლიტიკურმა პარტიამ, დაარსეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და აუწყეს ქვეყანას, რომ ამის შექმნა აუცილებელიაო, ამას ითხოვს ერისა და ქვეყნის ინტერესებიო. ექვსი თვის შემდეგ კი, ასეთივე დაბეჯითებით მოითხოვენ და ამბობენ ყოვლად შეუძლებელია ამ რესპუბლიკის არსებობაო.

სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ასეთი წაქც-უკუქცობა არ შეიძლება. ეს აიხსნება მით, რომ ეს პარტია იყო უხერხემლო პარტია, რომელიც მუდამ ირყეოდა ორ კლასთა შორის და არასოდეს არ დაფიქრებულა, რომ გუშინ თუ ასე ვმსჯელობდი, დღეს პირდაპირ საწინააღმდეგოდ რათ ვმსჯელობ? და აი ასეთ მდგომარეობაში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკა.

ნეიტრალიტეტი საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაიქცა დროშათ, სრული დამოუკიდებლობა, სრული ნეიტრალიტეტის დაცვა, არავისთან ომი, არავისაგან დახმარება, ჩვენი საკუთარი ძალებით განვითარება ჩვენს ფარგლებში, საკუთარი მოღვაწეობა, საკუთარი მეურნეობა, საკუთარი წარმოება—ასეთი იყო დღის ლოზუნგი.

მაგრამ აი, აქაც ჩანს მენშევიკური პარტიის არა მარქსისტული აზროვნება. შეუძლებელია ვინმემ წარმოიდგინოს ისეთი სახელმწიფო, ისეთი კუნძული, რომ მას შეეძლოს აბსოლიუტური ნეიტრალიტეტის დაცვა. ახლა იმდენათ არის განვითარებული ბრძოლა, რომ ისეთი ტომები, როგორიც არიან არაბები, ისინიც კი იწონება თანამედროვე სახელმწიფოების მიერ, როგორც აქტიური, მებრძოლი ძალა.

ინგლისის და საფრანგეთის მთელი პოლიტიკა ახლო აზიაში არის მიმართული იქით, რომ თქვენვე ნახავთ ვერც ერთ პატარა ხალხს, რომელსაც, შეიძლება არც კი იცნობდეს ჩვეულებრივ განათლებამიღებული კაცი, რომ ამ პატარა ხალხს არ უდარაჯებდეს ან ინგლისის ან საფრანგეთის იმპერიალიზმის თვალი.

საქართველო კი თავისი ხალხით, თავისი კულტურით, თავისი წარსული ისტორიით და, დარწმუნებული ვარ, მომავლითაც, გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ყველა აღმოსავლეთის ხალხები და შეუძლებელი იყო ვინმეს ეთქვა, რომ საქართველო თავისი ძალებით დაიცავდა აბსოლიუტურ ნეიტრალიტეტს. ეს ტყვილი ფორმულა იქნებოდა და ეს მართლაც ასე გამოდგა. მენშევიკურმა პარტიამ ვერც აქ აუღო საკითხს ალღო. ეჭვს გარეშე იყო, რომ საქართველო თავისი მდებარეობით, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, თავისი კულტურით და განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით უეჭველად გადაიქცეოდა იმის წინააღმდეგ პოზიციათ, რომელსაც ქადაგებდენ მენშევიკები.

მთავარი პირობები საქართველოს რესპუბლიკის დაარსებისა იყო ასეთი. მე მაგონდება საფრანგეთის ოფიციოზ—გაზეთ ტანის წერილი, რომელიც მოყვანილი იყო ჩვენს მაშინდელ დროის პრესაში.

იქ სწერდენ: „ამ ხალხის მნიშვნელობა ე. ი. ქართველი ხალხის ნიშვნელობა, რომელსაც სავსებით არ ვიცნობთ ჯერ ჯეროვნად, ახლა ისე დიდია, რომ უეჭველად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასავლეთ ევროპის დემოკრატიის მხრივო.

პირველ ყოვლისა, თავისი მდებარეობით საქართველოს აქვს იშვიათი მნიშვნელობა მსოფლიო წონასწორობაში. საქართველო არის ბუნებრივი გაგრძელებები აზერბეიჯანის. საქართველო არის შემაერთებელი ხიდი შავსა და კასპის ზღვებს შორის და ვაჭრობის მხრივ ეს არის უახლოესი გზა ხმელთაშუა ზღვის აუზის და ცენტრალურ აზიის შორის.

ეს არის ყველაზე ადვილი და მომგებიანი გზა სპარსეთისაკენ და იმავე დროს გზა ისეთი მდიდარი ქვეყნებისაკენ, როგორიც არის თურქესტანი, ხივა და ბუხარა. პოლიტიკის მხრივ, პოლიტიკური თვალთახედვის ისრით, საქართველო ახალი სახელმწიფოა, რომელიც ორ კონტინენტს შუა მდებარეობს. აი სწორედ ეხლაც, საქართველო, რომელსაც უკავია კავკასიის ფრონტზე დიდი ნაწილი, ჰქმნის ერთგვარ ხელისშემშლელ ზღუდეს ბოლშევიკების და ოსმალეთის შორის. ხელს უშლის ასე ვსთქვათ მათი მოქმედების ძალთა გაერთიანებას“. აი ასეთი იყო დაბადებისთანავე საქართველოს რესპუბლიკის შეფასება.

რასაკვირველია იქვე არ უნდა შევიტანოთ, რომ ამის გამოყენება უნდოდათ იმპერიალისტურ მთავრობებს და ამიტომ ისინი ამბობენ საქართველო არის ბუფერი, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან ერთგვარი პოლიტიკური მანევრები გავაკეთოთო.

ამავეს იმეორებდა ქართულ ენაზე „ერთობა“: ესე იგი საქართველო უნდა იქნეს ბუფერი და ის უნდა იყოს იმპერიალისტების ხელში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „ტანი“ ლაპარაკობს, რომ საქართველო უნდა გამოადგეს ანტანტას, საფრანგეთს, მაშინ, როდესაც „ერთობა“-ს მხედველობაში აქვს ორიენტაცია გერმანიაზე და ის გულისხმობს იმას, რომ ეს ბუფერი უნდა იყოს გერმანიის და ავსტრიის ხელში.

განსხვავება არის მხოლოდ ადრესატებში, აზრი არის ერთი და იგივე. მე, რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ მინდა, რომ საქართველოს მენშევიკები იმპერიალისტები არიან, მე ამას არ ვამბობ, მაგრამ მათი იდეოლოგია არის იმპერიალისტურ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ და, რაც დრო მიდის, მათი იდეოლოგია უფრო მეტად და მეტად მიილტვის იმპერიალისტური გზით. აი საკითხი ამ გზის შესახებ ძალიან საინტერესო საკითხი არის, მაგრამ აქ ამაზე არ გავჩერდები. თქვენ შესაძლებელია გეგონოთ, რომ ასეთი ახსნა-განმარტება, ასეთი შეფასება ამ ფაქტის შემთხვევითი ხასიათის იყო ან იგი წარმოადგენდა გაუგებრობას.

არა, სრულებით გარკვეულ ანგარიშს აძლევდენ მენშევიკები თავის თავს, სრულებით გარკვეულ პოლიტიკით ახასიათებდენ ფაქტს. აქ მათ იცოდენ, როგორც მიზეზები, ისე შედეგები: საქართველო უნდა იყოს იმპერიალისტური ბუფერი. ეს დაწერილი არის შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე. მაგრამ მათ არც მოუნდომებიათ ამის აღმოფხვრა, პირიქით, მათი შემდეგი პოლიტიკა იყო მისი გავრცელება და, როგორც ყოველთვის, ჟორდანია ლაპარაკობდა თავის პარტიის პირველ სიტყვას, ისე აქაც მან სთქვა: „თქვენ იცით, რომ რუსეთმა შემოგვთავაზა სამხედრო კავშირი. ჩვენ კატეგორიული უარი უთხარით. თქვენ გეცოდინებათ რას ნიშნავს ეს უარი. მათთან კავშირი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავწყვიტოთ კავშირი დასავლეთ ევროპასთან“.

როგორც ხედავთ აქ გზები რუსეთსა და საქართველოს შორის გაითიშენ, „ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის გზა—აზიისაკენ. ჩემთვის უმჯობესია დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან კავშირი, ვიდრე აღმოსავლეთის ფანატიკოსებთანო“. აი გზა მომავალი მუშაობისა, აი ფორმულა, რომელიც ედვა საფუძვლად მენშევიკურ პარტიის და ეს ფორმულა მენშევიკურ პარტიას დღემდის სახელმძღვანელოდ აქვს საქართველოში.

ამნაირად კავშირი იმპერიალისტურ ევროპასთან უმჯობესია, ვიდრე საბჭოთა რუსეთთანო. აღსანიშნავია, რომ ეხლა ეს შეხედულება—მე ცოტა წინ წავუსწრებ ჩემს სიტყვას—ერთგვარ გადაფასების პროცესშია. ამ გადაფასებას აწარმოებს, მაგალითად, გრიგოლ ლორთქიფანიძე და ზოგიერთი მენშევიკები აქ. თუმცა საკუთარი ფორმულა, რომლის საშუალებითაც მათ უნდათ ჟორდანიას მიერ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსვლა, მათ არ ჩამოუყალიბებიათ. ეს ჯგუფი თითქოს გრძნობს ჟორდანიას ფორმულის გაკოტრებას და ამიტომ მას სურს აქედან ფეხის ამოთრევა. მაგრამ რა ფორმულას დაეყრდნონ სამაგიეროდ, მათ არ იციან.

რა შედეგები მოჰყვა ამ ფაქტებს, რომლებიც მე მოვიყვანე? როგორ უპასუხა მათ ევროპამ? მან თითქოს მადლობა გადაუხადა მენშევიკებს იმით, რომ იცნო საქართველო.

ამ პოლიტიკამ დაარწმუნა დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტური მთავრობები, რომ საქართველო არავითარ საშიშროებას თავისი მთავრობის სახით მათთვის არ წარმოადგენდა. პირიქით, ეს პარტია, რომელიც სათავეში უდგა საქართველოს ხალხს, არის ხელისშემწყობი ძალა, ის არის გამომხატველი დასავლეთ ევროპის პოლიტიკის. იმპერიალისტები ამბობდენ, რომ საქართველო იყო ბუფერი, მენშევიკური პრესაც ბანს აძლევს: დიახ ბუფერიო.

როდესაც გამოდის მენშევიკური პარტიის ბელადი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია, და ამბობს—ჩვენი გზა არ არის ფანატიკოსებისაკენ, როგორიც არიან რუსები, არამედ ჩვენი გზა არის ევროპისაკენო, ცხადია მეტი პირობა, მეტი ვექსილი პოლიტიკაში საჭირო არის.

ამის შემდეგ ხდება მჭიდრო შეკავშირება იდეიურად, პრინციპიალურად საქართველოს მენშევიკურ პარტიის და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების. ჩნდება ნასკვი და ამ ნასკვს ჩვენ ვხედავთ. ამ მტკივნეულებას ჩვენს ცხოვრებაში დღესაც აქვს ადგილი და ეს მტკივნეულება არის იმ სქელ საქმეებში, რომლებიც თქვენს მაგიდაზე აწყვია.

საკითხი იმაში არ არის, თუ რამდენი მაუზერი გამოიწერა ევროპიდან ხომერიკმა, თუ რამდენი იარაღი უნდა მიეღო მას უცხოეთიდან, ამას არა აქვს მნიშვნელობა. საქმე აქ პრინციპშია.

თუ მე დაგიმტკიცეთ, რომ თქვენსა და იმპერიალისტებს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მაშინ რა საჭიროა იმ ფაქტის მოყვანა, თუ რამდენი კაპეიკი გადმოვა ჩემი ჯიბიდან თქვენს ჯიბეში. ყოველ შემთხვევაში ეს არის მხოლოდ უბრალო კონკრეტიული ფაქტი. უმთავრესი ძარღვი არის იდეოლოგიაში. და მე ვამბობ, რომ ეს დებულება დამტკიცებულია. მე არ მინდა იქ ბრალდების სახით ვინმეს წარუდგინო ეს. მაგრამ მე ვარკვევ აქ თქვენს წინაშე ამ მოვლენის პოლიტიკურ ფესვებს.

ამიერ-კავკასიის მთავრობა მოისპო. ის გაასვენა შესანიშნავი სიტყვით კაკი წერეთელმა. რა დამყარდა აქ მის ადგილზე?—საქართველოს რესპუბლიკა. [illegible] დავიწყებ ერთი პატარა შენიშვნა, თუ რა საფუძველზე დადგა ეს სახელმწიფო.

სახელმწიფო რაზმი ხომ არ არის, რომ შედგენით მოაწყო? ის რაი კანონზე, კონსტიტუციაზე უნდა ყარებოდეს. ისე შეუძლებელია რე პუბლიკის მოწყობა. მაგრამ სწო რედ მენშევიკებმა მოახდინეს ასეთი უკანონობა. რა უფლების ძალით გა დააქციეს მათ საქართველოს ნაცი ნალური საბჭო პარლამენტად? ის ტორიას არ ახსოვს, რომ ასეთი მა გალითი ყოფილიყოს სადმე. ეს იყ სრულიად შემთხვევითი ორგან რომელიც სრულებით არ იყო ხალ ხის მიერ არჩეული. როგორი შ მადგენლობა იყო იქ, ეს ბევრმ თქვენგანმა იცის, აქ მხოლოდ ორ გლეხი იყო, რომელიც პავლე საყ რელიძემ შემთხვევით ქუჩიდან მ იყვანა. მხოლოდ ეს ორი გლეხი ი საქართველოს გლეხობის წარმომად გენელი.

გადაფურცლეთ ისტორია და ვე სად ვერ ნახავთ ასეთ ანარქისტ აქტს. მაგრამ, კარგი, ეს დამყარ მიუხედავათ იმისა, რომ აქ არსებ ლი გაბატონებული პარტია აწა მოებდა ასეთ პოლიტიკას. ჩვენ გ ვახსენებთ როგორ შეხვდა მე-2 ი ტერნაციონალის წარმომადგენ ამ აქტს. ეს ხალხი ალბად იმიტო რომ უაღრესად დემოკრატიულ ხელმწიფოებს წარმოადგენდენ, სა დაც დემოკრატიული კანონი უფრ ძლიერია, ვიდრე ძველად საქრის ტიანოში ქრისტეს კანონი, ასე აქტს დიდი სიხარულით ხვდებ და ამართლებენ მას. შეუძლებელ იყო ეს აეხსნა ვისმეს სხვანაირა გარდა იმისა, რომ აქ ძმაბიჭურ პოლიტიკაა.

ერთ-ერთი მოწმე, რომელმა თქვენს წინაშე გაიარა, სწერდა სომხ ქართველოს შესახებ, რომ აქ არა განხორციელებული ნამდვილი პრო ლეტარიატის დიქტატურა.

„რუსეთი ეს არის ქვეყანა დაქ ცევის და საშიშროების, ტერორ და ეკონომიური გათახსირების. ა არის მხოლოდ დიქტატურა პროლე ტარიატის და ამას ახორციელებ ჩვენი ხალხი უსისხლოდ და მშვ დობიანის გზით. საქართველოს ნა ციონალური საბჭო და პარლამენტ თურმე პროლეტარიატის დიქტატ რა ყოფილა.

რა იწვევდა ქართული სოფლების აჯანყებას

დაბადების პირველ დღიდანვე მენშევიკურ საქართველოს მთავრობის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი უაღრეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხებისა: ასეთი იყო აგრარული, მუშათა კანონმდებლობის, ეროვნული და სხვა საკითხები.

იმის გამორკვევას, რომ მენშევიკური საქართველოს მთავრობამ ვერავითარი ანგარიში ვერ გაუწია საჭირბოროტო კითხვებს, ხალხის უმრავლესობას, მუშებს და გლეხობას, რომ ამ საკითხებში ისინი სავსებით გაკოტრდენ, ჩვენ რამდენიმე დრო უნდა მოვანდომოთ. ავიღოთ აგრარული საკითხი. აგრარული საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და შეადგენს საქართველოს ძირითად საკითხს. საქართველო არ წარმოადგენს ინდუსტრიალურ განვითარებულ ქვეყანას. არ წააგავს ეკონომიურ მხრივ დასავლეთ სახელმწიფოების თანაბარ ქვეყანას. ეს არის უმეტეს ნაწილად აგრარული ქვეყანა, მის ხალხს, მშრომელ მასას, უმთავრესად შეადგენს გლეხკაცობა. ამ საკითხში მათ უნდა ქონოდათ პოლიტიკა, შეფარდებული ამ მშრომელი მასის ინტერესებთან, რომლის უმთავრეს ინტერესს შეადგენს საკითხი მიწის მფლობელობის, მიწის გაწესრიგების, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც გვაქვს, რომ ამ საკითხში სრულიად გაკოტრდა მენშევიკური მთავრობა.

სეიმის არსებობის დროს ჟორდანია ამბობდა, რომ არ გაგონილა არსად ისეთი მაგალითი, როცა ხალხი ერთი წელიწადი უცდის რევოლუციის შედეგებს ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ როდესაც ის ჩაუდგებოდა მთავრობას სათავეში, მეტს აღარ აცდევინებდა მშრომელ ხალხს და მისცემდა სრულ დაკმაყოფილებას ამ საკითხში, რომელიც შეადგენდა ამ მშრომელი მასის არსებობის საკითხს. მაგრამ ჩვენ თვალწინ არის მოხსენებები სხვა და სხვა კომისიების, რომლებიც წარგზავნილი იყო მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში აგრარული საკითხის გამოსარკვევად და ეს მასალები ღაღადებენ ერთის და იმავეს, რომ არავითარი შეღავათი აგრარულ საკითხში, ექსპლოატაცია ყოველ მხრივ, გლეხებს არაფერი არ არგუნეს.

იყო კომისიები გაგზავნილი მთავრობის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, რომელიც პირდაპირ მომაკვდინებელ მოხსენებებს ურდგენდენ მთავრობას. ისინი ამბობენ, რომ არავითარი ნასახი რევოლუციური კანონმდებლობის, რევოლუციონური წესის აგრარულ საკითხში, გლეხობის ინტერესების დაკმაყოფილების მხრივ არ არსებობს. პირიქით ექსპლოატაცია გრძელდება არსებითად. მასალაში აღნიშნულია მრავალი ჩაგვრა, ჩაწიხვლა საქართველოს გლეხკაცობის.

ამას ამბობს კომისია, რომელ თავეში იდგენ მაჰავარიანი და გო გიტა ფაღავა, იქვეს შეტანა ამის უარყოფა ამის შეუძლებელია. მე როგორც ძველად, ისე ეხლაც, არის მხოლოდ თავადაზნაურობის ხელში ამბობს კომისია.

გლეხობა ამბობს,—ეს მთავრობა უეჭველად თავადაზნაურობისაგან არის შემდგარი. სხვანაირად არ შე ვიძლია გავიგოთ, რომ თავად-აზნაურობას მიწებს უტოვებენო. მენშევიკები გვპირდებოდენო მიწასო, მაგრამ არ მოგვცესო მაგრამ ეს მოხდა იმიტომ, რომ თვითონ თავად-აზნაურები არიანო.

ამას ამბობს კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო ამ საქმის მოსაწყობად. გლეხობა დარწმუნდა ასეთ მოქმედებაში მთავრობის მხრივ, დარწმუნდა იმ აგრონომების მოქმედებიდან, რომელიც გაგზავნილი იყო მენშევიკური მთავრობის მიერ. აზრი გლეხობისა ამ კანონის მიმართ აზრი, რომელსაც სწერდა კომისია.

აქედან აშკარაა, ის ხალხი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში გმინავდა აგრარულ საკითხის გადაწყვეტისათვის, ის პირველ ყოვლისა არსებულ მთავრობას მოსთხოვდა მიწით დაკმაყოფილებას. სწორედ ამ უმთავრეს მოთხოვნილებაში საქართველოს გლეხობას ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მისცა. ამის შემდეგ გასაკვირიც არ არის, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, 20 აქა-იქ და შემდეგ კი ფართოთ დაიწყო აგრარული ხასიათის გამოსვლები. გვმახსოვრებათ აჯანყება ოსეთში, აჯანყება ლეჩხუმში, ლაგოდეხში, გურიაში და სხვაგან. ამის უ რის თქმა არავის არ შეუძლია, რადგან, ყველა აქ დამსწრე მოწმე არის ამ საქმისა.

რასაკვირველია, ამ მოვლენას ვერ ავხსნი ისე, როგორც ამას ხსნიდენ მაშინ მენშევიკები, რომ ეს არის ბუნტი ბოლშევიკებს მიერ გამოწვეულიო. განა შესაძლებელია ხალხი, მასა ასტეხო ბუნტარულ ნიადაგზე და წამოიყვანო მთავრობის წინააღმდეგ.

და მეორე—როგორი იყო ეს ბრძოლა: ვერ წარმოიდგენთ, რა გაგულისებული იბრძოდა გლეხობა. მიუხედავათ იმისა, რომ მას არ ჰქონდა იარაღი, არ ჰყავდა ინსტრუქტორები და არც მოწყობილი იყვნენ სამხედროდ, ისინი მაინც იბრძოდნენ სტიქიურად და მკაცრად.

მსხვერპლი მრავალი იყო. ორი თვე გაგრძელდა აჯანყება ლეჩხუმის მაზრაში. ორი თვე ებრძოდა მენშევიკური მთავრობა გლეხებს, აეროპლანებიც კი იყო მოხმარებული, რასაკვირველია ამასთანავე არტილერია და პულემიოტები. პირველ რიგის იარაღით იყო გამოცხადებული გლეხებთან [illegible]

სეთი იყო აჯანყება დუშეთის ხრაში. ერთ თვეს გასტანა დუშეთის გლეხკაცობის აჯანყებამ, ჩვენ პირადათ ვიღებდით მონაწილეობას ამ აჯანყებაში და თითო ნაბიჯით გვდევდა მენშევიკური მთავრობა, სანამ დამარცხებული არ ჩავედით ვლადიკავკაზში.

ერთი თვე ვიბრძოდით და მე, როგორც მოწმე, ვაღიარებ, რომ აქ არ ყოფილა არავითარი საშუალება თანამედროვე განვითარებული ტექნიკის. არავითარი მოწყობა, ეს იყო სტიქიური გამოსვლები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ უმთავრესად აგრარულ ნიადაგზე; ასეთივე აჯანყება იყო ოსეთში, რომელიც დამთავრდა მრავალი ხალხის გაწყვეტით. მე დამავიწყდა, დუშეთის აჯანყებას ისეთი მკაცრი ხასიათი ჰქონდა, რომ წილკანის ველზე 150 კაცამდე დავტოვეთ მკვდარი და დაჭრილი, 90 კაცი ტყვე წავასხით ანანურიდან კავკავში, რომელიც შემდეგ დაბრუნებულ იქნა. გლეხკაცობა ცრემლითა და ტირილით მოგვდევდა უკან.

ეს იყო სტიქიური მოვლენა, მაგრამ აქაური პარლამენტის ორატორები გამოდიოდენ ტრიბუნაზე და არწმუნებდენ ხალხს, რომ ეს იყო [illegible] ბოლშევიკების მიერ მოწყობილი. ამ მტკიცების უნიადაგობა აშკარა იყო მაშინაც.

მე ვამბობ, რომ ამ აჯანყებამ მიიღო მასიური ხასიათი და გავრცელდა საქართველოს ტერიტორიის მთელ სივრცეზე.

ამის შემდეგ გადასდგა რაიმე ნაბიჯი მენშევიკურმა მთავრობამ აგრარულ საკითხში? გადასწყვიტა ის, რასაც მოითხოვდა ინტერესი სოფლის, მშრომელი მასის? შეეცადა მენშევიკური მთავრობა თუ არა ამის შემდეგ მაინც დაეკმაყოფილებია მშრომელი მასა?

არა. აჯანყების შემდეგ არც ერთი ნაბიჯი რევოლიუციის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიღებული არ ყოფილა. ვერავითარი გაკვეთილი ვერ გამოიტანა მენშევიკურმა მთავრობამ ამ ხალხის აჯანყებიდან.

რა იყო, რაში მდგომარეობდა აგრარული პოლიტიკა იმ დროს? ეს იყო ძველი მიწის კანონი, რომელიც შემუშავებული იყო სეიმის დროს და რომელიც დარჩა, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობის ძალით მენშევიკურ მთავრობას. კანონი ნორმების შესახებ, სწორედ იმ ნორმების შესახებ იყო ის მოხსენება, რომელიც მე აქ მოვიყვანე.

ეს არ წარმოადგენდა არავითარ რევოლიუციონურ ნორმას, ეს იყო ერთგვარი მიხველ-მოხვეული გზა გაბატონებული ელემენტების დასაკმაყოფილებლად გლეხკაცობის წინააღმდეგ, შემდეგ კიდევ იყო ერთგვარი ცდა კანონმდებლობის გზით აგრარული საკითხი გადაეწყვიტათ. ეს იყო ერთგვარი დეკრეტი სახელმწიფო ფონდის შესახებ და ამ ფონდიდან მიწის დარიგება გლეხობაზე.

მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, როგორ რიგდებოდა, ვის ხვდებოდა ეს მიწა და რამდენი მღელვარება გამოიწვია სახელმწიფოს ფონდმა იქ, სადაც მიწის ფონდიდან რიგდებოდა მიწა.

აი, ამნაირად ამ საკითხში სრული გაკოტრება ახასიათებს მენშევიკურ მთავრობას.

როგორ მოაგვარა მენშევიკურმა მთავრობამ მუშათა საკითხი

შესაძლებელია მენშევიკური მთავრობა, რომელიც თავის თავს სახელად უწოდებდა მუშურ პარტიას, გამოიჩინა რაიმე მუშურ პოლიტიკაში? შეიძლება ერთგვარ სინიდისის კარნახით და თავის პარტიის წარსული კარნახის ქვეშ რაიმე რევოლიუციონური ნაბიჯი გადადგა მუშათა კლასის სასარგებლოდ?

მაგრამ არც აქ, ისე როგორც გლეხობის საკითხში, არავითარი ზომა არ არის, არავითარი საშუალება მიცემული არ იყო.

ამას აღიარებს თვით ჟორდანია. აქ იყო, ასე ვსთქვათ, გამრკვევი და დამფუძნებელი იმ დეკლარაციისა, რომელიც გამოვიდა მენშევიკურ ორგანიზაციის სახელით.

ნოე ჟორდანია ამბობს: უმთავრესი და ძირითადი არის მუშური საკითხი. მაგრამ ეს საკითხი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ მრეწველებსაც. და უნდა ითქვას, რომ ამ დარგში არაფერი გაკეთებულა და ამის გამო მუშათა კლასში იზრდება მღელვარებაო.

მუშები უკმაყოფილონი არიან და ფეხს იდგამს ბოლშევიზმიო, ბოლშევიკური აგიტაციაო. და წარმოიდგინეთ, რომ მრავალი მენშევიკი მუშა დასნეულდა ბოლშევიკური სენითო.

აი ეს პოლიტიკა ახასიათებს მუშათა საკითხში მენშევიკებს. უნდა ვსთქვათ, ის აქ ცოტათი მაინც შეეცადა რაიმე გაეკეთებია მუშებისათვის, ვიდრე გლეხებისათვის. აქ ცდა მაინც იყო, მაგრამ ის ვერ გადასცდა იმ ბურჟუაზიულ ცდას, რომელსაც აწარმოებდა დასავლეთი ევროპა, რომელიცა ცდილობს ჩაახრჩოს მუშებში რევოლიუციურ მოძრაობის სული. ამ მხრივ მუშობა არ გასცილებია შემრიგებელ პარიტეტულ კამერას და სატარიფო პალატას.

აი ის მიღწევანი, რომელიც მისცა საქართველოს მშრომელ ხალხს მენშევიკურმა მთავრობამ. რა არის ეს კამერის სისტემა და სატარიფო პალატა? ეს არის თანაბარი, რიცხობრივი წარმომადგენლობა როგორც მუშისა, ისე მრეწველის. ეს არის შემრიგებელი ორგანო.

რომ სატარიფო კომისიები და შემრიგებელი კომისიები ვერაფერს გაკეთებდენ, ეს აშკარაა და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. და აი ასეთი დაწესებულება ჩასჩარეს პირში მუშებს მენშევიკებმა.

შესდგა აქ საქართველოს პროფკავშირების საბჭო. ეს აუცილებელი იყო, იმიტომ, რომ გაჭირვება მუშათა მასებში ღებულობდა გამწვავებულ ხასიათს: სიძვირე იზრდებოდა, ხელფასი კლებულობდა და საბინაო საკითხი მთელი თავისი საშინელებით იდგა მათ წინ.

ჩვენ გვეგონა, რომ ეს საბჭო იქნებოდა საქართველოს პროფკავშირების ორგანიზაცია, მაგრამ აღმოჩნდა წინააღმდეგი; ეს გარდაიქცა მთავრობის აგენტად მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მთელი არსებობა მენშევიკური მთავრობის აღინიშნება განუწყვეტელი ბრძოლით პროფკავშირთა საბჭოში და მასთან ერთად სატარიფო პალატის შორის. ცალკე პროფკავშირები ერთის მხრივ ებრძოდენ სატარიფო პალატას ეკონომიურ მოთხოვნილების ნიადაგზე. ეს შეეხებოდა სამუშაო ქირას, ცხოვრების სიძვირეს, საბინაო საკითხს და სხვას.

იმ დროს, როდესაც ეს ორგანიზაციები უნდა ყოფილიყვნენ ხელმძღვანელი მუშათა კლასის, ისინი მასას გადაუდგნენ და ბრძოლა გააჩაღეს პროფკავშირებთან. ამ ბრძოლის ნიადაგზე, ამ უკმაყოფილების ნიადაგზე მრავალი მასალა იყო, მაგრამ მუშათა კლასი ვერ ბედავდა უკმაყოფილების ხმა ამაღლებია მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს იწყება რევოლიუცია საქართველოს პროფკავშირებში; პროფკავშირები გადადიან ბოლშევიკურ ნიადაგზე, იწყებენ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ.

მაშინ ჩვენ ციხეში ვიჯექით და მთავრობაც ავსებს მეტეხს ამ პროფკავშირების მმართველი წევრებით. ეს ფაქტი თავის თავად ღაღადებს, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა მიეჩქმალა ეს სამარცხვინო ფაქტი, აშკარად გამოდიან პროფკავშირთა კრებებზე მმართველები და აშკარად ამბობენ, თუ რაშიაც იყო საქმე.

1920 წლის 16 ნოემბერს მბეჭდავთა პროფკავშირები მოხსენებას აძლევენ. მთლად არ მოვიყვან ამ მოხსენებას, ამოვიღებ მხოლოდ ერთ ადგილს. მოხსენებაში ისინი ამბობენ: სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც შეიქმნა საქართველოში, ჩვენ არა თუ არ გვაუმჯობესეთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, არამედ შევქმენით უარესი პირობები, პირობები, რომელიც უარესია თვითმპყრობელობის ეკონომიურ რეჟიმზეო.

მე არ გამოუდგები მაშინდელ პრესას, მაშინდელ პრესაში საკმარისად არის გაბნეული წერილები თვით მუშების მიერ, რომელნიც ღაღადებენ იმის შესახებ, რომ მდგომარეობა აუტანელია, რომ პირობები დღითი დღე უარესდება, რომ შეღავათი არსად სჩანს და არავითარი საშუალების იმედი არაა.

მაშინ „ახალი სხივში“ იბეჭდებოდა აუარება კორესპონდენციები ძველი მენშევიკი მუშების. ისინი სწერდენ: რას მოვესწარით ამას? ჩვენ გვეგონა ჩვენი მთავრობა იყო, რომელიც დააკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებებს, ეხლა კი მონატრებული ვართ იმ მდგომარეობას, რომელიც მოსპო რევოლიუციამ. ეს პროტესტის ხმები ძალიან დამახასიათებელია იმის, თუ რა ხდებოდა მაშინ. ასეთი კორესპონდენციები იყო არა მარტო „ახალ სხივში“, არამედ თვით „ერთობაში“-აც იბეჭდებოდა.

ასეთი იყო პოლიტიკა მენშევიკური მთავრობის მუშათა საკითხში.

როგორ გრძნობდენ თავს „დემოკრატიულ“ სამოთხეში მცირე ეროვნებები?

გადახედეთ ეხლა თქვენ მათ საქმიანობას ნაციონალურ საკითხში. ეს პოლიტიკა იმდენათ მწვავე, იმდენათ აშკარა იყო თავის ხასიათით და შედეგებით, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია.

აქ იყო გამოცხადებული ჟორდანიას სახით: ჩვენ ვდგევართ თვითგამორკვევის პრინციპზე და ყველა პატარა ერს, რომელიც ჩვენ ტერიტორიაზე არის, მივცემთ თვითმართველობებსო.

ეს პრინციპები შემდეგ ვერსალის კონფერენციამაც გამოაცხადა თავის დეკლარაციით, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გამოცხადებას აქვს მნიშვნელობა იმდენათ, რამდენათ ის ტარდება ცხოვრებაში.

ცხოვრებაში ჟორდანიას პრინციპები არ გატარებულა. ოსეთმა აღძრა საკითხი ოსეთის ავტონომიურად მოწყობის შესახებ. ყოველნაირი ღონე იხმარა მენშევიკურმა მთავრობამ, რომ ოსეთის ეს მოთხოვნილება რაიგორმე გაეუქმებინა.

ჯერ დაიწყეს დიპლომატიური, პარლამენტარული გზით მოქმედება. ოსეთში გაამგზავრეს ირაკლი წერეთელი, რომელიც ურჩევდა ოსეთს: რათ გინდათ თქვენ ავტონომია, ისედაც ბედნიერი იქნებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიო, მაგრამ ირაკლი წერეთლის მჭერმეტყველობას დაუპირდაპირდა ხალხის საერთო გულისწყრომა.

მაშინ მთავრობამ მიჰყო ხელი მეორე საშუალებას, დაადგა მეორე გზას, გზას რეპრესიებისას, იარაღი იხმარა იმ მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც სრულიად კანონიერად ვითარდებოდა ოსეთში.

ოსეთს უნდოდა უბრალო ავტონომია თავის ფარგლებში. თქვენ ყველას გემახსოვრებათ როგორი ცეცხლით და მახვილით გაიარა მენშევიკურმა მთავრობამ ოსეთში. თქვენ გემახსოვრებათ აგრეთვე ოსეთის აჯანყება ჯავის ხეობაში, რა შედეგი მოჰყვა და როგორ შეხვდა ამას მენშევიკური მთავრობა.

ეს აწერილი არის ერთ წიგნში, რომელსაც სახელად ჰქვიან: „მძიმე ჯვარი“, მაგრამ ვისთვის იყო ეს მძიმე ჯვარი: იმ პარტიისათვის, რომლის სახელითაც დაიწერა ეს წიგნი, თუ იმ ხალხისათვის, რომელიც იჟლიტებოდა და ნადგურდებოდა? რასაკვირველია ოსებისათვის.

გადავიდეთ ახლა როგორი დამოკიდებულება იყო აფხაზეთსა და მენშევიკებს შორის. პირველად ყოვლისა რაღაც მსგავსება საბჭოთა ხელისუფლებისა იყო გამოცხადებული აფხაზეთში, მაგრამ ეს ცდა ცეცხლითა და მახვილით ჩაახრჩვეს. ამ მცირე ბრძოლებში ბევრი ითქმის სახელს და ეწყობა ნაციონალურ გმირის ტანისამოსში. მათ ხელს უწყობს მენშევიკური პარტია და ტაშს უკრავს პარლამენტის დამფუძნებელი კრება.

ამის შედეგია ის, რომ როცა 1920 წლის შუაგულში აფხაზეთში არჩევნები დაიწყეს ჯერ ადგილობრივ ერობისა და ქალაქის დაწესებულებისა და შემდეგ არჩევნები დაიწყო დამფუძნებელ კრებისათვის, მენშევიკური პარტია დამარცხდა აქ და სავსებით გაკოტრდა.

აიღეთ დამოკიდებულება მენშევიკური პარტიისა სომხებთან. ეს პოლიტიკა აღნიშნულია მრავალმხვერპლიან და მრავალსისხლიან ომით. დავა იყო ატეხილი რამოდენიმე ნაგლეჯი მიწის ირგვლივ და აქ დიდი ამბავით გამოეწყო საბრძოლველად მენშევიკური პარტია. და ასე მენშევიკური მთავრობა უკვე ეკვეთა დაშნაკელთა მთავრობას, შემდეგ გარეშე ძალის ბრძანებით შეჩერებული იყო ეს ომი.

მოიგონეთ მენშევიკურ მთავრობის პოლიტიკა აჭარის საკითხში. აქედგან შეგიძლიათ გამოიტანოთ დასკვნა, თუ როგორი იყო ნაციონალური პოლიტიკა მენშევიკური პარტიისა და მენშევიკური მთავრობისა.

როგორ ხსნიდენ მენშევიკები გერმანიის საქართველოში შემოსვლას?

აშკარაა ასეთ ქვეყანას, სადაც ძაღლი პატრონს ველარ სცნობს, სადაც არავითარი სიწყნარე არ არსებობს და რომელიც ძალიან კარგ და სასურველ ლუკმას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპისათვის, რომელიც მასთან გზა იყო იმპერიალისტური სურვილების განსახორციელებლად, აშკარაა, რომ ასეთ ქვეყანას. დასავლეთი ევროპის იმპერიალისტები არ დასთმობდენ და მართლაც გერმანია შემოიჭრა აქ. თვით საქართველოს მთავრობა აცხადებდა, რომ გერმანია მოწვეულია ჩვენი სურვილით და ის მოდის როგორც მეგობარი და დამხმარეო.

საქართველოს მთავრობა აცხადებს ხალხის საყურადღებოთ, სწერს „ერთობა“, რომ გერმანიის ჯარები მოწვეული არიან მთავრობის თანხმობით და აქვთ ერთად-ერთი ამოცანა — დაიცვან საქართველო გარეშე მტრისაგან.

ნაწილი ამ ჯარებისა გაგზავნილია ბორჩალოს მაზრაში, ბორჩალოს მაზრის ავაზაკთა წინააღმდეგ. ეს იყო მთავრობის ცნობა, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ერთობაში“.

„ერთობა“ სწერდა ასე, როგორც ასი წლის წინად მე-18 საუკუნის წინათ საქართველოში ხდებოდა აჯანყება, და ამ აჯანყებას თავადაზნაურობა აწყობდა, დღეს მას სჩადიან ბოლშევიკებიო. და, როგორც მაშინ, საქართველო შეურიგდა რუსეთის ხელისუფლებას და მის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, ისე დღეს უნდა შეურიგდეს უცხო სახელმწიფოების, კერძოთ გერმანიის, ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში და მის აქ დამკვიდრებასო.

აი ასეთი იყო მენშევიკური პარტიის და მისი მთავრობის შეხედულება გერმანიის ჯარზე, რომელიც საქართველოში შემოვიდა. ეს არსებითად საქართველოს შიშველი, პირწავარდნილი ოკუპაცია იყო. მაგრამ აქაური მენშევიკური პრესა და პარტია ამას აძლევს სულ სხვა ხასიათს.

ცინიზმი იქამდე მიდის, რომ „ერთობა“ იგონებს რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლას საქართველოში და ამით ამართლებს გერმანიის ჯარის შემოსვლას. ის ამბობს, რომ მაშინ ჩვენი ხალხი შეურიგდა რუსეთის დაბანაკებას საქართველოში და ეხლა უნდა შეურიგდეს გერმანიის ჯარების შემოსვლასო.

მე თქვენ გეკითხებით — რა ჰქვია ამას თანამედროვე ენაზე? ამას ჰქვია ოკუპაცია. აქ არის დარღვევა ყოველნაირი დამოუკიდებელ სახელმწიფოს უფლებების. უცხო ჯარი მოდის, უგერიებს მთავრობას გარეშე მტერს, ებრძვის მის შინაურ მტერს.

მაგრამ დამარცხდა გერმანიის მთავრობა ბრძოლის ველზე. რასაკვირველია, საქართველოს მაშინდელი გერმანიის მეგობარი მთავრობა იცვლის ორიენტაციას და ხდება მისი მტერი და ემხრობა ანტანტას.

რა მოუტანეს ქართველ ხალხს ანტანტის ჯარებმა?

ამას თან შედეგათ მოსდევს ანტანტის ჯარების შემოსვლა საქართველოში. ეხლა ვნახოთ ამ ანტანტის ჯარებმა მოუტანეს თუ არა დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი მენშევიკურ მთავრობას. აქ მრავალ ფაქტებს ჰქონდა ადგილი და ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ის სურათი, რომელიც მაშინ არსებობდა.

ანტანტის წარმომადგენლებს მენშევიკები ჯერ კიდევ ბათომში არწმუნებენ თავის რწმუნებულს, რომ ნაადრევად მოემზადებიათ მათი აზრი. ასეთი მაგალითი იყო ბათომში, როდესაც დიომიდე თოფურიძე იქნა წარგზავნილი ანტანტის წარმომადგენლთან შესახვედრათ.

მაშინ ჩამოვიდა აქ მისია, რომელსაც მეთაურობდა ვიღაც ინგლისელი. ამავე დროს მეორე წარმომადგენელი ნატანებში იყო. აი სწორედ დიომიდე თოფურიძე მასთან ეძებდა საშუალებას, რომ რამნაირად ეს საშინელი ძალის წარმომადგენლი დაერბილებინა და საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ მოემზადებია.

ის თავის მოხსენებაში მთავრობისადმი სწერდა: ყველა საკითხები იყო დაყენებული იმნაირად, რომ ჩვენი საუბრიდან გამოდიოდა ერთად-ერთი ლოღიკური დასკვნა: საქართველომ თვითონ უნდა შესთავაზოს თავისი დახმარება, თავისი ძალა ანტანტას, ლაპარაკი მათ შორის იყო მეტად საინტერესო, მისი პოლიტიკური შინაარსით.

ანტანტის წარმომადგენელმა მიმართა თოფურიძეს ასეთი შეკითხვით: „მე ვიყავი გავლით თბილისში, მე შევამჩნიე იქ წითელი დროშები, რითი აიხსნება, რომ თქვენ სატახტო ქალაქში წითელი დროშები ფრიალებს“?

„სოციალისტი“ დიომიდე თოფურიძე ამაზე უპასუხებს, რომ დროშები სრულებით არ ახასიათებს მთავრობის პოლიტიკას, რომ ეს დროშა არის ეგრედ წოდებული წითელი გვარდიის დღესასწაულის აღსანიშნავად, რომ ამ დროშებს არავითარი კავშირი მთავრობასთან არა აქვს.

მაგრამ საოცარი ეკზამენატორი და კოლონიზატორი განაგრძობს გამოცდას. ის აძლევს მეორე შეკითხვას: „თქვენი მთავრობა სოციალისტური არის თუ არა“.

„სოციალისტი“ თოფურიძე უპასუხებს: „არა, სოციალისტური არ არის“. პეტრე მოციქულივით უარჰყოფს ის თავის მთავრობას და ამხანაგებს.

რით აიხსნება, განაგრძობს ეკზამენატორი, ის მოვლენა, რომ თქვენმა მთავრობამ წერილი გაუგზავნა ინტერნაციონალს?

„სოციალისტი“ თოფურიძე ეუბნება: „აქ მთავრობა არაფერ შუაში არ არის, საქმე აიხსნება იმით, რომ ერთ და იმავე დროს, ერთი და იგივე პირები შედიან მთავრობაში და პარტიაშიო. როდესაც ისინი ამ წერილს სწერდენ, მაშინ თავს გრძნობდენ არა მთავრობის წევრებად, არამედ პარტიის წევრებადო, მაშასადამე, ეს არის მიმართვა პარტიის და არა მთავრობისო“.

რასაკვირველია, ეს ფილოსოფია პრაქტიკულად მოაზროვნე კოლონიზატორისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა. მე აღარ განვაგრძობ ციტატების ამოღებას. საუბარი გათავდა იმით, რომ ანტანტის წარმომადგენელმა პირდაპირ დაუსვა საკითხი: „თქვენი მეგობრები ამიერიდან უნდა იყვნენ ინგლისი და ამერიკა, ამათ უნდა გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება, უნდა ითანამშრომლოთ მათთან და უნდა წარმართოთ თქვენი საქმეები მათთან შეთანხმებით“.

შემდეგ მე მოგაგონებთ თქვენ საქართველოს მენშევიკურ მთავრობის თავმჯდომარის საუბარს სხვადასხვა ღენერლებთან, რომელნიც აქ მაშინ მრავლად ჩამოდიოდენ ჟორდანია ელაპარაკება ღენერალ მილნს: „მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ღენერალ უოკერმა სწორად აუღო ალღო ჩვენ ცხოვრებას, მან პირველად გაიგო ჩვენი ცხოვრება და მეორე მხრივ ჩვენ საშუალება გვაქვს სწორად გავიგოთ მისი პოლიტიკის მიზანი და მისი აზრი“-ო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ღენერალი ტომსონი აცხადებს: — საქართველოში უნდა აღდგენილ იქნას ნამესტნიკობა, საქართველო უნდა განთავისუფლებულ იქნას გერმანიის ჯარისაგან, ჩვენი სამხედრო კომანდორობა ოკუპაციის აბდენს.

ადგილობრივი ჯარი უნდა დაგვემორჩილოს ჩვენ.

სრული თავისუფლება უნდა დაწესდეს რკინის გზებზე და ნავთსადგურებზე ჯარის გადასაზიდავათო.

რა მოყვა ამას? არავითარი წინააღმდეგობა მენშევიკური პარტიის მხრივ. ანტანტის ჯარი შემოდის თბილისში.

29 დეკემბერს 1919 წელს პოლკოვნიკი ჟორდონი სწერდა ბრძანებას: „მოამზადეთ ბინები ქვეითა ჯარისათვის, არტილერიისათვის და შტაბისთვისო“...

ეს ბრძანება, რასაკვირველია, შესრულებული იქნა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა ინგლისის მთავრობა.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ სურს კეთილი განწყობილება იქონიოს ანტანტასთან.

თქვენი მანდატი, როგორც ამბობთ მდგომარეობს იმაში, რომ დაამყაროთ საქართველოში წესრიგი. ჩვენ ანგარიშს უწევთ თქვენ გეგმებს, თქვენ პლანებს, თქვენ პერსპექტივებს, ვიცით, რომ ისინი საქართველოს საზღვრებს სცილდებიან, მაგრამ წინადადებას გაძლევთ, რომ ამ გეგმას განსახორციელებლად გამოიყენოთ ადგილობრივი აპარატი.

ამნაირად საოკუპაციო ჯარს საქართველოს მთავრობა ეუბნება — მობრძანდით, დაბანაკდით როგორც გნებავთ. თქვენ აზრად გაქვთ მოაწყოთ ჩვენში სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა, მაგრამ ამავე დროს სრული უფლება გაქვთ გამოიყენოთ ჩვენი შინაური აპარატი იმ მიზნებისთვისაც კი, რომელნიც სცილდებიან საქართველოს საზღვრებს, ე. ი. რომ აწარმოოთ თქვენი იმპერიალისტური პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართ, შეგიძლიანთ გამოიყენოთ საქართველოს აპარატი. აი აზრი ამ წინადადების, ამას ვერავინ ვერ უარყოფს, ვერავინ ვერ დააფარებს ხელს.

მეორე ღენერალი, აყალიბებს თავის პოლიტიკას ერთგვარ თეზისებში. ასე იწყებს ის თავის თეზისებს: დიდი სახელმწიფო ვერ მოითმენს, როცა პატარა სახელმწიფო დაიწყებს პირველობას თავის დამოუკიდებლობისა და ღირსების ნიადაგზე. ამას ეუბნება ღენერალი უოკერი — საქართველოს მთავრობას. თქვენ დამოუკიდებლობის ნიადაგზე პირველობა არ დაიწყოთო.

შემდეგი თეზისი არის: ჩვენი მტერია — ოსმალეთი, გერმანია და ბოლშევიკები. ჩვენ გადავწყვიტეთ მათი სრული მოსპობა, სადაც არ უნდა იყონ, იმიტომ, რომ მათი არსებობა საშიშროებას წარმოადგენს არსებულ მდგომარეობისათვის, იგინი არღვევენ ზავს და იწყებენ ანარქიას.

მე მგონია, არავითარი მტკიცება, რომ ეს იყო პირწავარდნილი, შიშველი ოკუპაცია, ისე, როგორც გერმანიის ჯარების დროს, საჭირო არ არის, ეს ისედაც აშკარაა. და, როდესაც ახლა ასე ამწვავებენ ოკუპაციის საკითხს და ოკუპაციას უძახიან საბჭოთა მთავრობის შემოსვლას საქართველოში, საჭიროა ცოტა ოდნავ მიიხედონ უკან და ნამდვილი სახელი დაარქვან იმას, რაც თითონ ჩაიდინეს.

შეეკითხა თუ არა საქართველოს მთავრობა ერთხელ მაინც ხალხს: „ჩვენ სახელმწიფოში შემოდის უცხო სახელმწიფოს ჯარები, რომელნიც წიხლავენ ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენ სუვერენიტეტსო. მიიღო მან ამ ხალხისაგან დასტური ან უარყოფა? არა ასეთი მაგალითი არ ყოფილა. მაშასადამე ამას სწყვეტდა მენშევიკური მთავრობა, მენშევიკური პარტია.

მე ვამტკიცებ, რომ ეს იყო სრული ოკუპაცია, სხვანაირი ოკუპაცია არ არსებობს რასაკვირველია, რომ არ მომხდარიყო ცვლილება საერთაშორისო ცხოვრებაში, ეს ოკუპაცია სრულ კოლონიზატურ ხასიათს მიიღებდა: სწორეთ ისეთს, როგორიც არის ეგვიპტეში ინდოეთში და სხვაგან.

მენშევიკური მთავრობა ანტანტის ღენერლების სათამაშო ბურთს წარმოადგენდა

წარმოიდგინეთ თქვენ, ყოველ წვრილმან საკითხში ერეოდა ინგლისის საოკუპაციო ჯარი და მისი სარდლობა; არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა საოკუპაციო ჯარი აქაურ მთავრობას. არ აძლევდა არავითარ საშუალებას თავისუფლებით გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი.

მე მოვიყვან ერთ მაგალითს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩრდილოკავკასიაში ჩვენ დაგვამარცხა დენიკინის ჯარებმა. შეიქნა საშინელი მდგომარეობა. ჩვენ 2000 კაცი მომწყვდეული ვიყავით კავკავში, გარშემორტყმული გვქონდა ალყა თეთრგვარდიელთა რაზმების. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ტყვიის მფრქვეველებით და ზარბაზნებით.

ჩვენ არავითარი ბრძოლის საშუალებები არა გვქონდა. სრულიად უიარაღოთ, უტყვიოთ, ჩვენ ვებრძოდით ქალაქში გარშემორტყმულ მტერს და დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ მოწყვეტილ მთელ ქვეყნიერებას იქ გაჟლეტილი ვიქნებოდით. ვიცავდით, მხოლოდ ერთად ერთ გზას, რომელიც მიდიოდა საქართველოსაკენ და იმედი გვქონდა, რომ უკანასკნელ წუთში საქართველო მიგვიღებდა ჩვენ, როგორც სამხედრო ხიზნებს, რასაკვირველია იარაღის ჩამორთმევით.

სწორედ, მეცხრე დღეს, როდესაც სამი ადგილიდან შემოამტვრიეს კარები შკუროს ნაწილებმა, ჩვენ იქედან დავიძერით პირდაპირ საქართველოსკენ. წამოვიღეთ ცოტა ტყვიები, რომელიც გვჭირდებოდა იმისათვის, რომ როგორმე უკან მომდევარი მტერი მოგვეგერებინა, მოვსულიყავით საქართველოს საზღვრებთან. ეს კიდევაც მოვახერხეთ.

ლარსიდან ამხანაგებმა გამომგზავნეს ყაზბეგში მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. ჩვენ მივმართეთ საქართველოს მთავრობას, რომ მივეღეთ სამხედრო ხიზნებათ, რადგან უკან ფეხ-და-ფეხ მოგვდევენ შკუროს ჯარები. რასაკვირველია, როგორც კი საზღვარზე გადმოვედი, ვიქენ დატყვევებული ცნობილი პოლკოვნიკ წერეთლის მიერ. მე მას აუხსენი მიზეზი ჩემი მოსვლის, მაგრამ ის არ მიშვებდა.

მე უთხარი: მდგომარეობა ასეთია, თქვენ არ შეგიძლიათ დამიშალოთ ხელი მთავრობასთან მოლაპარაკების. ამან იქონია გავლენა და მე მომეცა საშუალება მოლაპარაკების, მაგრამ არა პირადათ. მე ვლაპარაკობდი და ის ჩემს სიტყვებს იმეორებდა. გადავეცი მთავრობას, რომ მდგომარეობა ასეთი არის, ჯარი დამარცხებული მოადგა საზღვარს.

მთავრობამ შემომითვალა, რომ ამის შესახებ თათბირს ვიქონიებთ და პასუხს მოგცემთო. ეს თათბირი გაგრძელდა დიდ ხანს. ყოველი წუთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს სწყვეტდა, ჩვენ პასუხს ველოდით და პასუხი არ იყო.

მხოლოდ მეორე დღეს მივიღეთ პასუხი და ისიც ასეთი: „მარტო ქართველ ბოლშევიკებს შეუძლიანთ უიარაღო შემოსვლა საქართველოს საზღვრებშიო“. ჩვენთან კი უმეტესობა რუსის ჯარისკაცობა იყო.

აქ შეიქმნა საოცარი მომენტი. ჩვენ ქართველებს, ასს თუ ორას კაცს, უნდა მიგვეტოვებია ესენი, გამოვყოფოდით მათ, გვეღალატა მათთვის და თავი მოგვეფარებინა საქართველოში. მე დავუწყე მუდარი პოლკოვნიკ წერეთელს. შემდეგ კიდევ ამოვიდა იქიდგან რამოდენიმე კაცი და უთხარი წერეთელს — რა კაცი ხარ შენ, შენ ხომ არც ჩვენთან გაქვს საერთო, არც მენშევიკებთან, გაგვიშვი მოველაპარაკო მთავრობას, შენ რა გენაღვლება?

ამ კილომ გასჭრა და ამ დროს მოგვივიდა ცნობა, რომ შეიძლება ჩვენი შემოშვება, ოღონდ იარაღის და ქონების ჩამორთმევითო. რასაკვირველია, იარაღის ჩამორთმევის წინააღმდეგი არც ჩვენ ვიყავით. ჩვენ განგვაიარაღეს, ქონება ჩამოგვართვეს. მაგრამ ასე არ მოხდა. შემდეგ მასალები რომ გამოვიკვლიეთ, აღმოჩნდა ასეთი საბუთი: „განაიარაღეთ ბოლშევიკები ყაზბეგში და დაპატიმრებული გადააგზავნეთ მეტეხში“-ო.

დასასრულ ინგლისის ჯარების სარდალმა გასცა ბრძანება, რომ აეკვეთათ ყოველნაირი საშუალება ბოლშევიკური რაზმების შემოხიზნისა და მართლაც დაიკეტა კარები და 35 საზღვარზე მოსული მტრისგან დევნილი ამხანაგები ქართველ ჯარის კაცებით გარშემორტყმული უკან იქნენ დაბრუნებულნი.

რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ბრძანება იყო ინგლისის სარდლობის რომ არ შემოეშვათ არც ერთი ბოლშევიკი. ეს ბრძანება პირნათლად შეასრულა მენშევიკურმა მთავრობამ.

მე ბრძანებას ვაძლევო, ამბობს ღენერალი, რომ ყაზბეგში დანიშნული იქნეს ინგლისელი ოფიცერი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის კიდევ. იქ დანიშნული უნდა იქნეს დენიკინის ჯარის ოფიცერი, რადგანაც საჭიროა პიროვნებების გამოცნობა. და ეს იმ დროს, როდესაც აქ არსებობს, „დამოუკიდებელი“ „სუვერენული“ მენშევიკური მთავრობა.

ვეკითხებით, რანაირი ახსნა შეიძლება ამ ფაქტის. ეს არის ნამდვილი ოკუპაცია. არც მიღება, არც განთავისუფლება არ შეუძლია მთავრობას გარეშე იმისა, რასაც უბრძანებს შემოჭრილი უცხო სახელმწიფო.

მოგვყავს კიდევ ერთი მაგალითი. აქ რაღაცა მანქანით და, როგორც შემდეგ გამოირკვა ეს იყო ინგლისელების მახინაცია, — აფეთქებულ იქნა ძეგვის ხიდი, დაიჭირეს რამდენიმე პიროვნება და ისინი ჩვენთან ერთად მოათავსეს ციხეში. მათ სიკვდილის სასჯელი მოელოდათ, ვინაიდგან აქ მჟღავნდებოდა სახელმწიფოს ღალატი.

ერთ მშვენიერ საღამოს შემოვიდა ციხეში ვიღაც ინგლისელი ოფიცერი და მოითხოვა ციხის უფროსი. ის არ იყო იქ და მას შეეგება ციხის უფროსის თანაშემწე. აი ქაღალდი — უთხრა ინგლისელმა და მიაწოდა მას მოწერილობა, ესა და ეს დაპატიმრებული უნდა გაანთავისუფლოთო. მოწერილობა იყო მთავრობისაგან. იქვე ალაყაფის კარებთან იდგა ავტომობილი და ეს შმავაილოვი, სომეხი (გვარი არ მახსოვს მისი) და სხვები გამოიყვანეს საკნებიდან და გასწიეს საქართველოს საზღვრებისაკენ.

ეს იმის დასასაბუთებლად მოვიყვანე, რომ სასამართლოს საქმეებშიდაც კი კარნახი იყო იმპერიალისტური სარდლობის. აქაც სრული ბატონ-პატრონი იყო სარდლობა. და თქვენ კარგათ გახსოვთ რა შეურიგებლობა და ძალმომრეობის წინააღმდეგ სულისკვეთება შეიქნა საქართველოში ინგლისელების მიმართ, ეს გამოიხატა მრავალ აქტებში.

ერთმა პაიჭაძემ, რომელიც წინეთ ჩემთან ერთად ციხეში იჯდა, მოჰკლა ინგლისელი აფიცერი, თუ ექიმი იმ ქალის შეურაცყოფისათვის, რომელიც მიყობოდა პაიჭაძეს. ინგლისის სარდლობამ მოითხოვა, რომ იმავე დღეს გაესამართლებიათ პაიჭაძე და სამ საათზე გამოუტანეს მას სიკვდილის განაჩენი. მაგრამ პაიჭაძე [illegible] იყო და ნიკოლოზის ქუჩით გაიქცა.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ არ არსებობდა არც ერთი დარგი სახელმწიფოში რომელშიაც არ შეჭრილიყვნენ უცხოელები.

რა დამოკიდებულებაში იყო მენშევიკური მთავრობა დენიკინთან

როდესაც დატუსაღებული მოვდიოდით ანანურიდან და ფასანაურიდან, ჩვენ, ტყვეებს შემოგვეხვიენ ინგლისის ოფიცრები და ლეკურის თამაში დაიწყეს. მაშინ ისინი მიიმართებოდენ ყაზბეგისკენ, სადაც უნდა დაბანაკებულიყვნენ. ერთ-ერთი მიზანი, ერთ-ერთი დავალება, რომელსაც აძლევდა აქ გაბატონებული სარდლობა მენშევიკურ მთავრობას, იყო ის, რომ „დაეხმარეთ დენიკინის ჯარებს“. და ეს დახმარება აქ გამოიხატებოდა მრავალ რამეში: აქედგან აწვდიდენ დენიკინს ნავთს, ზეთს ქურქს, საპონს და სხვ,

უმთავრესი დახმარება იყო ის, რომ აქ დენიკინის ზურგი სრულიად უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ინგლისი ავალებდა საქართველოს მთავრობას, რომ არა თუ მარტო საქართველოს მხრივ დენიკინის ზურგი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, არამედ მათ უნდა მოეხდინათ გავლენა ჩრდილოკავკასიის ხალხზე, რომ იქაც დენიკინის წინააღმდეგ არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ქონოდა. და ამასაც ასრულებდა პირნათლად მენშევიკური მთავრობა.

ღენერალი კორი, რომელიც კამანდრობდა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს ამიერ-კავკასიაში, სცემდა ბრძანებას, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოები, ამიერ-კავკასიის მთავრობები, სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ ყოველნაირ აგრესიულ მოქმედებისაგან დენიკინის ჯარების წინააღმდეგო“. **Они должны кооперировать с Деникиным** (ისინი უნდა შეუთანხმდენ დენიკინსო).

მას უნდა მიაწოდონ ნავთი და სხვა სურსათ-სანოვაგე იმ პირობით, რომ არამც და არამც ეს სურსათი ბოლშევიკების ხელში არ ჩავარდეს. თუ ასეთი პირობები არ იქნა შესრულებული, ეს ბრიტანეთში გამოიწვევს უეჭველად კეთილ განწყობილების მოსპობას ამ სახელმწიფოებისადმი და ხელს შეუშლის ინგლისის მთავრობას [illegible] დენიკინი, როდესაც ის მოისურვებს საქართველოს საზღვრების გადალახვას.

აი როგორი მუქარის და როგორი მუხრუჭის ქვეშ უჭირავს ინგლისის სარდლობას საქართველოს მაშინდელი მენშევიკური მთავრობა! ამაზე საქართველოს მენშევიკური მთავრობა უპასუხებდა: ჩვენ სრული ჩვენი არსებობით მხარს უჭერთ ძირითად აზრს ამ ნოტისას. ეს წერილი იყო მენშევიკურ „ბორბა“-ში № 140.

მე აღარ გამოუდგები იმ ფაქტების გამოყენებას, რომელიც მრავლად მაქვს და, რომელიც ახასიათებენ მენშევიკურ მთავრობის დამოკიდებულებას დენიკინის ჯარებთან და დენიკინის, ასე ვსთქვათ, დროებით მთავრობასთან. მე მხოლოდ შევეხე ამას იმის აღსანიშნავად, რომ სრული კონტაქტი არსებობდა მენშევიკურ მთავრობასა და დენიკინს შორის.

დახმარება, როგორც იყო ნათქვამი კორის მიერ, კოოპერაცია დენიკინთან და ერთგვარი დიპლომატიური დამოკიდებულება მართლაც დამყარდა. საქართველო მაშინ გადაიქცა რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ბაზათ. საქართველოში იყრიდა თავს მაშინ ყველა დევნილი, დამარცხებული კონტრ-რევოლიუციონური ძალები.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ დენიკინი დამარცხდა და მის ხელიდან გავარდნილი დროშა ვრანგელმა ამართა. ამნაირად ნოვოროსიისკში და ჩრდილო-კავკასიაში დამარცხებული ჯარი სხვადასხვა გზით იკრიბებოდენ საქართველოში და აქ დაიწყო ორგანიზაცია იმ ძალებისა, რომლებიც აქედგან გადაყვანილ იქნა შემდეგ ყირიმის ფრონტზე ვრანგელის განკარგულებაში.

საქართველოში ეს იყო კონცენტრაციული ბანაკის სახით, მაგრამ ესენი სრულიად თავისუფლად მოქმედობდენ, თავისუფლად უყრიდენ თავს ჯარებს და გემებით აგზავნიდენ ყირიმში. ფოთის ბანაკში იყო ხუთი ათასი თეთრ-გვარდიელი. ეს იყო ქალაქ გარეთ. ქალაქში კი, კიდევ სამი ათასი, ასე რომ სულ ფოთში დაბანაკებული იყო რვა ათასი თეთრ-გვარდიელი. აქედან ისინი გადაიგზავნენ ყირიმში. ყოველ დღე აქ მათ ემატებოდათ სამასი, ხუთასი კაცი. და როგორც ამბობს ღენერალი არჯევანიძე, რომელიც მაშინ იქ იყო, აქ კიდევ უნდა მოსულიყო ოთხი ათასამდე კაცი.

ამ ჯარებს ჰქონდა თავისი იარაღი, ფორმა, პაგონები და სხ. ამის დაგვარი. მაგრამ აქ ფოთის მუშებმა დააყენეს საკითხი ასე: ეს შეიარაღებული ძალა საშიშროებას ქმნის, არამც თუ მარტო ფოთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის, ვინაიდან მათ საქართველოს დაპყრობა შეუძლიან; ხუმრობა ხომ არ არის, თორმეტი-ცამეტი ათასი შეიარაღებული თეთრ-გვარდიელი, რომელიც თავს იყრის საქართველოს ტერიტორიაზე.

მათ სათავეში ედგა გენერალი ნოვოდენსკი. აწყობდა ამ ჯარებს და გემებით აგზავნიდა, სადაც საჭირო იყო მათთვის. მენშევიკური პარტია კი, რომელიც ასე ხშირად მიმართავდა ხოლმე საერთაშორისო კანონებს, მით უმეტეს ბოლშევიკებთან დამოკიდებულობის დროს, სრულებით ივიწყებს, რომ სწორედ ამ საერთაშორისო კანონების მიხედვით, დამარცხებული ჯარი, რომელიც თავს აფარებს სხვა სახელმწიფოს, იარაღით არ უნდა შედიოდეს შიგ. ის უნდა განიარაღებულ იქნას და მოთავსებული საკონფენტრაციო ბანაკში.

ეს იყო გათვალისწინებული ჰააგის ხელშეკრულებით ამ ჯარს კი ჰქონდა სრული თავისუფლება, აწყობდა თავის პუნქტებს, ირაზმებოდა და მიდიოდა იქით, სადაც უნდოდა. მხოლოდ ერთი „გასამართლებელი საბუთი“ დარჩა მენშევიკურ მთავრობას. ეს ის, რომ არის ბრძანება, ჩამოართვით კაპიტანს ხელწერილი, რომ ეს გემები უსათუოდ კონსტანტინოპოლში მიდიანო.

მართლაც გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ დაიჯეროს ეს გემები კონსტანტინოპოლში წავიდოდენ და არა ყირიმში. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ ფარატინა ქაღალდით მენშევიკური პარტია ცდილობდა მოეხოცა სინდისის ქენჯნა, ბრძოლა იყო აშკარა. გენერალ მდივანს, რომელიც მთავრობის წარმომადგენელი იყო და სხვა წარმომადგენლებსაც, მოდის ბრძანება ვიღაც ინგლისელ პოლკოვნიკიდან... რომელიც უბრძანებს ამა და ამ დღეს ბათომში და ფოთში მოვა გემი, შეისვამს ის ბორტზე [illegible] დარჩენილ ლტოლვილებს და წაიყვანს. თქვენ გამოგზავნეთ საიდუმლო აგენტურა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ ბოლშევიკები არ გაიყვანოსო“.

ამაზე მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა: ჩვენ არავითარი შეფერხება, არავითარი დაბრკოლება არ მიგვიყენებია ამ ჯარისკაცების მოძრაობისათვის, არც რუსეთის ნაციონალურ საბჭოსათვის, რომელიც ამ საქმეს განაგებს, პირიქით მათ ჩვენ გაუადვილეთ საქმე, საჭირო არ გავხადეთ აუცილებლობა პასპორტების, ფულ'აც კი ვაძლევდით მათ დახმარების სახით.

ასეთივე მდგომარეობა იყო გაგრაში. იქ დაგროვდა [illegible] ათასი ყაზახი, რომელნიც დაცულნი იყვნენ 30 მილიციონერისაგან. ყაზახები თავის ნებაზე მოქმედებდენ და მხოლოდ მილიციის უფროსი ოსიძე სწერდა ლეო რუხაძეს ასეთ ამბავს: ეს შეიარაღებული ხალხი თავის იყრის ჩვენს ადგილებში, ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევს და სთხოვდა დირექტივებს რომ გამოერკვიათ ეს საქმე. გემმა საფრანგეთის ბაირაღის ქვეშ 20 წელში წაიყვანა ათასი ორასი ჯარის კაცი. მეორეჯერ 130.

მე შევწყვიტე აქ ფაქტების მოყვანა ამნაირათ ჩვენ განვიხილეთ დამოკიდებულება მენშევიკური მთავრობასთან, შემდეგ ანტანტის ჯარებთან, შემდეგ დამოკიდებულება თეთრ-გვარდიელებთან დენიკინის სახით.

რას წარმოადგენს მთელი ეს პოლიტიკა. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს არის რევოლიუციური გზა ნაკარნახევი პროლეტარიატის მიერ? სრულიადაც არა. ამის თქმა შეუძლებელია. ეს არის აშკარა კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკა, ეს არის კონტრ-რევოლიუციონური ძალების დახმარება, რომ გაიმარჯვონ საბჭოთა მთავრობაზე, და გაიმარჯვონ იმდენათ, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია ჯერ გაიხადონ ბუფერად და შემდეგ ერთგვარ პოზიციათ იმპერიალისტური მიზნებისათვის ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.

(ამხ. ხ. ქავთარაძის სიტყვის გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში).

ახალი წყალსადენი თბილისში

1927 წლიდან დაიწყება ახალი წყალსადენის გამოყვანა არაგვის წყაროებიდან.—ახალი წყალსადენი დღე-და-ღამეში გაატარებს 6.000.000 ვედრო წყალს.—არსებული წყალსადენის ნაწილობრივი ელექტროფიკაცია.—წყალის საქაჩავების მოწყობა განაპირა უბნებში.

თბილისის წყალსადენის სამმართველომ შეადგინა ხუთი წლის პერსპექტიული გეგმა 1925—1930 წ. წ. პერიოდისათვის.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განზრახულია წყალის მიწოდების საქმის რადიკალურათ შეცვლა არაგვის წყაროებთან ახალი წყალსადენის მოწყობის გზით.

იმის გამო, რომ წყალსადენის მოწყობას დასჭირდება არა ნაკლებ ორი წელიწადი, მუშაობის დაწყება კი მის მოსაწყობათ შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1927 წლიდან. წყალსადენის სამმართველო ყველა ზომებს იღებს, რომ უზრუნველყოს ქალაქისათვის საკმაოთ წმინდა და იაფი წყალის მიწოდება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

იმ მიზნით, რომ ქალაქმა შესძლოს წყალის მიღება ახალი წყალსადენიდან თავდაპირველათ 3.000.000 ვედრო, შემდეგ კი 6.000.000 ვედრო დღე და ღამის განმავლობაში, საჭირო იქნება ქალაქის წყალსადენის ქსელის გადაკეთება, რადგან არსებულ მაგისტრალს შეუძლია დღე და ღამის განმავლობაში გაატაროს მხოლოდ 1.500.000 ვედრო წყალი.

ამასთანავე, არსებული წყალსადენის დროებითი მნიშვნელობისა და მისი სრული ელექტროფიკაციის მიზანშეუწონლობის გამო, ჩატარებული იქნება მხოლოდ მისი ნაწილობრივი ელექტროფიკაცია იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს მისი სიმძლავრე ახალი წყალსადენის აგებამდე.

1926 წლიდან დაიწყება გეოლოგიური გამოკვლევა გულაჩაურის და ნატახტარის წყაროების მთავარი ნაწილებისა, სადაც გაყვანილი იქნება ახალი წყალსადენი. ამ სამუშაოსთვის გადადებულია 75.000 მანეთი.

ამას გარდა გადაწყვეტილია მთელი რიგი სამუშაოების შესრულება. მოწყობილი იქნება წყალის საქაჩავები (ხუთი) განაპირა უბნებში.

მიუხედავათ იმისა, რომ წყალსადენის მაგისტრალი მოთავსებულია 230 საჟ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან, წყალი ქალაქის მაღალი ადგილებში მაინც არ ადის. ამ მიზნით მოწყობილი იქნება წყალის საქაჩავები ავლაბარის, ნაძალადევის, ვერის და ხარფუხის მაღლობ ადგილებში და ერთი ფუნიკულიორზე.

1927 წელში დაიწყება ახალი წყალსადენის გაყვანა. გეგმის მიხედვით ეს სამუშაო დაჯდება 4.800.000 მანეთი.

1928 წელში დამთავრებული იქნება ახალი წყალსადენის გაყვანა, ქალაქის ქსელის გადაკეთება 50 პროცენტით და აბონენტების გადაყვანა ახალ მაგისტრალზე. ამას გარდა იმავე წელში დაიწყება წყალის მიწოდება ახალი წყალსადენის რაიონში მდებარე სოფლებისათვის.

დარჩენილი ქსელის გადაკეთება და წყალსადენის და ქალაქის ახლო მდებარე რაიონების მორწყვა დამთავრებული იქნება 1920 წელში. იმავე წელში განზრახულია ახალი ტარიფის შემოღება.

1930 წელს დაიწყება სასმელი წყალის მიწოდება იმ სოფლებისათვის, რომლებიც საკმაოთ დაშორებული არიან თბილისიდან.

სხვა და სხვა ამბები

— **„მშვიდობიანობის განმტკიცება შუა ევროპაში“.** ჩეხო-სლოვაკიის შტაბის უფროსის თანაშემწე, გენერალი სიროვოი მიემგზავრება პოლონეთში მანევრებზე.

პრაგაში მოფრინდა პოლონეთის საჰაერო რაზმი, რომლის უფროსმა, გენერალმა ზალტსკიმ მისცა წინადადება ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო მფრინავებს გააბან უფრო მჭიდრო კავშირი პოლონეთის სამხედრო მფრინავებთან და ამით შეუწყონ ხელი „მშვიდობიანობის განმტკიცებას შუა ევროპაში“.

— **სინდიკალური კომისიის კონგრესი.** ბელგიის პროფმოძრაობის ცენტრ. ორგანიზაციის—სინდიკალურ კომისიის—კონგრესზე მკერველთა კავშირის მდივანმა ლიბერსმა აღნიშნა შემდეგი რეფორმისტები ნამდვილათ არავითარ ბრძოლას არ ეწევიან ომის წინააღმდეგ მიუხედავათ მეორე ინტერნაციონალის 1924 წლის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებისა, რომელიც მოითხოვს საერთო გაფიცვის გამოცხადებას ომის წინააღმდეგ. ლიბერსმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ დამთავრდეს შეთანხმება საბჭოთა პროფკავშირებთან, რომელზედაც არის დამოკიდებული საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა. სინდიკალურ კომისიის მდივანმა მერტენსმა განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმი განიხილავს, მისაღებია თუ არა ინგლის-საბჭოთა წინადადებანი.

რა ხდება უცხოეთში.

სამხრეთ-სლავია

რადიჩის ღალატი

სტეფანე რადიჩი, ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანური პარტიის ლიდერი შეურიგდა სამხრეთ-სლავიის მეფის მთავრობას. ციხეში რადიჩმა დაივიწყა, რომ ის იყო რესპუბლიკის მომხრე, შედიოდა გლეხთა რევოლიუციონურ ინტერნაციონალში და ხორვატელ გლეხებს ეროვნულ თავისუფლებას პირდებოდა. რადიჩმა დაივიწყა კონსტიტუციის რეფორმაც. დაივიწყა ისიც, რომ „კათოლიკური ხორვატია ვერ შეურიგდება მართლმადიდებელ სერბიას“ (რადიჩის სიტყვებია).

რადიჩის ფერიცვალება არ არის სავსებით მოულოდნელი. ეს მერყეობა, ქანაობა რევოლიუციონურ და რეაქციონურ ბანაკს შორის ახასიათებს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს და მათ მეთაურებს. რადიჩი წინათ წიგნებით ვაჭრობდა ზაგრებში. თავისი პარტია მან შეადგინა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა უნგრელი მემამულეები სჩაგრავდენ ხორვატულ გლეხებს. მაშინ მისი პარტია, რომელიც გლეხობაზე ეყრდნობოდა, კლასობრივი პარტია იყო. არა მარტო უნგრეთის მთავრობა, არამედ თვით ხორვატიის სხვა პარტიებიც ებრძოდენ მას. რადიჩის პარტია უმცირესობას შეადგენდა ზაგრების სახალხო კრებაში. რადიჩი მაშინ ხედავდა, რომ ხორვატიის ხალხი განთავისუფლდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ევროპაში საერთო მდგომარეობა შეიცვლებოდა. უნგრელ მემამულეების წინააღმდეგ ის კავშირს იჭერდა ჰაბსბურგებთან (ავსტრო-უნგრეთის მეფის გვარეულობა), ჰაბსბურგების წინააღმდეგ კი კავშირს ამყარებდა პანსლავიზმთან. 1910 წ. მან მონაწილეობა მიიღო სლავიანთა კონგრესზე მოსკოვში, რომელიც მეფის მთავრობის უახლოესი მონაწილეობით იყო მოწვეული. ფანატიკოსი და ფანტაზიორი, რადიჩი ფიქრობდა, რომ ყოველგვარი ძალა კარგი მოკავშირეა ხორვატიის განთავისუფლების საქმეში.

ომის დამთავრების შემდეგ, ხორვატიის ეროვნულმა საბჭომ ხორვატია დამოუკიდებლათ და სერბიასთან შეერთებულათ გამოაცხადა. მაგრამ სერბიის ჯარები ზაგრებში შევიდენ და სერბიის ბურჟუაზიამ ხიშტების საშუალებით შეადგინა „სერბიის, ხორვატების და სლოვენთ შეერთებული სამეფო“. აღმოჩნდა, რომ „გაერთიანებული სამეფოს“ შექმნა ნიშნავს სერბიის ბურჟუაზიის განუკითხავად ბატონობას ხორვატიაში. სერბიის ჯარები ისე მოქმედებენ ხორვატიაში, როგორც დაპყრობილ სახელმწიფოში, ხორვატიამ ის უფლებებიც კი დაჰკარგა, რაც მას წინეთ ჰქონდა; სერბიის გაბატონებული მართლმადიდებელი ეკლესია კი სდევნის ხორვატიის კათოლიკურ ეკლესიას.

ამ მომენტში რადიჩის პარტია სათავეში ედგა სახალხო მოძრაობას. ხორვატიის გლეხობამ ომი გამოუცხადა სერბიის ბურჟუაზიას, სამხედრო რაზმების თარეშს და ბიუროკრატიას. ხორვატიის ბურჟუაზია მაშინ მხარს უჭერდა გლეხობის ბრძოლას.

რადიჩი შეუდგა მოკავშირეების ძებნას იტალიაში, უნგრეთში, თვით ჰაბსბურგებს შორისაც კი, რადგან ფიქრობდა, რომ ავსტრიაში მეფის ტახტის აღდგენა ხელს შეუწყობდა ხორვატიის მიერ ავტონომიის მიღებას. და ბოლოს, მან პირი იბრუნა საბჭოთა კავშირისაკენ და შევიდა გლეხთა ინტერნაციონალში.

როცა რადიჩი, იტალიის, უნგრეთის და ჰაბსბურგების დახმარების იმედის გაცრუების შემდეგ, აშკარა რევოლიუციონურ გზას დაადგა (კავშირი გლეხთა ინტერნაციონალთან), სერბიის ბურჟუაზიამ საშინელი იერიშები მიიტანა მის პარტიაზე.

სერბიის ბურჟუაზიის ერთგული მოკავშირე გამოუჩნდა ხორვატიის ბურჟუაზიის სახით, რომელიც დააშინა გლეხური რევოლიუციის საფრთხემ.

რევოლიუციის საშიშროებამ შეაკავშირა სერბიისა და ხორვატიის ბურჟუაზია. სერბიის ბურჟუაზია მიხვდა, რომ უკეთესია ძალაუფლების განაწილება ხორვატიის ბურჟუაზიასთან, ვიდრე მუშურ-გლეხური რევოლიუციის გამოწვევა. ხორვატიის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა, რომ ძალაუფლების ჩაგდებას მუშების და გლეხების მიერ სჯობს სერბიის მთავრობასთან შერიგებაო. ხორვატიის გლეხები საშინელი რეპრესიების მსხვერპლი შეიქნენ. გლეხების მემარცხენე ლიდერები ციხეში გამოამწყვდიეს. მიღებული იქნა ზომები პარტიის შიგნიდან დასაპყრობათ. ხორვატიის გლეხთა პარტიის ორგანიზაციული აპარატი ეყრდნობა გლეხთა კოოპერატივებს, რომლებიც ფინანსიურად ბანკებისგან არიან დამოკიდებული. ბანკებმა ფინანსიური ზეგავლენა მოახდინეს კოოპერატივებზე და პარტია მემარჯვენე ფრთამ ჩაიგდო ხელში. რადიჩი დააპატიმრეს, ციხეში მასში მოხდა „გარდატეხა“, რომლის შესახებ უკვე გვამცნეს დეპეშებმა. მეფემ მას „დანაშაული“ აპატია. რადიჩი ეხლა მეფეს და მის წინაშე პირადათ მონანია თავისი „ცოდვები“.

მაგრამ ბრძოლა სამხრეთ-სლავიაში არ გათავებულა. ხორვატიის გლეხთა პარტია, რომელსაც უღალატეს ბელადებმა, ძალებს იკრებს, რომ კვლავ განაგრძოს ბრძოლა.

პარტიული ცხოვრება

პარასკევს, 7 აგვისტოს

მორიგი პარტიული დღეა,

დღის წესრიგი უნდა შეიმუშაონ თვით კომუჯრედებმა.

თ. კ. მდივანი **მიხ. კახიანი.**

კომკავშირი და სასკოლო აღმშენებლობა

კომკავშირი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციაა; ის დაინტერესებულია არა მარტო თავისი წევრების, არამედ მთელი ახალგაზრდობის, მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდითაც.

ჩვენში აუარებელი სკოლებია, მათი რიცხვი მომავალში კიდევ უფრო გამრავლდება. აი სწორედ ამ ახალგაზრდობამ აუცილებლივ უნდა გაიაროს ეს სკოლა. მართალია, კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს მოწაფეთა შორის მასიურ მუშაობას, მაგრამ მარტო ამით შორს ვერ წავალთ. საჭიროა აქტიური მონაწილეობა საშკოლო აღმშენებლობაში, სახალხო განათლების ყოველდღიურ საქმიანობაში.

დღემდის კი ამ მხრივ ჩვენს მიერ უყურადღებობას ჰქონდა ადგილი; კომკავშირი მხოლოდ ეხლა იწყებს სასკოლო აღმშენებლობაში გეგმიან და სერიოზული მუშაობის წარმოებას.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ მუშაობამ გამოიღოს თავისი ნაყოფი?

კავშირის მასამ კარგათ უნდა გაიცნოს სახალხო განათლების ეხლანდელი სისტემა, მისი მომავალი და ამის შესახებ კომკავშირის არსებული შეხედულება. არ კმარა განათლების კომისარიატის გაკრიტიკება, ოპოზიცია. ამასთან ერთად საჭიროა მუშაობა ნამდვილ შრომის სკოლის შესაქმნელათ, მოწაფეთა ახალ ქვეყნის აღმშენებლობაში ჩასაბმელად. ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. გლეხიც ყველაფერს პრაქტიკული თვალსაზრისით ზომავს. და გულგატეხილი რჩება, როდესაც ახალგაზრდა სკოლაში მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში ვერ იყენებს; ეს კი იმას გვეუბნება, რომ სკოლა სოფლის მეურნეობას, წარმოებას უნდა დაუახლოვოთ.

მაგრამ, რომ დღემდე ამ მიმართულებით ყველაფერი რიგზე არ იყო—ეს არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს. სხვათა შორის ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტიც, რომ წელს 6.000 კაცმა დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და იმათში დიდი უმრავლესობა გამოუსადეგარია თანამედროვე ცხოვრებისა და პრაქტიკულ საქმიანობისათვის.

ამ ნაკლს უთუოდ გამოსწორება ესაჭიროება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი შეთანხმებული მუშაობით და პარტიის ხელმძღვანელობით.

ცენტრში და ადგილებზე მჭიდრო კავშირი უნდა გაიბას კომკავშირსა და განათლების ორგანოებს შორის.

კომკავშირლებმა ჯერ უნდა შეისწავლონ, თუ რას წარმოადგენს საქარხნო-საფაბრიკო, გლეხურ ახალგაზრდობის და სასოფლო-სამეურნეო შკოლები, როგორ შეიძლება მე-2-ე საფეხურის შკოლების შესაფერი რეორგანიზაცია, შეისწავლონ უმაღლესი სასწავლებელი, მუშფაკი, ოთხ წლედები, შვიდწლედები, სპეციალური ტეხნიკუმები და სხვ. ამ ჟამად, სამწუხაროდ, აქტივისტებიც ვერ ერკვევიან სახალხო განათლების სისტემის საკითხებში. სწორედ ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ კავშირის პრესამ მეტი ყურადღება მიაქციოს სასკოლო საკითხების გაშუქებას.

კავშირმა უნდა იზრუნოს აგრეთვე, რომ კომკავშირელთაგან მომზადდენ არა მარტო წითელი მასწავლებლები, არამედ სხვა მომუშავენიც განათლების სფეროში.

ქუთათური.

ლიტერატურა ახალგაზრდობას

ჩვენში ახალგაზრდობისათვის საკმაოდ გამოდის როგორც გაზეთები („სპარტაკი“, „ახალგაზრდათა სიმართლე“, „მოწაფეთა ხმა“), ისე ჟურნალებიც („აქტივისტი“, „საზღვარზე“...). ახლო ხანში გამოიცემა „გლეხურ ახალგაზრდობის ჟურნალი“-ც. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, წიგნები და ბროშიურები ძლიერ მცირე მოგვეპოვება.

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის აღორძინება-განვითარებამ გაზარდა ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული აქტივობა. ახალგაზრდობა ილტვის კომკავშირისკენ, ებმება საზოგადოებრივ საქმიანობის ფერხულში; მაგრამ მარტო ეს ვერ აკმაყოფილებს მას. აუცილებელია სულიერი საზრდოც მივსცეთ ამ ახალგაზრდობას.

ამხ. სტალინი დიდ მნიშვნელობას აძლევს კომკავშირელებისათვის ლიტერატურის ბლომად გამოცემას, რადგან ასეთი გზით შესაძლებელი გახდება გავაღრმავოთ ახალგაზრდობის ლენინური აღზრდის საქმე.

გასულ ზამთრის პერიოდში საქ. კომკავშირს ჰქონდა აუარებელი პოლიტწრეები, მაგრამ მათი მუშაობა ძლიერ შეაფერხა ლიტერატურის უქონლობამ.

რუსეთში ახალგაზრდობისათვის აუარებელი ლიტერატურა გამოდის, ჩვენში კი ამ მხრივ საგრძნობლად მოვისუსტებთ.

დრო კი არ ითმენს. ამ მიმართულებით საქართველოშიაც საჭიროა გადაიდგას სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები.

სწორედ ამ მიზნით, კომკავშირის მეოთხე საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკამ გამოიტანა დადგენილება, რომ საქ. სახელმწიფო გამომცემლობასთან დაარსდეს „ახალგაზრდათა სექცია“, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს ახალგაზრდობისათვის ლიტერატურის ფართედ გამომცემლობის საქმეს.

მართალია, „საბჭოთა კავკასიონი“ სცემს კომკავშირის პოლიტწრეებისთვის საუბრების კრებულს, მაგრამ ეს არ კმარა: კომკავშირელთა ცოდნის გასაღრმავებლად აუცილებელია ცალკე წიგნები და ბროშიურები.

სახელმწიფო გამომცემლობის საშუალებით აუცილებელი საჭიროა, წიგნები ლენინიზმიდან, პოლიტიკური შინაარსის—მომენტთან დაკავშირებით, ახალგაზრდათა მოძრაობიდან—პირველყოვლისა საქართველოს და ა/კავკასიის კომკავშირის ისტორია, კავ. ამოცანებზე, მუშაობის მეთოდებზე, ბავშვთა კომორგანიზაციაზე, ახალ ყოფა-ცხოვრებაზე; მასალები აგროწრეებისთვის; აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანია—პიესები, წითელი რომანები არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის კლუბებისათვისაც.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეს ლიტერატურა ფართედ გავრცელდება, მას ახალგაზრდობა ხარბათ დაეწაფება,—თუ ტეხნიკურად მოგვარდება მისი შორეულ, მივარდნილ სოფლებშიც მიწოდების საქმე.

დასასრულ ავღნიშნავთ, რომ სახ. გამომც. მიერ ეხლა იბეჭდება სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები—ეს უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ზემოაღნიშნული ამოცანაც უნდა სასურველად გადავჭრათ, რომ მით უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის ლენინური აღზრდა.

ე. ფრან—ლი.

წერილები ადგილებიდან

ქალთა შორის მუშაობა

სოფ. ახმეტა.

ორი წლის წინათ სოფ. ახმეტის პარტიულ ორგანიზაციაში არ იყო არც ერთი ქალი. დღეს უკვე არსებობს ქალთა განყოფილებაც, რომელიც არ ზოგავს თავის ძალ-ღონეს ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად. ადგილობრივ სამკითხველოში უკვე გახსნილია ქალთა კუთხე—ქალთა მოძრაობის ლიტერატურით, კოოპერაციის საერთაშორისო დღის საზეიმო საღამოს მისასალმებელი სიტყვით გამოდის ქალთა წარმომადგენელიც, ქალები რეგულიარულად ესწრებიან პოლიტ-სკოლის მეცადინეობას, იღებენ აქტიურ მონაწილეობას დრამწრეებშიაც და სხვ. ყველაფერი ეს ს. ახმეტის სინამდვილეში, როგორც ჩამორჩენილ კუთხის, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ახმეტის ქალთა განყოფილებამ მომავალ საანგარიშო პერიოდში მიზნად უნდა დაისახოს: პირველი—რაც შეიძლება მეტი ქალები ჩააბას თავის მუშაობაში, უმთავრესად ღარიბებს და საშუალო წრეებიდან, მეორე—ასეთივე მუშაობა აწარმოოს არა მარტო ახმეტის, არამედ მთელი რაიონის მასშტაბითაც, რადგან ახმეტა რაიონული ცენტრია და უშუალოდ მას ევალება ეს საქმე.

პარტკორი ალ. გაჩი.

ქ. სენაკი.

დღემდე სათანადო ხელმძღვანელის უყოლობის გამო ქალთა შორის მუშაობა სენაკის მაზრაში მოდუნებული იყო. მას შემდეგ კი, რაც ჩამოვიდა ამხ. ოლ. ჩიჩუა, ეს მნიშვნელოვანი საქმე გამოცხოველდა. მთელი მაზრა დაიყო ოთხ რაიონად, რომლებზედაც სათითეულოდ მიმაგრებული იქნა ქალ. ორგანიზატორები წინასწარ გამომუშავებულ სამუშაო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად. ქალთა განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე უმუშევარ ქალთა ნივთიერად უმწეო მდგომარეობას და გახსნა სამრეცხაო და სამკერვალო, რითაც დაკმაყოფილებული იქნა უმუშევარ-ქალთა რამოდენიმე პრ-ცენტი. ამ დღეებში თვით ქ. სენაკში საბოლოოდ მოგვარებული იქნება სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულ ქალებისათვის ღამის გასათევებელი ბინაც. განზრახულია კედლის გაზეთის გამოშვებაც, სადაც გაშუქდება ქალთა ყოფა-ცხოვრების საკითხები და სხვ. ერთი სიტყვით, თუ ქალთა განყოფილებას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას, რის იმედიც საკმაო არის, დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ქალთა შორის მუშაობა სენაკის მაზრაში კიდევ უფრო მეტად გამოცხოველდება.

ქ. გორი.

ამ უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდა ქალებს შორის მუშაობას გორის მაზრაში მეტად სერიოზული ყურადღება ექცევა. ივნისში კომკავშირმა ჩაატარა ახალ. გლეხ-ქალთა სათემო კონფერენციები, რის შემდეგ მოეწყო სამაზრო კონფერენციაც. ამ კონფერენციებმა დიდი ნაყოფი გამოიღეს: ერთი ის, რომ ახალგაზრდა ქალებმა გამოიღვიძეს სალათას ძილისაგან, მეორეც—კონფერენციებმა მათ მისცეს ნათელი წარმოდგენა კომკავშირზე, როგორც მშრომელ ახალგაზრდობის გამაერთიანებელ ორგანიზაციაზე. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ახალგაზრდა ქალებმა იწყეს დენა კომკავშირის ორგანიზაციისაკენ. დღესდღეობით ჩვენს რიგებში მოექცა 500-დე ახალგაზრდა გლეხი-ქალი. მაგრამ თუ მომავალში მათ შორის ვაწარმოებთ ენერგიულ მუშაობას, ჩვენ დავიპყრობთ გაცილებით უფრო მეტს.

ვ. გელაშვილი.

სასოფლო მეურნეობა

საცდელი სადგურები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სახელმწიფო კმაყოფაზე იქნეს აყვანილი საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური და ყარაიის საცდელი მინდორი.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობისათვის, რომელსაც სტიქიურათ მოედო გამანადგურებელი ფილოქსერა, საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ სწარმოებს ღვინის სნეულებათა და ნიადაგის გამოკვლევა და მათთვის ვაზის ჯიშების შერჩევა, რომ ფილოქსერით დაავადებული ვენახების აღდგენა—ჩვენი გლეხკაცობის ეხლანდელი საზრუნავი საქმე-მეცნიერულ ნიადაგზე იყოს დამყარებული; ამას მოითხოვს გლეხკაცობის ინტერესები, რადგან მაშინ ადგილი არ ექნება ვენახების აღდგენას ნიადაგისათვის შეუფერებელ ჯიშის ვაზით.

ამ საქმეში დღემდე დიდ სამსახურს უწევს ხსენებული სადგური მშრომელ გლეხკაცობას. უკანასკნელს სადგურმა მიაწოდა მეცნიერულათ დასაბუთებული ცნობა შესაფერ ჯიშების შესახებ და ამ გზით გაანთავისუფლა ის უნაყოფო შრომისა, ამაგისა, ხარჯისა და გამოუსწორებელი შეცდომისაგან, რასაც შეეძლო სრულიად ხელი ბელებინა გლეხკაცობისათვის ვენახების აღდგენაზე.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარ დარგს შეადგენს მემინდვრეობა, განსაკუთრებით თავთავიანი ხორბლეულობა აღმოსავლეთ საქართველოში. მემინდვრეობის შემოსავლიანობა გლეხის ბიუჯეტში თითქმის 70 პროცენტს შეადგენს, მაგრამ სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი ეხლა მეტად უმწეო მდგომარეობაშია.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს ბუნება მეტათ ხელისშემწყობია ამ დარგისათვის, რომ ჩვენ გვაქვს გვალვის გამძლე საუკეთესო ჯიშები, შემკობილი ყოველგვარი თვისებებით, ჩვენი მოსავლიანობა დღიურზე არ აღემატება 20—25 ფუთს, როდესაც ევროპაში და ამერიკაში სამჯერ-ოთხჯერ ამაზე მეტი მოჰყავთ.

მემინდვრეობის საკითხების მეცნიერულათ გაშუქების მიზნათ ისახავს ყარაიას საცდელი მინდორი, რომლის აყვანას სახელმწიფო ბიუჯეტზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის მეურნეობის ასაღორძინებლათ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ორ უკანასკნელ დაწესებულებას—საქარის და ყარაიას სადგურებს—აქვთ თავისი წარსული მიღწევები და ორივე დიდი ხანია ჩამოყალიბებულია, როგორც საცდელი დაწესებულებანი. მხოლოდ უკანასკნელ დროს უსახსრობის გამო მათ დაკარგეს მუშაობის ამგვარი ხასიათი და დღეს-დღეობით იმყოფებიან სახალხო მამულთა ტრესტის ხელში, რომლისთვისაც საცდელი საქმე არ შეადგენს ძირითად ამოცანას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

კამპანიის მიმდინარეობა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიაში ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას შეადგენს დასაბეგრი ქონების აღწერა: თავისთავათ ცხადია, რომ თუ ეს ქონება ჩვენი გლეხობისა არ იქნა სისწორით აღნუსხული და თვითეულ გლეხზე ჩაიწერა სასოფლო სიაში მეტი ან ნაკლები სახნავი მიწა, ვენახი, პირუტყვი და სხვა, შემდეგი მუშაობაც არ იქნება სწორი.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლათ წარმოებული მუშაობის პირველი საფეხური დამთავრებულია მთელ საქართველოში. ეხლა იწყება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მუშაობა.

როგორც ვიცით, საგადასახადო ერთეულათ აღებულია ერთი დესეტინა სახნავი მიწა და ამისათვის ყველა დანარჩენი ქონება, ე. ი. ვენახი, ბოსტანი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი გადაყვანილი უნდა იქნეს სახნავ მიწაზე, თანახმათ იმ ნორმებისა, რომლებიც დაწესებული იყო თავის დროზე.

ეს ნორმები და მათთან დაკავშირებული მასალები უკვე გადაეგზავნა ადგილებს და ამისდამიხედვით უნდა იქნეს გადაყვანილი ყოველი გლეხის ქონება, რაც შეტანილია სასოფლო სიაში, სახნავ მიწაზე, და შეჯამებული ბოლოს ერთ ადგილას, როგორც საერთო ჯამი დასაბეგრი ერთეულობისა; ამ ჯამის გამონგარიშების დროს მხედველობაში მიღებული იქნება ის შეღავათები, რომლებიც მიენიჭება ამა თუ იმ მეურნეს.

საბოლოო ჯამში აღნიშნული იქნება მხოლოდ ის ქონება, რაც დასაბეგრია და რაზედაც გლეხმა უნდა გადაიხადოს გადასახადი.

მას შემდეგ, რაც გამონგარიშებული იქნება რამდენი საგადასახადო ერთეული ირიცხება ამა თუ იმ გლეხზე, უკვე ადვილია თვით გადასახადის რაოდენობის გამონგარიშება უბრალო გამრავლებით დასაბეგრ ერთეულთა რიცხვისა საგადასახადო განაკვეთზე.

ყველასათვის ადვილათ გასაგებია, რომ თუ გლეხის ქონება, აღნიშნული სასოფლო სიაში, გადატანილი იქნება სახნავ მიწაზე სისწორით და იმ ნორმების მიხედვით, რაც საამისოთ მიღებულია კანონიერი შეღავათების გამოკლებით, მაშინ ადვილათ შეიძლება თავიდან აცილებული იქნეს მრავალგვარი გართულება და უკმაყოფილება თვით გადასახადის აკრეფის დროს.

აღნიშნული მუშაობის დამთავრების შემდეგ გამონგარიშებული იქნება აგრეთვე, რომელი განაკვეთის მიხედვით დაიბეგრება ესა თუ ის მეურნე და ამრიგათ დამუშავებული ცნობები მოგვცემენ საერთო სურათს, თუ რამდენი მეურნე დაიბეგრა მაზრის მასშტაბით პირველი, მეორე და მესამე საგადასახადო განაკვეთის მიხედვით.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა

(საუბარი საქ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე სარგის კაკაბაძესთან.)

საქ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებული სიძველეთა ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება დაარსდა წ | წლის სექტემბერში განათლების კომისარის ამხ. დ. კანდელაკის განკარგულებით. ეს განყოფილება ეხლა ექვემდებარება განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ-მმართველობას. განყოფილება მიზნად ისახავს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვას. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სიძველეთა დაცვის ჯეროვნად მოწყობას დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს.

სიძველეთა დაცვის საქმეს ყველგან დიდი ყურადღება ექცევა, მაგალითად ისეთი ღარიბი ქვეყანა, როგორიც იტალია არის, ამ საქმისთვის სპეციალური ხარჯთ-აღრიცხვაც კი აქვს შემოღებული და მასზე მდიდარ ქვეყანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საბჭოთა კავშირში ამ საკითხს აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით კარგად არის სხვა მხრივ საქმე რუსეთში, სადაც განსაკუთრებული კანონმდებლობა არსებობს.

საქართველოში სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმე სავსებით გარკვეულია, აქ არსებობს ცაკის განსაკუთრებული დადგენილება, რომლის ფარგლებშიაც მუშაობს განყოფილება. განყოფილებას ყველა მაზრებში ჰყავს რწმუნებულები, რომლებიც დანიშნული არიან აღმასკომების მიერ. ასეთები არიან: თელავის მაზრაში—22, ბორჩალოში—8, ახალციხეში—19, ქუთაისში—6 და ოზურგეთისაში—14. მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში, როგორ მაგ. სამეგრელო, ასეთი აპარატი ჯერ არ არის მოწყობილი.

რწმუნებულებს მიცემული აქვთ დაწვრილებითი ინსტრუქციები—ადევნონ თვალყური ისტორიულ ძეგლების დაცვას, აგრეთვე იმას, რომ არქეოლოგიურ მნიშვნელობის მქონე ადგილებში გათხრა არ სწარმოებდეს განათლების კომისარიატის ნებადაურთველად. მათ დაგზავნილი აქვთ აღრიცხვაზე აღებული ძეგლების სია. თავის მოვალეობას რწმუნებულები უსასყიდლოდ ასრულებენ. რადგან საქართველო თავის ხანგრძლივი კულტურული ცხოვრებით მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ამიტომ აღრიცხვა მათი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მაგრამ მაინც არის ნაწარმოები აღრიცხვა: გორის მაზრაში (აღრიცხულია 154 ძეგლი) დუშეთის მაზრაში—80, ახალციხის—64, სხვაგან კიდევ ნაკლები. ზოგიერთ, დიდმნიშვნელობის ძეგლებს განყოფილება უნიშნავს დამცველებს პატარა გასამრჯელოთი, რომელიც არ აღემატება 5 მანეთს თვეში.

განყოფილების მუშაობას ხელს უშლის სახსრის უქონლობა. მართალია განათლების კომისარიატი ამ საქმისათვის ყოველ-თვიურად სდებს განსაზღვრულ თანხას, მაგრამ იგი უმნიშვნელოა, მოთხოვნილებასთან შედარებით. არსებობს საკავშირო საბჭოს კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც სათანადო ძეგლებს შეიძლება დაუკავშირდეს, მათ ახლოს მდებარე შენობები და მიწის ნაკვეთები—საექსპლოატაციოთ, რომელიც რუსეთში გატარებულია და ისტორიულ ძეგლებს ეხლა თავის მუდმივი შემოსავალი აქვთ, მაგრამ სამწუხაროდ ეს დაგენილება საქართველოში ჯერ გატარებული არ არის. ჩვენს თვალწინ ზიანდება უდიდეს მნიშვნელობის ძეგლები. იმათ შეკეთებას საკმაო რაოდენობის თანხები ესაჭიროებათ, რომელიც განათლების კომისარიატს არ მოეპოვება, იგი ახერხებს მხოლოდ უდიდეს და ფრიად ცნობილ ძეგლების გადარჩენას. ასე ამ 3 წლის განმავლობაში ორჯერ გაუკეთდა მცირე რემონტი გელათის მონასტრის სახურავს, გაუკეთდა აგრეთვე ბეტონის სახურავი ჯვარის მონასტრის გუმბათს (მცხეთის პირდაპირ), რომელზედაც დაიხარჯა 1800 მანეთი, მაგრამ იმავე ჯვარის მონასტერს, დასავლეთის კედლის საფუძველი სრულიად გამოცლილი აქვს და ერთ დღეს შესაძლებელია ამ იშვიათ ძეგლის დაღუპვა! განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი ცდილობს ამ ძეგლის გადარჩენისათვის სახსარის გამონახვას და შესაძლებელია ამ მოკლე ხანში დაიწყოს შესაფერი მუშაობა. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე მცხეთის ტაძარი, რომელიც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

საზოგადოდ მცხეთის სიძველეების მდგომარეობით განყოფილება განსაკუთრებულად შეფიქრიანებულია, რადგან იგი ყოველთვის იქცევს საზოგადოების ყურადღებას. მაგ. როდესაც ჯვარის მონასტრის გუმბათის შეკეთება სწარმოებდა, ბერლინის ერთ-ერთ დიდ გაზეთში „ბერლინერ ტაგებლატ“-ში კორესპონდენციაც კი მოათავსა ჩვენში მგზავრად ჩამოსულმა გერმანელმა ჟურნალისტმა, რომელშიაც აღფრთოვანებას გამოსთქვამდა, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა, მიუხედავათ ეკონომიური შევიწროებისა, ასეთ მნიშვნელოვან ძეგლის გადარჩენაზე ზრუნავსო.

გერმანიის დელეგაციის შესახვედრად

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. გ. ყურულაშვილის ინფორმაციული მოხსენება გერმანიის მუშათა დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დელეგაცია თბილისში ჩამოვა სამშაბათს, 4 აგვისტოს.

პრეზიდიუმმა დაადგინა გაგზავნოს ამხ. ჰელიძე ბაქოში დელეგაციის შესახვედრად.

გამოიყო კომისია ამხ. გ. ყურულაშვილის, ჰელიძის, ბაბაჯანოვის (ქიმიკოსთა კავშირი), ალლაძის (აღმშენებელთა) და [illegible] (თბ. საუბნო რკ. გზ. თავმჯდომარე) შემადგენლობით.

კომისიას დაევალა დელეგაციის მიღება.

ამხ. ჰელიძე უკვე გაემგზავრა ბაქოში.

საბინაო კრიზისთან ბრძოლა

საცხოვრებელ ბინების სივიწროვესთან ბრძოლის ერთად-ერთი საშუალება—ახალი სახლების აშენებაა. ახალ ბინების აშენებას თბილისში ეწევა „ცენტრალმშენი“, ქალაქის აღმასკომის ფინანსიური დახმარებით.

დღემდე თბილისში, სხვადასხვა მუშათა რაიონებში აშენებულია 58 საცხოვრებელი ბინა მუშებისათვის, რომელთა საერთო სივრცე უდრის დაახლოებით 5.100 კვადრატ. არშინს.

გარდა მუშების ბინების აშენებისა თბილისში, აღმასკომის საბინაო-კოოპერატიული სექცია ხელს უწყობს კერძო, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ბინების აშენებას; ამისათვის მსურველთ ეძლევათ საჭირო მიწის ნაკვეთი და თანახმად კეთილ-მომწყობი განყოფილების გეგმის, ისინი სდებენ ნოტარიულურ ხელშეკრულებას, რათა განსაზღვრულ ვადაში ააშენონ ბინები. მსურველები საკმაოდ მოიპოვებიან, უმთავრესად კი ასეთ სახლებს მუშები აშენებენ. ამგვარ სახლებიდან ოცის აშენება უკვე დასრულდა. დღემდე აშენებულ ასეთი ბინების საერთო სივრცე უდრის 2.200 კვ. არშინს.

ეგრედ წოდებულ საბჭოთა სახლებში, რომლებიც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ, რისთვისაც საჭიროა საკმაოდ დიდი თანხა, რადგან ასეთი თანხები აღმასკომის სალაროს არ მოეპოვება, საბინაო კოოპერატიულ სექციამ თითოეულ სახლში მოაწყო საბინაო ამხანაგობები, მდგმურებისაგან, რომელთაც ევალებათ თავისი საშუალებით აწარმოონ შეკეთება ბინებისა, ამავე დროს კი ბინის ქირის შეტანისაგან აღმასკომის სალაროში ისინი თავისუფლდებიან. ასეთ ამხანაგობების საშუალებით გაკეთებული აქვს კაპიტალური რემონტი 35 სახლს. საერთოდ კი კეთილმომწყობი განყოფილების მიერ შეკეთებულია 178 სახლი.

გარდა საბჭოთა სახლებისა უკანასკნელად ყურადღება მიექცა კერძო სახლთა შეკეთებასაც. არც ერთი კერძო მეპატრონე სახლის შეკეთებაზე არ ფიქრობდა და ამის გამოც ისინი ნადგურდებოდნენ. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად აღმასკომი აგზავნის ტეხნიკურ კომისიას კერძო სახლების დასათვალიერებლად. კომისია ადგენს ოქმს და თუ შეკეთებას საჭიროებს სახლი, ართმევს მეპატრონეს ხელწერილს, რომ იგი სახლს შეაკეთებს. ასეთი ოქმების შედგენის შემდეგ დღემდე გაუკეთდა რემონტი 25 სახლს.

ქრონიკა

ა | კავკასიის უმაღლეს ეკ. საბჭოში

მუშათა ბინებისათვის

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს 1923—24 წლის მონაგების მეხუთედი უმ. ეკ. საბჭომ გადასდო მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის.

ზომა-წონის პალატა

ა | კ. უმაღ. ეკ. საბჭომ მიიღო დებულების გეგმა ა | კ. ზომაწონის პალატის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინა ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს.

ჯილდო

ა | კ. უმ. ეკ. საბჭომ ა | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაავალა გამოარკვიოს, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს აგენტებისათვის პრემიალური წესის შემოღება.

— **შემოსავალი.** მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებიდან შემოვიდა 3,017,714 მან.

— **მავნეებთან ბრძოლის** ბიურო მოკლე ხანში შეუდგება გუდაფშუტასთან ბრძოლას აღმოსავლეთ საქართველოში.

— **კალიასთან საბრძოლველად** მავნეებთან ბრძოლის ბიურომ სახალხო კომისართა საბჭოსაგან დამატებით მიიღო 6.222 მან.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის** სახეითლო განყოფილებამ თელავის მაზრაში დამატებით გაგზავნა 117 ლიტრა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **დაზღვეულ უმუშევრების** ავადმყოფობის დროს დახმარების მიღება შეუძლიათ დამზღვევ სალაროს ექიმის მიერ შემოწმებულ მონდობილობის ქაღალდითაც.

— **ფოსტის გაძარცვის** შემთხვევა მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიაში მოხდა 7-ჯერ, რის დროსაც წაიღეს 4,907 მან.

— **სახლის შეძენა.** ა | კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კავშირმა გადასწყვიტა შეიძინოს სახლი მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **მიწის ჩამორთმევა.** აპრილიდან ივლისამდე საქართველოში ჩამორთმეულ იქნა 177 ნაკვეთი მიწა, სივრცით 1929 დესეტინა.

— **როზა ლიუქსემბურგის** საფეიქრო ქარხანამ ივნისში დაამზადა 1276 მეტრი ცალგანი და 374 მეტრი ორმაგი შალი.

— **ქვანახშირის ამოღება.** გასული თვის განმავლობაში ტყიბულის მაღაროებში ამოღებული იქნა 441,810 ფუთი ქვანახშირი. (შარშან ამავე თვეში კი 331,806 ფ.)

— **მუშათა მთლიანი კოოპერაციის** გამგეობა ამჟამად აწარმოებს კოოპერაციის წევრთა ხელახალ აღრიცხვას. აღრიცხვა გაგრძელდება 1-ლ სექტემბრამდე.

— **სასწრაფო საექიმოდახმარება.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა მოაგვაროს საკითხი ჭიათურის მაღაროებში მომუშავეთათვის სასწრაფო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად საჭირო სადგურების მოწყობის შესახებ.

— **ფიზიოლოგიური ინსტიტუტი.** შრომის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე სახელმწიფო სამეცნიერო ფიზიოლოგიურ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

— **მოჯამაგირეთა აღწერა.** საქ. შრომის კომისარიატმა დაამტკიცა საქართველოში მოჯამაგირეთა აღწერის ხარჯთ-აღრიცხვა. აღწერაში ჩაბმული იქნებიან უმუშევარი ინტელიგენტები და აღწერას ექნება საზოგადო სამუშაოს ხასიათი.

— **შემნახველი სალაროები.** ა.-კ. საოლქო კავშირს განზრახული აქვს საფოსტო დაწესებულებებთან დამატებით გახსნას 32 შემნახველი სალარო.

— **დახმარება უმუშევრებს.** მედსანშრომის კავშირმა გადასწყვიტა გაუდიდოს უმუშევრებს დახმარება.

— **პროფტეხნიკუმის განათლების კურსები.** მბეჭდავთა კავშირმა დაადგინა განათლების კომისარიატთან შეთანხმებით გახსნას პროფტეხნიკუმის განათლების კურსები.

— **დახმარება ჩინეთის გაფიცულებს.** კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობამ დაადგინა ჩინეთის გაფიცულ მუშებს დახმარების სახით გაუგზავნოს 200 მან.

— **კრება.** 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბში (ცირკის ქუჩა № 3) მოწვეულია საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირების თბილისის გაერთიანებულ სალაროს წევრთა საერთო კრება.

სპორტი

— **მოტო-ველო შეჯიბრება.** კვირას, 2 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ველოდრომის მოედანზე (პლეხანოვის პრ. № 116) მოხდება დიდი შეჯიბრება.

ახალი წიგნები

გამოვიდა:

— **„წითელ მეომარს“** ფიზკულტურის ცოდნის შესაძენად. შედგენილი ექიმ აკერმანის მიერ.

— **„დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხისათვის“** შედგენილი ექიმ ივანე ელიაშვილის მიერ.

— **„ადამიანის კანი და მისი მნიშვნელობა“.** შედგენილი იოსებ ლომაურის მიერ.

— **„ლისაბონის ტუსაღები“.** გამოვიდა პოლიკარპე კაკაბაძის ხუთ მოქ. პიესა: „ლისაბონის ტუსაღები“. გამოცემა თ. ჩიქვანაიასი.

— **„რუსეთის ისტორია“.** გამოვიდა მ. პოკროვსკის: „რუსეთის ისტორია“, ქართულად თარგმნილი ს. კაკაბაძის რედაქტორობით. ღირს 1 მ. 40 კ.

რადიო-ქრონიკა

— **ას ძალიანი დიზელი:** ლენინგრადში შეკვეთილი ას ძალიანი დიზელი უკვე მიღებულია თბილისში.

— **რადიო-ტელეფონით გადაცემის ცდები:** 31 ივლისს, თბილისის გადამცემი რადიო-სადგურიდან, კატოდის ნიშნების საშუალებით სწარმოებდა რადიო-ტელეფონით გადაცემის ცდები. მიმღებ აპარატებში კარგად ისმოდა სკრიპკის, მანდალინის და როიალის ხმები.

— **წარმოებითი ცდები:** სოფ. საგარეჯოში გაიგზავნა ტეხნიკოსთა ჯგუფი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ადგილობრივად შეისწავლოს, იქ პატარა რადიო-გადმოცემის სადგურის მოწყობის შესაძლებლობა.

— **თბილისის რადიო-სადგურის** შენობა დასრულებული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ჯერჯერობით გაკეთებულია საამშენებლო მუშაობის 50—60 პროცენტამდე.

— **რადიო-მოამბე.** ამერიკის რადიო-ფირმა „ვესტერნ“-თან მთავრდება მოლაპარაკება თბილისისათვის ახალი რადიო-მოამბის დამზადების შესახებ.

— **გადამცემი რადიო-სადგური.** თბილისის ყოფილი გადამცემი რადიო-სადგური ახლო მომავალში განზრახულია გადატანილი იქნეს ერევანში, აქ კი დაიდგმება უფრო დიდი ძალიანი გადამცემი რადიო-სადგური.

— **რადიო ანძა.** დღეს, ერევანში აღმართავენ 120 მეტრიან რადიო-ანძას, რომელიც გაკეთებულია ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხნებში.

მუშათა ცხოვრება

არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს

(თვითმშრომელთა ცხოვრებიდან)

ამ თვე ნახევრის წინად ქ. თელავში დაარსდა შინა-მრეწველ-ხელოსანთა საზოგადოება, რომელიც აერთიანებს 458 წევრს. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ქრისტეფორე მარკოზაშვილი. საზოგადოებაში შედის ცხრა ცეხი.

თვითეულ ცეხს ჰყავს თავისი გამგეობა. ყველა ცეხებს აქვთი შეკვეთილი საცეხო დროშები. მუშა-ხელოსნები საზოგადოების დაარსებას დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ და წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება. მან პირველ რიგში დააყენა ხელოსანთა შორის კულტურული მუშაობის გაჩაღება. მან მოაწყო სამკითხველო, ლენინის კუთხე და მოკლე ხანში აწყობს შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენის კუთხეს. ატარებს კამპანიას გაზეთ „კომუნისტის" და „მუშის" ხელის მოწერაზედ.

საზოგადოებას აქვს ურთი-ერთ დამხმარე სალარო, რომელიც ხელოსნებს ეხმარება სესხით სრულიად უპროცენტოდ; ჰყავს საკუთარი ექიმი, ვექილი, ბებია ქალი და კორესპონდენტი.

მუშა-ხელოსნები არაფერს არ ზოგავენ თავის საზოგადოების გასაფართოებლად. მათ შემოწირულებაც კი შეაგროვეს თავიანთ შორის, რომელთა სიას აქვე ვათავსებთ და საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს მათ:

1) ალექსი ნაზაროვს, 2) ვანო კუპატაძეს, 3) შაქრო გოგიჯანიშვილს, 4) ნასყიდა კალანდარიშვილს, 5) ვანო სპარსიაშვილს, 6) შაქრო ცინცაძეს 7) ლეო ამუნაშვილს.

გვწამს, რომ სხვა ამხანაგებიც მიბაძავენ მათ.

ინფ. ხადგისი.

მეტყავეთა კავშირის ირგვლივ

რაც დრო გადის, უფრო ემატება მეტყავეთა კავშირს უმუშევართა რიცხვი. საჭიროა მათ სერიოზული ყურადღება მიექცეს; გაიხსნას შეძლებისდაგვარად ყოველ რაიონში შრომის არტელი. რაც უმუშევართ საქმეს გაუჩენს და მუშა მოსამსახურეთაც იხსნის ჩარჩ-სპეკულიანტებისაგან.

რ. ჯ.

ასეთ თავხედს მორჯულება სჭირია

(ქ. თბილისის მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

„ზაჰესის" 1 უბანში არსებობს პატარა ბაზარი, სადაც მუშას შეუძლიან სურვილებისამებრ იშოვოს რაიმე სანოვაგე ამ უდაბნოში. ზოგიერთ სოფლიდან, რომელიც ოც, ოცდა-ხუთ ვერსზე მდებარეობს ღარიბ ხელმოკლე გლეხებს ფეხით მოაქვთ თავიანთი ნაოფლარი, რომ ამ ფულით შეიძინონ პირველ მოთხოვნილების საგნები: პური, ნავთი ასანთი, საპონი და სხვა. რამდენათ მეტნი მოვლენ სოფლებიდან გამყიდველები, იმდენათ მუშას საშუალება ეძლევა იაფად შეიძინოს სანოვაგე, ზოგიერთებს ეს არ ესმით და ცემით და დამუქრებით აფრთხობენ გამყიდველებს.

ვიღაც მეორე უბნის კოოპერატივის თანამშრომელი ბარალოვი წინ ეღობება ამას და გლეხებს უდიერად ეპყრობა და აფრთხობს მათ.

უნდა მოარჯულოთ ეს გაბოროტებული ადამიანი.

ინფ. „შან-მანი".

ვინ გაანთავისუფლა?

(პროკურატურის საყურადღებოდ).

პირველ საბჭოთა აფთიაქის გამგე მოქ. გრიგოლ თათეიშვილმა ამ უკანასკნელ ხანებში გაფლანგა სახაზინო ფული 3000 მან., რის გამოც თათეიშვილი შეიპყრეს და გამსახლში მოათავსეს. მაგრამ რაღაც სასწაულით დღეს ის ისევ თავისუფლად დასეირნობს.

პროკურატურავ, რაშია საქმე?!

ინფ. ხია.

ამ საქმის წარმოება მოისპო

(იხ. „კომუნისტი" № 181)

მოკვლევა გამოწვეული გაზ. „კომუნისტის" № 131-ში ა | წ. 11 ივლისიდან მოთავსებულ წერილით სათაურით: „ასეთ თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს" და რომელიც ეხებოდა სამხსამართო ბიუროს მოლარე კობალაძეს, ფაქტების დაუდასტურებლობის გამო წარმოებით მოისპო.

პროკურორის მაგიერი: ხარაბაძე

მდივანი: სიმონიშვილი

გამოგზავნილი წერილებიდან

მიიღეთ სათანადო ზომები

(რკ. გზ. პროფკავშ. საყურადღებოთ).

ელისაბედის ქ. № 118 მუშათა სახლში ცხოვრობს საბარგო მატარებელზე მემუხრუჭე პ. ხოსრაშვილი (ხსული), რომელსაც აქამდის ბინის დავთარში ჩაწერა ვერ ეღირსა. მიაქციეთ ყურადღება.

მუშა კიბულა.

დაეხმარეთ ამასაც

ქ. ზესტაფონში არსებულ ინვალიდთა შენაერთეას მოუსპეს კრედიტი. საჭიროა ისევ განუახლდეს მას კრედიტი, რომ შესძლონ არსებობა.

კალ. კალანდაჯიშვილი.

ამისთანა ვაჟბატონს ჭკუა ასწავლეთ

სად. სალოღლიას უფროსი მოქ. პოსუდენი მუშებს ყვირილით და ლანძღვაგინებით უმასპინძლდება.

საჭიროა ამ ვაჟბატონის გამასწორება.

ს. ბორტიშვილი.

მოუშორებელი ჩვეულება

ქ. სამტრედიის რაიონში ისევ დაიწყო ქურდობა. საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მკაცრად ექცეოდეს ქურდებს, რომ მათ ქურდობა ჩვეულებად არ გაიხადონ.

გაუბიცა

ნაგავს აქ რად ჰყრიან

(სენაკის აღმასკომის საყურადღებოდ).

მიქელაძის ყ. მამულში, რომელიც დაჭრილია სამოსახლო ადგილებად, ქალაქის დამგველები ჰყრიან ქალაქის მთელ სიბინძურეს, რამაც გასწყვიტა ასამდი ადგილობრივ ოჯახთა სხვადასხვა ფრინველები. ამ გარემოებამ ძლიერ შეაწუხა მცხოვრებნი.

საჭიროა ადგ. მეურნ. განყ. აკრძალოს აქ ნაგვის და სიბინძურის დაყრა.

ინფ. ნარეკლიანი

გულწრფელი მადლობა

მადლობას უძღვნი ფოთის გადამტვირთველთა სატრანსპორტო კავშირის მუშებს და მათ გამგეობას, რადგან მათი შემწეობით და დახმარებით სახსარი მომეცა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა.

პორფილე ნაწეიშვილი

„უსუფთაობისათვის 20 მ. ჯარიმა"

(სადგურ ხაშურის უფროსის საყურადღებოდ).

მოგზაურობის დროს მომიხდა შევლა სად. ხაშურის მე-3-ე კლასში. შესვლისანვე შევნიშნე საშინელი უსუფთაობა, ნაგვით იყო სავსე მთელი განყოფილება.

დავინტერესდი და შევეკითხე იქვე მოდარაჯე მილიციელს: ნუ თუ ასეთი უსუფთაობაა აქ ყოველთვის თქვა. მან მიპასუხა: ჯერ „სუტკა" არ გასულა, რომ დაიგავოსო. ყოველ კედლებზე კი გაკრულია განცხადებები: დამნაშავე პირი უსუფთაობისათვის დაჯარიმებული იქნება 1—20 მანეთამდის.

რისთვისაა ყველა ეს განცხადებები, თუ განყოფილება ბოსელს დაემსგავსება, წესრიგის დამცველები კი ამას ყურადღებას არ აქცევენ.

მეტი სისუფთავეა საჭირო სადგურებში.

ინფ. გუგუნა.

გამოხმაურება

(მუშკორების წერილებზე)

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას.

საქ. მ | გ. ინსპექცია გაცნობებთ, რომ საკითხი სახკომსაბჭოს ბუხჰალტერის მოქ. ი. ცირღილაძის მოქმედების შესახებ გამოკვლეულია ამ საქმეზე შემდგარი კომისიის მიერ და შედეგი გეცნობებათ ინსპექციის ოპერატიული განყოფილების და კოლეგიის მიერ კომისიის დასკვნის გარჩევის და დამტკიცების შემდეგ, რაც შესრულებული იქნება მოკლე ხანში.

მ | გ. ინსპ. სახ. კომისარი
კვარაცხელია

ს. ც. ს. ქ. და მ | გ. ინსპ. აღმასბიუროს გამგე დადიანი

ა | კავკასიის უმაღლეს ეკ. საბჭოში

სისხლის სამართლის მილიციის ცენტრალური სამმართველოს დაარსება

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ცენტრალური სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების დაარსება.

წინადადება მიეცა შინსახკომს შეადგინოს სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აპარატის შესანახი ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინოს იგი ამიერ-კავ. ფინსახკომის რწმუნებულს.

გადასახადი უმაღლეს სასწავლებელში

სახალხო კომისართა საბჭომ პრინციპიალურად დასაშვებად სცნო შემოღებულ იქნეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გადასახადი. გამოყოფილია კომისია ამხ. ს. ჯუღელის (თავმჯდომარე), კანდელაკის, ღლონტის, მათიკაშვილის და ყურულაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს გადასახადის ნორმა და იმ სტუდენტთა კატეგორია, რომელნიც უნდა განთავისუფლებულ იქნენ გადასახადისაგან.

ტყეების მოვლა

დაევალა კომისიას ამხ. თ. ღლონტის, ა. ვაშაძის და ლ. გამყრელიძის შემადგენლობით შეიმუშაოს და წარუდგინოს სახკომსაბჭოს ტყეების მიზანშეწონილი გაკაფვის წინააღმდეგ საბრძოლველი საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

კურორტ მანგლისის ტერიტორიის გაფართოვება

სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, საჭიროდ იქნა ცნობილი კურორტ მანგლისის ტერიტორიის გაფართოება, მისი სამთო-სასანიტარო დაცვის მიზნით, თბილისის აღმასკომის სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის მიხედვით.

საზღვრების საბოლოო გამორკვევა დაევალა ჯანმრთელობის და მიწათმოქმედების სახკომისარიატებს.

ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებათა სავალდებულო წარდგენა განათლების კომისარიატში

განათლების სახკომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საქ. სახ. კომსაბჭოს მიერ 1924 წ. მარტის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების სახ. კომისარიატში სავალდებულო წარდგენის ეგზემპლიარების რაოდენობა გადიდებულ იქნა ოცდაათამდე, მოკავშირე რესპუბლიკების წიგნთ-საცავისათვის 22 ეგზემპლიარის გაგზავნის გამო.

შავი ზღვის რკინისგზის ქონების გადაცემა

სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა დადგენილების პროექტი „შავი ზღვის რკინის გზის საზოგადოების" ქონების შავი-ზღვის რკინის გზის სამშენებლო სამმართველოსათვის" გადაცემის შესახებ.

დადგენილების პროექტი გადაეცა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად.

ხელოვნება

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** ორშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქუჩა) დანიშნულია ტფილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა. პრეზიდიუმის წევრები უნდა გამოცხადდენ ერთი საათით ადრე.

— **საზაფხულო კლუბი „მზექდაგი".** დღეს, 2 აგვისტოს, დღის სრულ 11 საათზე, მ. კ. არსებულ ქართ. ლიტ.-საინსცენიროვკო წრის მიერ მოხდება ე. ნინოშვილის „ქრისტინეს" ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებას ხელმძღვანელობს გ. ზენობნელი.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დს, საქ. სახ. ვაჭრობის კომ. უჯრედის ინიციატივით საშეფო სოფლების სასარგებლოდ გაიმართება საღამო. წარმოდგენილი იქნება კომედია 3 მოქ. „საბჭოთა ეშმაკი".

— **მუშ. ც. კლუბში.** დღეს მესამე სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით და ლევ ბენდიცკის მონაწილეობით (სკრიპკა).

— **ლექცია დედ.-მიწის შესახებ.** 3 აგვისტოს, საღამოს 8 ს. ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის პრ. 66) შესდგება ამხ. სტრელეცკის ლექცია.—„რას წარმოადგენს ჩვენი დედა-მიწა".

— **მხატვ. ირაკლი თოიძის სურათების გამოფენა.** დღეს გამოფენის უკანასკნელი დღეა. გამოფენა ღიაა 10—1 საათ. საღ. 6—9 საათ. შესვლა მუშებისათვის, წითელარმიელებისათვის და პროფკავშირის წევრებისთვის უფასოა. (ერმოლოვის ქ. 3. ქიაურელის სახელოსნო).

შემთხვევები

— **თავის მოწამვლა.** 31 ივლისს პეტრე-პავლეს ქ. № 8 ქალთა თავშესაფარში მცხოვრებ ქალებმა ზექალაშვილმა და მელქონიანცმა მოიწამლეს თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ფოსტის გაქურდვა.** 31 ივლისს სადგურ მცხეთის ფოსტის კანტორის გამგის განცხადებით გაუქურდავთ კავკავიდან მომავალი ფოსტა.

— **შეპყრობა.** 30 ივლისს შეიპყრეს გრონზნის ქუჩაზე მცხოვრები ალ. ხარჩენკო, რომელსაც მოქ. არტაშ მამულიანცისათვის მოუპარავს „რენტგენის" მანქანა.

— **ამავე დღეს** სადგურის ქ. № 20 აფთიაქის მაღაზიაში შეიპყრეს მიხეილ ზოგიტაშვილი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული მაღაზია.

— **ქურდი სტუმარი.** 30 ივლისს ფეიერვერკის ქ. № 23 მოქ. ბორის კუტრიასოვის ბინა გაქურდა მასთან სტუმრად მისულმა უცნობმა მოქალაქემ. წაღებულია 200 მან. ნივთები.

— **ქურდი ცოლ-ქმარი.** 31 ივლისს შეიპყრეს მოქ. დავითიანცისა თავისი ქმარით, რომელთაც ბრალდებათ მათი სიძის ავეტიქ მელქონიანის (მელიქოვის ქ. № 20) ბინიდან 300 მან. ნივთების მოპარვა.

— **ქურდობა.** 31 ივლისს, საბჭოს ქ. № 25 მოქ. ილარიონ მოსაძის ბინიდან მოიპარეს 128 მ. ნივთები.

— **ამავე დღეს** ტრამვაის შესახ. № 10 მოქ. ელენე ბელსკის ბინიდან წაიღეს 150 მანეთის ნივთები.

[illegible]

რა ზარალი მიაყენა ლანჩხუთს წყალდიდობამ

ივლისის 23—24 ღამითა და დღით განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმამ ლანჩხუთი და მისი მახლობელი თემები ნიაღვარის ტალღებში გახვია. საშიშარმა სტიქიამ თავზარი დასცა მთელ მოსახლეობას. ყოველგვარი სტიქიური უბედურების წინააღმდეგ შეიძლება შებრძოლება განადგურებიდან თავის დასაცავათ, მაგრამ ნიაღვარი ეს ისეთი საბედისწერო კოშმარია, რომლის წინააღმდეგ ადგილობრივი მშრომელი გლეხობამ ვერას გახდა და გზაკვალ აბნეულები სასოწარკვეთილებით შესცქეროდენ მათი ნაშრომის და ნაამაგარის წალეკვა-განადგურებას.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ზარალის გამოსარკვევათ შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც სათითაოთ დაათვალიერა და შეაფასა ზარალი, მაგრამ ყველა დეტალების აღწერა შეუძლებელი შეიქნა. მარტო ლანჩხუთის თემი დაზარალებულია შინაური ოთხფეხ და ორფეხ ცხოვრებით და სახლებით ხუთმეტი ათასი მანეთით, ამაში არ შედის წისქვილები, წყლის კალაპოტები, გზები, ხიდები, ბოგები, ეზოები და ყანების 70 პროც., რომლებიც ერთიანათ განადგურებული და აღგვილია.

საერთოდ რაიონში არ არის მოსახლე, რომელსაც არ მისწვდომოდეს ნიაღვარი და არ დაეზარალებიოს ის.

კ. ებრალიძე.

ჩვენი აგარაკები და აბანოები

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრა აგარაკების და სამკურნალო აბანოების მხრით არ ჩამოუვარდება ბევრ სხვა მაზრებს. ჩვენს მაზრასაც აქვს თავისი საუცხოვო კურორტები: „ლებარდე", რომელიც სენაკიდან დაშორებულია 97 ვერსით და „ჩეგოლა"—105 ვერსით. ორივე აგარაკები ერთ და იმავე გზაზე მდებარეობენ.

ამ აგარაკებზე მრავალი ავადმყოფები იკრიბებიან სამეგრელოს, აფხაზეთის და იმერეთის სხვადასხვა კუთხეებიდან. კურორტებზე მოწყობილია სახლები და კარავები. ფასები ხელმისაწვდომია. იქვნა აფთიაქი და ექიმი. სურსათ-სანოვაგით მოაგარაკენი უზრუნველყოფილი არიან. მგზავრობა შეიძლება უშიშრად. გზები და ხიდეები შეკეთებულია. სოფ. კურზუში შემდგარია გლეხთა არტელი, რომელიც კისრულობს ცხენით მოაგარაკეთა ჩაყვანას დანიშნულ ადგილზე შეღავათიან ფასებში. აგარაკების ექსპლოატაციას სამაზრო აღმასკომის ადგილ. მეურნ. განყოფილება ეწევა.

არც აბანოები გვაკლია ჩვენ. ნოქალაქევის აბანო ცნობილია თავისი წყლის თვისებით, რომელიც წყალტუბოს არ ჩამოუვარდება.

თეკლათის თემში მდ. ცივთან არის ერთი აბანო, რომელიც ჯერჯერობით გამოკვლეული არ არის, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებნი ამით დიდად სარგებლობენ, რადგან ის რგებს თავის ტკივილს და ციებას. მისი ექსპლოატაცია არ არის მოწესრიგებული. მას ესაჭიროება მეტი ყურადღება.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილებიდან

ატენის თემი (გორის მაზრა). სოფ. ატენის მახლობლად მდინარე ტანას პირას აგებული იყო წისქვილი, რომელიც ყოველთვის წყლის ადიდებისას ინგრეოდა, რის გამოც თემის გლეხები წვალებით ეზიდებოდნენ საფქვავს ზოგი ხიდის თავისაკენ და ზოგიც უფრო შორს. 30—35 წლის განმავლობაში ვერავინ ვერ შესძლო წისქვილის იმრიგად მოწყობა, რომ ის ადიდებულ წყლის საფრთხისაგან უზრუნველყოფილიყო. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ამ წისქვილის საქმეს ხელი მოკიდა ატენის თემის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შალვა გრეკოვმა, რომელმაც თავისი მუყაითი მუშაობით ააგო და აამუშავა ახალი წისქვილი, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს მრავალ ახლო მდებარე სოფლებსაც. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ამხანაგის ხელმძღვანელობით ატენის თემში ბევრი რამ გაკეთდა. შეკეთებული იქნა 6 ბოგირი, 2 ხიდი, გზები, დაარსებული იქნა ქოხ-სამკითხველო, კლუბი და სხვა.

ვლ. სალიბეგ.

სოფ. ცაისი (ზუგდიდის მაზრა). ა | წ. 26 ივლისს ხეთის დრამწრემ სოფ. ცაისში გამართა წარმოდგენა ხეთის ქოხ-სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად. წარმოდგენას ბლომად დაესწრო ხალხი. მაგრამ სამწუხაროდ დამსწრეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხელს უშლიდენ წარმოდგენის მსვლელობას. იყო ასეთი შემთხვევა: წარმოდგენის დაწყების შემდეგ არ გასულა 20 წუთიც, დარბაზში შემოვიდნენ ღვინით გალეშილი ვინმე გოგია და ჯანაშია, რომლებმაც ასტეხეს ჩხუბი, აურ-ზაური, რის გამოც მოთამაშენი იძულებული შეიქნენ ფარდა ჩამოეშვათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ასეთ მოვლენებს პირველად არ ჰქონებია ადგილი. ს. ცაისში ისეთი წარმოდგენა არ დადგმულა, რომ წესრიგის დარღვევის შემთხვევა არ ყოფილიყო. ამ დროს კი ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურს არ იბერტყავს. საჭიროა აღმასკომმა ამას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

აკ. ივლიანიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ხელითსაკერავ მანქანის მოთხოვნილება** სოფ. ველისციხეში საგრძნობლად გაიზარდა. ყოველ თვეში იყიდება 135 მანქანა.

— **ახალ-სენაკში** ამ დღეებში შესდგება კოოპერატიული თათბირები, მაზრაში კოოპერაციის გაძლიერების მიზნით.

— **დახმარება დაზარალებულ გლეხებს.** ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებამ მიიღო 21,800 მან. ქუთაისის და შორაპნის მაზრებში სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის დასარიგებლად.

— **ფქვილის მიღება.** ქუთაისში მიღებული იქნა 50 ვაგონი პურის ფქვილი, რომელიც გაუნაწილდა მუშათა მთლიან კოოპერატივებს.

— **სამტრედიაში** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გაგზავნა ერთი ვაგონი სიმინდი ღარიბ გლეხებისათვის დასარიგებლად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 42

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

31 ივლისი 1925 წ.

ნავთეულ პროდუქტებზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის ა.-წ. ივლისის 30 დადგენილებისა № 50, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შემდეგი ფასები ნავთზე, გაწმენდილ ნავთზე (ბენზინი) მანქანის და ცილინდრის ზეთზე.

ა) საგასაცემო საბითუმო ფასი საქ. ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპის"-ა („სახ. სათბობი") ფრანკო თბილისისა და ნავთლუღის საწყობი.

1. ნავთი—1 მან. 25 კაპ. ფუთი სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის და 1—28 კაპ. კერძო ვაჭრობისათვის.
2. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი)— 4 მ. 44 კ. 1 ფ.
3. მანქ. ზეთი 2. მ. 93 კ. „ „
4. ცილინდ. ზეთ. 3 მ. 86 კ. „ „
5. საცალო ფასი ნავთისა „გრუზგოსტოპის" ყველა სავაჭროებისათვის თბილისში 1 მან. 55 კაპ. ფუთი და 4 კაპ. 1 გირვანქა.

ბ) საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპის"-ა ფრანკო თბილისი ცისტერნა.

1. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი)—4 მან. 24 კაპ. 1 ფუთი, 2. მანქანის ზეთი—2 მან. 85 კაპ. 1 ფუთი, 3. ცილინდრის ზეთი—4 მან. 09 კაპ. ფუთი.

გ) საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპი"-სა ფრანკო ბათომი ცისტერნა.

1. ნავთი—1 მან. 25 კაპ. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის და 1 მან. 27 კ. კერძო ვაჭრობისათვის.
2. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი) —4 მან. 58 კაპ. 1 ფუთი.
3. მანქანის ზეთი—3 მან. 19 კაპ. ფუთი.
4. ცილინდრის ზეთი—4 მანეთი 01 კაპ. ფუთი.

დ) საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპი"-სა ფრანკო ჭიათურა.

1. მანქანის ზეთი—3. მან. 16 კ. ფუთი.
2. ცილინდრის ზეთი—4 მან. 01 კაპ. ფუთი.

ე) საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპის"-სა ფრანკო-ბორჯომი ცისტერნა.

1. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი) —4 მან. 45 კაპ. 1 ფუთი.

ვ) საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპის"-ა ფრანკო-ქუთაისის ცისტერნა.

1. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი) —4 მან. 54 კაპ. 1 ფუთი.
2. მანქანის ზეთი—3 მან. 15 კაპ. ფუთი.

ზ) საგასაცემო საბითუმო ფასი „გრუზგოსტოპის"-სა ფრანკო-ფოთი ნავთსადგური.

1. გაწმენდილი ნავთი (ბენზინი) —4 მან. 57 კაპ. 1 ფუთი.
2. მანქანის ზეთი 3 მან. 18 კაპ. ფუთი.

ჱ) ნავთის საგასაცემო საბითუმო ფასი ს. მ. უ. ს. „გრუზგოსტოპის"-ა ფრანკო-ცისტერნი ყოველი სადგური. საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის —1 მან. 31 კაპ. და 1 მან. 33 კაპ კერძო ვაჭრობისათვის.

თ) ნავთის საგასაცემო საბითუმო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისა ფრანკო-ცისტერნი ყოველი სადგური საქ. ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე ძირითადი კოოპერატივებისათვის და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის —1 მან. 36 კაპ. ფუთი.

ი) ნავთის საგასაცემო საბითუმო ფასი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა—რკინისგზის ხაზზე მდებარე ყველა თავის საწყობებიდან ძირითად კოოპერატივებისათვის და სახელმწიფო ორგანოებისათვის—1 მან. 44 კაპ. და 1 მან. 47 კ. კერძო ვაჭრობისათვის.

კ) საცალო ფასი ნავთისა რკინისგზის ხაზზე მდებარე ყველა ქალაქისა და ადგილის კოოპერატიულ სავაჭროებში, გარდა ბათომისა, 1 მან. 80 კაპ. 1 ფუთი (გირვანქობით 4 კაპ.)

ლ) საგასაცემო საბითუმო ფასი ნავთისა ბათომში ფრანკო-სახელმწიფო სავაჭრო საწყობი 1 მან. 29 კაპ. 1 ფუთი სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის და 1 მან. 31 კაპ. კერძო ვაჭრობისათვის.

მ) საცალო გაყიდვა ნავთისა ყველა დანარჩენ ადგილებში (გარდა თბილისისა და ბორჩალოს მაზრების) კოოპერატივებმა უნდა აწარმოონ:

იმ ადგილებში, რომელნიც დაშორებულნი არიან რკინისგზის ხაზზე მდებარე უახლოეს საგასაცემო საწყობიდან:

რაოდენობა	10 ვერს.	25 ვერს	50 ვერს.	100 და მეტ.
1 ფუთი	1 მ. 80 კ.	2 მან.	2 მ. 20 კ.	2 მ. 60 კ.
1 გირვან.	4,5 კაპ.	5 კაპ.	5,5 კაპ.	6,5 კაპ.

ნ) საცალო გაყიდვა ნავთისა თბილისსა და ბორჩალოს მაზრაში კოოპერატივებზე უნდა აწარმოონ:

იმ ადგილებში, რომელნიც დაშორებულნი არიან რკინისგზის ხაზზე მდებარე უახლოეს საგასაცემო საწყობიდან:

რაოდენობა	10 ვერ.	25 ვერ.	50 ვერ.	100 და მეტ.
1 ფუთი	1 მ. 60 კ.	1 მ. 80 კ.	2 მან.	2 მ. 40 კ.
1 გირვან.	4 კაპ.	4,5 კაპ.	5 კაპ.	6 კაპ.

2. ამა დადგენილებით უქმდება ყველა წინანდელი დადგენილება ხსენებული საკითხის შესახებ.

3. ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობა სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

4. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში გამყრელიძე.

სამმართველოს მდივანი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ორშაბათს, 3 აგვისტოს, საღ. 5 ს. მუშ. ც. კლუბში მოწვეულია. **საფარმოვო უჯრედების ბიუროების კონფერენცია.**

დასწრება სავალდებულოა ბიუროების ყველა წევრებისათვის და რაიკომების მდივნების, ინსტრუქტორების და საორგ. განყ. გამგეთათვის.

თ. კ. მდივანი ნ. სვანიძე.

განცხადებები

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი
აცნობებს ყველა—პარტიულ ამხანაგებს—თბილისის ორგანიზაციის წევრებს, რომ 31 ივლისს ღამის 12 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა
ამხ. გიორგი დავითის ძე
ლეშკაშელი
რომელიც მოკლე ხანში დაბრუნდა გერმანიიდან მიწათ-მოქმედების კომისარიატის გამოწვევით. 2143 1—1

ამხანაგები აპოლონ ყიფიანი და ნიკოლოზ რუსიშვილი ღრმა მწუხარებით აცნობებენ ყველა თბილისში მყოფ ლეჩხუმის მაზრის პარტამხანაგებს და ლეჩხუმის კომ. ორგანიზაციის წევრებს რომ 31 ივლისს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა ამხ. გულითადი მეგობარი
გიორგი დავითის ძე
ლეშკაშელი
2153 1—1

ჯგუფი საზღვარ-გარეთელ ამხანაგებისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი კარგი ამხანაგი და მეგობარი
აგრონომი გიორგი
ლეშკაშელი
რომლის გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან 2 აგვისტოს 3 საათზე რკინის გზის სადგურზე.
2137 1—1

მწუხარებით აღსავსე ბიცოლა ქეთევან და ბიძა მარკოზ მიროტაძე აუწყებს ნათესავთ და მეგობართ მათთვის საყვარელ
გიორგი ლეშკაშელის
უდროოდ გარდაცვალებას 2134 1—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფი დედა ევა და მამა დავით, დები—ოლია, ქსენია, მარო, ქეთო და ნინო, ძმები ვარლამი და გაბრო, რძლები ელენე და ნანა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი
გიორგი ლეშკაშელი
გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან 2 აგვისტოს 3 საათზე რკინის გზის სადგურზე 2134 1—1

ღრმად დამწუხრებულნი და მარო და სიძე დავით გელოვანი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი ძვირფასი
გიორგი ლეშკაშელის
უდროოდ დაკარგვას 2134 1—1

გულდათუთქული დედა ელისაბედ იოსების ასული ჩაჩავასი, და ნინო და სიძე გრიგოლ ტარასისძე მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს აგვისტოს 2-ს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე შესდგება პანაშვიდი ძვირფას
მიშა ანდრიას ძე ჩაჩავას
გარდაცვალების 40-დღის თავზე. ნ. 1571 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე ლავრენტის ასული, ბებია ნატალია გლახუას ასული, ბაბუა ალექსანდრე გიორგის ძე, ბიძები მიხეილ, ალექსანდრე და გიორგი ქუთათელაძეები, მამიდები ოლღა, ქსენია, ეკატერინე, თალიკო, ნატაშა, ბიძის-ცოლები ლიდა, და ნინა ჯიმადიები, ნიკიფორე ხომერიკი, ივანე მაჭავარიანი, მიხეილ ქვარიანი და მამის დის შვილები თინა და ლეო ხომერიკები ამით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებთ და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. აბასთუმანში 27 კვირკობისთვეს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი
შურა (ალექსანდრე) ვლადიმერის ძე
ქუთათელაძე
დასაფლავება მოხდება ქ. ხონში სამშაბათს 4 აგვისტოს, დილის 11 საათზე. 2125 1—1

გულჩათუთქული ლუკიანე გიორგის ძე ხარაძე, შვილები: ანიკო და რუსიკო, დედა ეფემია, მაზლი სიმონი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 31 ივლისს, დღის 6 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ელენე დავითის ასული ხარაძისა
პანაშვიდი დღეს, 1 აგვისტოს 7 საათზე. გამოსვენება საკ. ბინიდან, ერმალოვის ქ. 13 კვირას, 2 აგვისტოს 5 ს. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე, ვერაზე.
1—1

პრობკისა და პრობკა-საიზოლიაციო მრეწველობის
სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტრესტმა
„ცენტროპრობიზოლ"
გახსნა ქალაქ თბილისში
ფაბრიკის საწვრილმანო მაღაზია
სოლოლაკის ქუჩაზე, № 7.
იყიდება
პრობკები
ღვინის, ლუდის, ლიმონადის, არაყის, სააფთიაქო, საკასრე და სხვა.
შეიძლება ბითუმად გაყიდვაც.
ლითონის საცობები
ღვინისა და კონიაკისათვის,
თეთრი და ფერადი
პრობკის ნახერხი ყურძნისათვის.
ნ. 1547 2—1. რწმუნებული ა.-კავკასიაში ი. ს. პოლიაკოვი.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის
მომარაგების უფროსის
სამმართველო
აცხადებს, რომ ა.-წ. 10 აგვისტოს დილის 11 საათზე
საამშენებლო-საბინაო განყოფილების შენობაში ინჟინრის ქ. № 2
დანიშნულია
შერეული საჯარო ვაჭრობა

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებათათვის 1925—26 წელში 10.000 კუბ საჟ. შეშის მისაწოდებლად, აქედან: საბჭოთა საქართველოში—5600 კუბ. საჟ., აზერბეიჯანში—2.200 კუბ. საჟ. და სომხეთში—2.200 კუბ. საჟ. ამასთანავე აღნიშნული რაოდენობა შეიძლება შემცირებული ან გადიდებული იქნას 30 პროც.-ით.

მიწოდება შეიძლება აღებული იქნას, როგორც მთელ აღნიშნულ რაოდენობაზე, ისე ცალკე რესპუბლიკებში და გარნიზონებისთვის: თბილისი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, კრასნიე-კოლოდცი, მანგლისი, თელავი, ბათომი, ოზურგეთი, ქუთაისი, სოხუმი, ბაქო, განჯა, კუბა, კუსარი, ლენქორანი, ერევანი, გერუსი, დელიჟანი, კარაკლისი, კანაკირი, ლენინაკანი.

წარმოდგენილ განცხადებებში და ზეპირ ვაჭრობის დროს საჭიროა გამოცხადებული იქნას:

1) ნორმალური ჯიშის 1 კ. საჟ. შეშის ფასი ყაზარმებში მიტანით, აღნიშნული უნდა იქნას დატვირთვის სადგური, რკინისგზის ფრახტის საფასურის გარდა, რომელიც ცალკე იქნება ანაზღაურებული სამხედრო უწყების მიერ.

2) ნორმალური ჯიშის შეშის 1 კ. საჟ. ფასი ვაგონზე დადებით, დატვირთვის სადგური და დატვირთვის ადგილის აღნიშვნა.

3) დანარჩენი ცნობები მიწოდების შესახებ.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველოს საამშენებლო-საბინაო განყოფილებასთან არსებულ სავაჭრო კომისიის სახელზე შემდეგი დოკუმენტები წარწერით: „კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის 1925—1926 წლ. შეშის მისაწოდებლათ გამართულ ვაჭრობისათვის".

1) მოვაჭრის პირადობის მოწმობა.

2) ქვითარი საბჭ. კავშირის სახელმწიფო ბანკში მიწოდების მთელი საფასურის 10 პროც.-ის შეტანის შესახებ.

3) ხელწერილი იმის შესახებ, რომ ის ვალდებულია დასდოს ხელშეკრულება წარმოდგენილ ფასის მიხედვით ვაჭრობის დამტკიცების შემდეგ. სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები საწინდრის შემოტანისაგან თავისუფალი არიან.

ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა პირებმა უნდა შეასრულონ ყველა ჩამოთვლილი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჭრობაზე არ იქნებიან დაშვებული.

მიწოდების საერთო და კერძო პირობების გაცნობა შეიძლება სამსახურის საათებში: ქ. თბილისში—ინჟინრის ქუჩა № 2, ქ. ბაქო—აზერბეიჯანის ტერიტორიალურ სამმართველოს საბინაო განყოფილებაში და ერევანში—სომხეთის ტერიტორ. სამმართველოს საბინაო განყოფილებაში; ქალაქ განჯაში, კუსარში, ლენინაკანში, ბათომში, ქუთაისში—რესპუბლიკის სათანადო ტერიტორიალურ ნაწილთა სამმართველოს საბინაო განყოფილებათა უფროს ინჟინრებთან.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველო.

ნს. 1557. 3—2

მუშათა ცენტრალური კლუბი (პლეხანოვის პროსპ. 123)

დღეს, 2 აგვისტოს შესდგება

მესამე სიმფონიური კონცერტი

დამსახურებულ მსახიობ **სტოლერმანის** ხელმძღვანელობით და **ლევ ბენდიცკის** მონაწილეობით (სკრიპკა)

ანონსი: ხუთშაბათს, 6 აგვისტოს შესდგება რევოლიუციონურ მუსიკის საღამო კომპოზ. ჩუგუნოვის ნაწარმოებებიდან, თვით ავტორის ხელმძღვანელობით.

ნ. № 1576—1—1

წ ა ღ ვ ე რ ი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოწხე

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდ ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—14 1795

შემოდგომის გამოცდებისათვის

უმაღლეს და საშუალო

სასწავლებლებში შესასვლელად ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილ მუშფაკელებს და მოწაფეებს

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი

პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. 5

ნახვა 9—5 ს. 4—2 2120

დაიბეჭდა და ორშაბათს გამოვა გასაყიდათ

საქ. პროფ. კავ. საბჭოსთან არსებულ ინჟ.-ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს ყოველთვიური

ჟ უ რ ნ ა ლ ი

„ტეხნიკა და ცხოვრება“

ჟურნალში შემდეგი წერილებია მოთავსებული: **რედაქციისაგან ბ. ჭიჭინაძე**—წინასწარი მოსაზრებანი კოჯრის ელექტრონული რკ. გზ. გაყვანის შესახებ, **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—ხის მასალის ქიმიური დამუშავება, **ინჟ. ივ. ყიფშიძე**—ჭიათურის შავი-ქვა და ჰარიმანის კონცესია, **ინჟ. გრ. ქურდიანი**—ქალაქების კეთილმოწყობის საკითხი ჩვენში. **ინჟ. გრ. გეგეჭკორი**—საქართველოს მიწების მელიორაციის პერსპექტივები, **ინჟ. ალ. ჩირგაძე**—ავტომობილი და მისი თანამედროვე განვითარება, **ვ. გოგოლაძე**—მიწათმოწყობის საკითხები. სპეციალური სწავლა-განათლება, ინჟ.-ტეხ. პროფ. ცხოვრება, საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში, მეცნიერება და ტეხნიკა, ილიუსტრაციები და სხ.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია: თბო-ტეხნიკა, ელექტრო-ტეხნიკა, ელექტროფიკაცია, ჰიდრო-ტეხნიკა, სამთო საქმე, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, ტეხნოლოგია, შინამრეწველობა, ტრანსპორტი საფეიქრო მრეწველობა, მუნიციპალური მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სატყეო მეურნეობა მიწათ-მოწყობა, მრეწველობის მეურნეობის ორგანიზაცია და „შმო“, ტეხნიკის ინფორმაცია, ავიაცია, რადიო, პროფტეხნიკური განათლება, გამოგონებანი, ბიბლიოგრაფია, პროფ. ცხოვრება, ტერმინოლოგია და ქრონიკა.

ჟურნალში თანამშრომლობენ: ინჟ. გ. აბაშიძე, დოც. კ. ამირაჯიბი, ინჟ. ე. ალშიბაია, ინჟ. ი. ანდრონიკაშვილი, პროფ. ა. ბენაშვილი, პროფ. ა. ბაბოვი, ინჟ. ბერიძე, ინჟ. ბოჭორიშვილი, ინჟ. ი. ბურჯანაძე, ინჟ. ბუაძე, ინჟ. ნ. გვარამაძე, ინჟ. გ. გვერდწითელი, ინჟ. გრ. გეგეჭკორი, ინჟ. გედევანიშვილი, ინჟ. გიორგობიანი, ვ. გოგოლაძე, ინჟ. ა. გულისაშვილი, ინჟ. ლ. დიასამიძე, პროფ. ა. დიდებულიძე, ინჟ. ვ. კაკაბაძე, ინჟ. ა. კაციტაძე, ინჟ. ნ. კვეზერელი-კოპაძე, ინჟ. გ. კოჩინევი, ინჟ. ე. კრანცი, ინჟ. ნ. კორინთელი, ინჟ. ნ. ლეჟავა, დამსახ. პროფ. პეტრე მელიქიშვილი, პროფ. მ. მაჭავარიანი, ინჟ. პ. მამრაძე, ინჟ. ი. მჭედლიშვილი, ინჟ. გ. მუხაძე, ინჟ. გ. მაღლაკელიძე, დოც. გ. ნიკოლაძე, რუსუდან ნიკოლაძე, ტ. სპრინკველი, ინჟ. პ. ტუროვეცი, ინჟ. ფულდი, ინჟ. ჩირგაძე, ინჟ. გ. ჩხეიძე, ს. ჩომახიძე, ინჟ. გ. წულუკიძე, ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, ინჟ. ი. ყიფშიძე, ინჟ. გ. ქურდიანი, ინჟ. გ. თუმანიშვილი, ინჟ. ა. ჯორჯაძე, ინჟ. ს. ყირქესელაშვილი, ინჟ. გ. ქავთარაძე და ინჟ. მ. ჯაში.

რედაქციის მისამართი: მუშათა სასახლე. საგამომცემლო განყოფილება. ტელ. 6—18.

ნის. 1572. 1—1

„ჩემო“-ს

სალიკვიდაციო კომისია

რომელიც არჩეულია საზ-ბა „ჩემოს“ წევრთა საგანგებო საერთო კრებაზე 1925 წ. 21 ივლისს ამ საზოგადოების საქმეების ლიკვიდაციის მოსახდენად,

აცხადებს

ყველას საყურადღებოთ

რომ ყველა პირებმა, წარმოებებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია საზ-ბა „ჩემოსადმი“, უნდა წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიაში

(თბილისი, რუსთაველის პრ. № 23)

არა უგვიანეს 1925 წ. 1 ნოემბრისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი
2—1 თავმჯდომარის მოადგილე ა. ჯაყელი

აქ. რკინისგზათა სამმართველო

ამით, აცხადებს, რომ ა/წ. 12-დან 19 აგვისტომდე დილის 10 საათიდან ქ. თბილისის სალიკვიდაციო საწყობი

(გორის ქ. რკ. გზ. ტერიტორიაზე)

აუქციონით გაიყიდება

ა/ქ. რკინის გზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები და ბარგი

მეორე ვაჭრობა დარჩენილ ტვირთების გასასყიდათ დანიშნულია იქვე 21—25 აგვისტომდე

ქვემოდ აღნიშნულია საბარგო ფურცლების ნომრები, ტვირთები, ადგილების რიცხვი და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაო. საწყობში სამსახურის დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს ასეთის დაწყებამდე

1. მოუკითხავი ტვირთები

№ 817617 ავტომობილების სახურავი, 27 ცალი, № 657194—ფართალი 1 ადგ. 6 ფ. 9 გირ., № 44286—სააგიტაციო ლიტერატურა 1 ადგ. 16 ნახ. კილო, წიგნები № 98992—დაბეჭდილი 1 ადგილი 52 კილო, № 88695—წიგნები დაბეჭდილი 3 ადგ. 131 კილო, № 99940—წიგნები 1 ადგ. 11 კილო, № 30412—წიგნები დაბეჭდილი 3 ადგ. 130 კილო, № 60512—წიგნები დაბეჭდილი 1 ადგ. 24 კილო, № 104302—წიგნები დაბეჭდილი 1 ადგ. 26 კილო, № 15270—სააგიტაციო ლიტერატურა 1 ადგ. 81 კილო, № 46305—ბიუსტი 1 ადგ. 87 კილო, № 55118—თუხუქის სინი 1 ადგ. 117 კილო, № 59947—ლენინის ბიუსტები—1 ადგ. 17 კილო, № 46509—რკინის საწოლი 1 ადგ. 13 კილო, № 50033—მელანი 2 ყუთი 174 კილო. № 13377—ნაქსოვი ნაწარმოები 8 ადგ. 620 კილო, № 106541—თუნუქის ჭურჭელი 1 ადგ. 22 კილო, № 51753—რკინის მილები 1 ადგ. 10 კილო, № 62315—სემიჩკა 2 ადგ. 82 კილო, № 22780—რკინის მანქანა 1 ადგ. 540 კილო, № 526 შაბიამანი 1 ყუთი 323 კილო, ხერხები 248 ცალი, № 54782—4 ადგ. 89 კილო, № 105353—რკინეული 2 ადგ. 154 კილო, № 73092—პლაკატები 2 ადგ. 343 ცალი, № 69665—აფიშები 1 ადგ. 10 კილო, № 89555—ცალიერი ბოთლები 1 ადგ. 40 კილო, № 57937—ხის მოდელი, 1 ადგ. 29 კილო, № 50218—გრაფიტი 3 ადგ. 243 კილო, № 84574—რკინის სალტეები 1 ადგ. 24 კილო, № 57954—გასასხვევი ქაღალდი 10 ადგ. 815 კილო. № 7336—თივის პრესი 2 ადგ. 820 კილო, № 215316—ხორბლის ფქვილი 1 ადგ. 81 კილო, № 96536 თუჯის ნაწარმოები 4 ადგ. 180 კილო, № 96519 თუჯის ნაწარმოები 2 ადგ. 106 კილო № 144924 მარყუშები 3 ადგ. 299 კილო, № 183095—3 ადგ. 429 კილო, № 8330 ინსტრუმენტები ფეხსაცმელების დასამზადებლად 1 ადგ. 81 კილო, № 115942 ტომრები ცარიელი 2 ადგ. 26 კილო № 10083—მარცვლეულობა, № 269364 მავთული 13 ადგ. 533 კილო, № 10492 შუშის სიფონები 8 ადგ. 817 კილო, № 8671 სკამების დასაჯდომი 15 ადგ. 490 კილო, № 8450—სალებავი 3 ადგ. 425 კილო, № 8636—სალებავი 2 ადგ. 214 კილო, № 96496—თუჯის ნაწარმოები 2 ადგ. 108 კილო, № 475691—ლიტერატურა 1 ადგ. 2 ფ. 10 გირ. № 103554—ბარგი 1 ადგ. 59 კილო,.

2. უდოკუმენტო ტვირთები

№ 19116 საქონელი 1 ადგ. 5 კილო, № 2056 რკინის ბაკი 1 ადგ. 904 კილო, № 73360 მრგვალი რკინა 1 ადგ. 15 კილო, № 77778 ბარგი 2 ადგ. 26 კილო, № 77792 კალათი და ჩემოდანი ძველი 2 ადგ. 5 კილო, № 77793 ფეხსაცმელები (ჩუსტები) ძველი 1 ადგ. 1 კილო, № 38905 ბარგი 1 ადგ. 6 ნახევარი კილო, № 2133 საქონელი 1 ადგ. 3 ნახევარი კილო, № 77776 სხვადასხვა 7 ადგ. 68 კილო, № 468 ბარგი 1 ადგ. 2 კილო, № 466 ბარგი 1 ადგ. 8 კილო, № 463 ბარგი 1 ადგ. 4 კილო, № 460 ბარგი 1 ადგ. 6 კილო, № 562 ყუთები ცარიელი 1 ადგ. 6 კილო, № 467 ყუთები ცალ. 1 ადგ. 5 კილო, № 465 მანქანის ნაწილები 1 ადგ. 13 კილო, № 458 ბარგი 1 ადგ. 3 კილო, № 456 სხვადასხვა 1 ადგ. 21 კილო, № 461 სხვადასხვა წიგნები 1 ადგ. 28 კილო, № 457 ბარგი 1 ადგ. 6 კილო, № 464 სხვადასხვა 1 ადგ. 16 კილო, № 475 ფიჯაკი ძველი 1 ადგ. 1 ნახევარი კილო, № 476 ჩემოდანი ძველი 1 ადგ. 1 კილო, № 474 ბარგი 1 ადგ. 7 კილო, № 473 ბარგი 1 ადგ. 6 კილო, № 472 ბარგი 1 ადგ. 9 ნახევარი კილო, № 470 კალათი 3 ადგ. 33 კილო, № 471 ბარგი 1 ადგ. 4 კილო, № 487 ბრინჯი 1 ადგ. 40 კილო, № 311 ფქვილი ხორბლის 2 ადგ. 164 კილო, № 2345 მანქანის ნაწილები 1 ადგ. 15 ნახევარი კილო, № 2333 რკინის ნაწილები 2 ადგ. 52 კილო, № 2332 ფართალი 1 ადგ. 80 კილო., № 2347 სხვადასხვა 18 ადგ. 40 ფუთი. № 77783—სალესი ქვა 1 ადგ. 51 კილო, № 77777—ბარგი 1 ადგ. 6 კილო, № 459—ბარგი 1 ადგილი 11 კილო, № 469—ბარგი 1 ადგილი 2 კილო.

სავალდებულო დადგენილება № 88

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა

საცხოვრებელ სადგომების რემონტის შესახებ

31 ივლისი 1925 წელი

საცხოვრებელ სადგომების კეთილ-მდგომარეობის დაცვა-შემოვლის მიზნით თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს.

1. დაევალოს თითეულ სახლმფლობელობას ადგილობრივ მდგმურთაგან შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც დაამოწმებს უწყებული სახლის ტეხნიკურ მდგომარეობას. კომისიას ირჩევს მდგმურთა საერთო კრება, ამ დადგენილების გამოქვეყნების პირველი შვიდი დღის განმავლობაში. სახლის დამოწმების შედეგად კომისია ადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნავს ყველა იმ აუცილებელ და გადაუდებ შეკეთებებს, რომელსაც შენობა საჭიროებს და რომლის დაყოვნება უფრო მეტად მაზარალებელია შენობისათვის მომავალში. აქტი სდგება სამ ეკზემპლიარად, რომელთაგან: ერთს თვით კომისია იტოვებს, მეორე ეგზავნება აღმასკომს, ხოლო მესამე ხელწერილის ქვეშ ეძლევა სახლის მფლობელს, რომელსაც ევალება შეუდგეს რემონტს, თანახმად აქტისა, არა უგვიანეს ერთი თვისა, დღიდან მის მიერ აქტის მიღებისა.

შენიშვნა: უკეთუ რაიმე მიზეზით არ შესდგა კომისია, სახლმფლობელობა მოვალეა აცნობოს ეს გარემოება აღმასკომს სათანადო ზომების მისაღებათ.

2. სახლმფლობელობას ეკისრება კაპიტალური რემონტი, როგორიცაა: სახურავის შეკეთება-შეღება, მთავარი კედლების, კიბეების, ჭერ-იატაკის შეცვლა-შეკეთება, საერთო კანალიზაციის, წყალსადენის, კვამლსადენების, ცენტრალური გათბობის, დერეფნის, აივანის, ბლაყაფის, ქვაფენილის შეკეთება-შესწორება, ჭერის შ ა.

შენიშვნა: წვრილი შეკეთება ეკისრება თვით მდგმურებს, რომლებიც მოვალენი არიან ხელი შეუწყონ სახლმფლობელობის კეთილ-მოწყობას და უკეთუ მათი მოქმედებით შენობის ესა თუ ის ნაწილი (კარ-ფანჯრის, ჭერ-იატაკის და სხვა საშენებელი მასალის შეშად გამოყენების შემთხვევა, დაუდევრობის ნიადაგზე, კანალიზაციის გაგუბვა, წყალსადენის კრანის ღიად დატოვების მიზეზით, ჭერის დალპობა-ჩამონგრევა და სხვა) ზარალი უნდა იქნეს ანაზღაურებული დამნაშავის ხარჯზე და ამას გარდა ისინი (დამნაშავენი) მიიცემიან პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.

3. სახლმფლობელს, რომელიც ვადაზე არ შეუდგება აქტით გათვალისწინებულ რემონტს, ჩამოერთმევა შენობა, თანახმად იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების 1924 წ. 10 მაისის ინსტრუქციისა და მიეცემა პასუხისგებაში, როგორც ხელის შემწყობი სახალხო ქონების განზრახ დაზარალებისა

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარის მოადგილე **ივანოვ-კავკასიელი**
მდივანი **ცქიტიშვილი**

ნ. № 1575—1—1

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის

თბილისის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ:

ს. ს. რ. კ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადადებულია საქართველოს კოოპერაციისათვის გრძელვადიანი სესხის სახით 518000 მანეთი.

ვინაიდან „ვსეკობანკი“ აღნიშნულ თანხას ნაწილობრივ იღებს, ყველა კოოპერატივების ერთ დროულად დაკმაყოფილება შეუძლებელია; ამისათვის ფულის მისაღებად თითეული კოოპერატივი ცალკე იქნება გამოძახილი „ვსეკობანკის“ მიერ თბილისში. კოოპერატივების წარმომადგენლებმა თავიანთ გამგეობისაგან უნდა თან იქონიონ სრული ნოტარიალური ვექილობა.

ნის. № 1568 2—2

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ ჭედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—12

მ ა ნ გ ლ ი ს ი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—საათამდე. 25—7

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ე ქ ი მ ა ა შ უ ხ მ ა ნ მ ა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—2

ბ ო რ ჯ ო მ ი

ექ. ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს მისამართი:

რომზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17, ზოსინის აგარაკი.

15 მაისიდან 15 ენკენისთვემდე

25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—9. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—16

პროფესორი გ. მ. მუხაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—9

ექიმი გ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—11

ექიმი გ. გ. მეჰრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—12

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სა ს, ქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—18

კბილის ექიმი

ფ. ო. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—18

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—20

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—20

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 38.

25—19

ექიმი გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—17

ექიმი გ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. შკ.

25—2

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—13

ექიმი ა. ს. ფონ-ირეთელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისსქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—14

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. [illegible] ქ. № 4.

25—18

საზ-ბა „ჩემოს“ საბოლოო

ბალანსი

აქტივი. **1925 წ. 1 იანვრისათვის.** *პასივი.*

	ზირ. სტერლ.	ზირ. სტერლ.
I.		
ძირითადი ხარჯები:		
1. მოძრავი ქონება	6.752. 1/8	
2. უძრავი ქონება	22.585.14/9	29.337.16/5.—
II.		
თანხები:		
3. კასსა	2.381. 0/9	
4. უცხოეთის ვალიუტა	1.301.14/8	
5. მიმდინარე ანგარიშები	109.470.10/4	113.153. 5/9.—
III.		
ფასიანი ქაღალდები:		
6. აქციები და ობლიგაციები		1.994.16/9.—
IV.		
მატერიალური ღირებულებანი:		
7. მასალები		3.332.16/2,5.—
V.		
დებიტორები:		
8. ფლესინგი და კო. (გაყიდვ. ანგარიში)	124.307. 7/0	
9. სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	80.247.10/6	
10. მტვირთავები	4.738.16/6,5	
11. საქვეანგარიშო თანხები	6.279.10/9	
12. „ჩემოს“ გადარიცხვა მტვირთავებისაგან	746. 5/5	216.319.10/2.5.—
VI.		
13. ექსპორტი		52.403. 3/11.—
VII.		
14. გარდამავალი თანხები		550.0.0.—
VIII.		
15. მუშათა სახლის აშენება ჭიათურაში		6.237.10/10.—
IX.		
16. 1925 წლის ხარჯები		449.16/4,5.—
ბალანსი.		428.778.16/5,5.—

დირექტორი გ. ვაშაძე.

	ზირ. სტერლ.	ზირ. სტერლ.
I.		
1. უზრუნველყოფა		37.086.11/ 3.—
II.		
კრედიტორები:		
2. ფლესინგი და კო. (საერთო ანგარიში)	11.104.16/ 7	
3. სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	94.700.14/ 7	
4. მტვირთავები	82.951. 7/11	
5. მთავრობა	137.157.11/ 1	
6. 20 პრ.-ის დაკავება მტვირთავებისაგან	5.273. 1/ 6	
7. გადარიცხვა მტვირთავებისაგან	32.472. 6/5,5	363.659.18/1,5.—
III.		
8. ექსპორტი		1.204.12/10.—
IV.		
9. გარდამავალი თანხები		21.827.14/ 3.—
ბალანსი		428.778.16/5,5.—

მთავარი ბუხჰალტერი ა. დანელია.

ნ. 1569 1—1

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გავსოვიჩი

ამით იუწყება: ა. წ. 6 აგვისტოს, დილის 9 ს., 19 თებერვლის ქ. № 73 დანიშნულია ვაჭრობა სვიმონ იასაშვილის მოძრავ ქონების გასასყიდათ: 30 ვედრო ძმარი, ფეხის მანქანა, სკამები და სხვა—დასაკმაყოფილებლათ დარიკო კარდანახაშვილის ვალისა: 262 მან. თავისი სარგებლით და სასამართ. ხარჯებით. (მეოთხე რაიონის სახ.) სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელი 10 მარტის, 1925 წ. № 753.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. პ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 5 აგვისტოს 1925 წ. საათის 1 დღისა კირკის ქ. № 30 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ ბროკკას მოძრავ ქონებას 100 ავადმყოფთა საზიდავს, ნასოსს, სადეზინფექციო ქვაბს, საველე დურბინდს, ფეჩებს, დინამო ძანქანას, 50 თითბრის შტუცერს, ბრეზენტის შლანგებს, 40 ჩირაღდანს, ფანრებს, 10 ფარსუნკას, შესტერნებს, სალებავის სალესს, ნავთის მანქანას, სიმინდის სალეწავს, შეფასებულს 823 მან. დასაკმაყოფილებლად მელითონეთა კავშირის და სხვ. ვაჭრობა მეორეა და დაიწყება თავისუფალი ფასიდან.

დაიკარგა ასურეთის თემ-აღმასკომის სალურბო ბეჭედი. ჩ. გ. 2132 1—1

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 182 შალვა ივანეს ძე იოსელიანის სახელზე. ჩ. გ. 2136 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1280 მარიამ ბერიძეს სახელზე. ჩ. გ. 2133 1—1

დავკარგე ფოთის ა. ლ. კ. კ. მიერ მოცემული მანდატი, პარტ-სკოლის დამთავრების მოწმობა, რეგიდასის წიგნაკი და სუჯუნის თემის აღმასკომის მიერ მოცემული მოწმობა იონა ილიას ძე მიმინოშვილის სახელზე. ჩ. გ. 2140 (ა) 1—1

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბარათი ვალენტინ ივანეს ძე არჩვაძის სახელზე. ჩ. გ. 2142 1—1

დავკარგე სამხედრო-საალრიცხვო ბარათი № 768 ალექსანდრე ფუცორის ძე ციმინტოსის სახელზე. ჩ. გ. 2140 (ბ) 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 500 მოცემული სამხედრო მაგიდის მიერ, გაიოზ (იგივე ფარნა) ციმინტოსის სახელზე. ჩ. გ. 2140 (დ) 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი აკაკი ფუცორის ძე ციმინტოსის სახელზე. ჩ. გ. 2140 (ე) 1—1

დავკარგე მოწმობა მე-4-ე ლეგიონის უფროსის მიერ მოცემული № 1733 სერგო ივანეს ძე პანიკოვის სახელზე. ჩ. გ. 2140 (გ) 1—1

ტირაჟი—22.704

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4